

ფული შეპროვის სანახვლოდ, ანუ ქრთამი ობიექტს ანათებს?! ⁶

საზოგადოებრივ-ჰოლივუდური კამოცემა www.geworld.net №10 (53)
 11 - 23 მარტი, 2010

საქართველო

ფასი | დარი info@geworld.net

გიორგი არველაძე ყველას დაავინყდება, „მოდელირებულ ქრონიკას“ კი არასოდეს დაივინყებენ, როგორც არა მხოლოდ „ტელეიმედის“, არამედ საქართველოს ხელისუფლების სირცხვილს.



ფალსატიის ქრონიკა

4 თეთრ-ბილეთიანი ქვეყანა

ირმა ინაშვილი: ეს პროვოკაცია **7** «პოდესტა ბრუკის» რეკომენდაციით მოგზადდა

როგორ იქცა **8** სილო კურდღლად

ლადო გუბანიძის **11** ბანკი პენსიონერებს არაკეთილსინამდვილად იყო ანტიიმიპერიული, **12** მაგრამ არაპოლიტიკური შეთხვევაში – ანტირუსული

ზურაბ კვარაცხელია: **13** ეროვნული მოქრობა ნამდვილად იყო ანტიიმიპერიული, **14** მაგრამ არაპოლიტიკური შეთხვევაში – ანტირუსული

ტუსალი **15** არუთინიანი თანამოქალაქებს გადლობას უხდის

«მიუხედავად ქალაქი» **16** ტელევიზორებს იყვარებენ

რამაზ ვიგბური: **17** იმიტირებული ქრონიკა ეთერში 13 მარტს, მთვარის 29-ე – საბანკო დღეს გავიდა

საფრანგეთის ელჩი «იმიდის» ხელშეწყობას «მოქალაქეობრივი ქრონიკის» ასლის გაგზავნას სთხოვს

საქართველოში საფრანგეთის ელჩი ერიკ ფურნიე ტელეკომპანია «იმიდის» გენერალურ დირექტორს «მოქალაქეობრივი ქრონიკის» ასლის გაგზავნას სთხოვს. ამის შესახებ საფრანგეთის ელჩის მიერ გიორგი არველაძისადმი გაგზავნილი წერილში.

«ძალიან გამიკვირდა, როცა აღმოვაჩინე, რომ თქვენ ჩემი გამოცხადება ამ რეპორტაჟისაგან სრულიად სხვა კონტექსტში გამოიყენეთ. მადლობელი ვიქნები, თუ გამომიგზავნით ამ დოკუმენტის ასლს, რათა ზუსტი ანალიზი გაეკეთებინათ და დადებული კომენტარების შინაარსს», — ნათქვამია წერილში.

აქვე საფრანგეთის ელჩი აცხადებს, რომ ეთანხმება აშშ-ის ელჩის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს, რომელმაც «იმიდის» მიერ მომზადებული გადაცემა უპასუხისმგებლად და პროფესიული ჟურნალისტიკის სტანდარტებისგან დაშორებულად მიიჩნია. «ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის ქმედებებს და ქვეყნის უსაფრთხოების მუქარას» შორის უხეში მონტაჟით გაკეთებული პარალელების ანალიზი პროფესიონალური ინსტიტუტების კომპეტენცია უფროა, ვიდრე — სატელევიზიო არხის. ამ სამსახურო საქმეში იმიჯი შეუღალა თქვენს არხს და წარმოშვა ძირითადი კითხვები, რომლებიც კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა განიხილოს», — ნათქვამია წერილში.

ბერლინის საიტიზმის საკომისიოს «საუბრი უკუნიკა» უწოდა

წარმოდგინეთ, რომ მთავრობის საქმიანობაზე კარგად ინფორმირებული გერმანული ტელეარხი ეთერს წყვეტს და აცხადებს, რომ ის ახლა პირდაპირ ეთერში რთავს ფრანკფურტის აეროპორტს, სადაც ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ტერაქტი განხორციელდა. ეთერში გადაცემა ნანგრევების, დასისხლიანებული მსხვერპლის, სასწრაფო დახმარების ავტომანქანების კადრები და ნახევარ საათში დიქტორი ამბობს, რომ ეს ყველაფერი ფიქტია იყო და რომ არის ამით მოსალოდნელი საფრთხისა და უშიშროების სფეროში ახალი კანონის მიღების აუცილებლობის დემონსტრირება სურდა. წარმოდგენილია!

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილმა ეს-ესაა მსგავსი ექსპერიმენტი საკუთარ ხალხზე ჩაატარა. მასთან დაახლოებულმა ტელეარხმა შაბათ საღამოს მაყურებელს რუსული ინტერვენციის შესახებ აცნობა. არხი იწყებოდა, რომ ქვეყანა იბომბება, რომ სააკაშვილი მოკლულია და ოპოზიცია ხელისუფლებაში მოვიდა. ამ ადამიანის საშიშროება უგონურებამ პიკს მიაღწია. 2008 წლის კავკასიური ომიც მისი პროვოცირებული იყო. 2008 წლის ნოემბერში მან პოლონეთის პრეზიდენტი კაჩინსკი სამხრეთ ოსეთის საზღვართან მიიყვანა, სადაც სროლის ინსცენირება მოახდინა. ახლა, როგორც ჩანს, ოპოზიციონერებზე განრისხებულმა, რომლებიც სიტუაციის სტაბილიზაციის მიზანით რუსეთის პრეზიდენტი-მინისტრ ვლადიმერ პუტინს შეხვდნენ, გარკვეული აქციების განხორციელება გადაწყვიტა. მშვიდობა? დღეს აბსოლუტურად ცხადია, რომ სააკაშვილის რეჟიმი უზარმაზარი რისკების შემცველია. ის დასავლეთის მოკავშირე არ არის.

მარიტა ტაპალე, ბერლინის ცაიტუნგი

ფალარათის ქრონიკა

ფალარათი, ანუ დიარეა სამედიცინო ენაზე ხშირი დეფეკაციის მოთხოვნებს ნიშნავს და უამრავ გამომწვევ მიზეზთაგან ერთ-ერთი მთავარია შიში, ლეღვა, სტრესი, რადგან განსაკუთრებით მხდალ ადამიანებში შიშისა და ლეღვის შეგრძნება, ზოგადად, სტრესი ადრენალინის დიდი რაოდენობით გამოყოფას იწვევს.



და, ახლა ამბობენ ექსპერიმენტულად აღარ ამბობს უაგუსტესი უარს.

თუკი დიარეით გამოწვეულ დისკომფორტს ანტიბიოტიკით ან უზრალო ტუალეტის ქაღალდით მოაგვარებ, ლოგორეას, ანუ სიტყვიერ ფალარათს ასე ადვილად ვერ დამალავ.

თუმცა უაგუსტესს ეს არ ანალღვებს; ან რატომ უნდა ანალღვლებდეს, როცა ჰყავს მრავალჯერადი მოხმარების ჩინოვნიკი არველაძე, რომელიც ციხის უფროსიც იყო, პრემიადიანიც, ადმინისტრაციის ხელმძღვანელიც, ეკონომიკის მინისტრიც და ბოლოს ტელემამადაც გაამწესეს. ასეთი მრავალჯერადი მოხმარების ჩინოვნიკი ხომ ყოველთვის მზად იქნება, ერთგულად იმსახუროს და ნებისმიერ დროს მოხმაროს დანიშნულებისამებრ.

მიუხედავად არველაძე-ნამალაშვილის სატელევიზიო საუბრის გახმაურებისა, რომლის მიხედვითაც ცხადი ხდება, რომ ქართველ ერზე შეტევა თვით სააკაშვილის გეგმით განხორციელდა და ამ გეგმას «მულამიცი არ დაუკარგავს», უფრო მეტიც, ხალხი «დაჟე ნინასწარაც არ გააფრთხილეს ძალიან...» გიორგი არველაძე თავგამობრებით აცხადებს, ყველაფერზე პასუხისმგებლობას ეიღებო. არც მიკვირს მის მიერ ერთგულების ამგვარი დემონსტრირება. იგი ხომ მრავალჯერადი მოხმარების ჩინოვნიკია, მაგრამ ავინყვება, რომ მრავალჯერადი მოხმარების საგანსაც, ბოლოს და ბოლოს, ნავის ურნაში ჩაუძახებენ.

გიორგი არველაძე ყველას დაავინებდა, «მოდელირებულ ქრონიკას» კი არასოდეს დაავინებენ, როგორც არა მხოლოდ «ტელევიზიონი», არამედ საქართველოს ხელისუფლების სირცხვილს.

ალარ მახსოვს, უკვე მერამდენე სირცხვილს, რადგან, როგორც იცით, ლოგორეა ქრონიკული დაავადებაა და სერიოზული სამედიცინო ჩარევის გარეშე მას ისევე ვერაფერს შევლიან მრავალჯერადი გამოყენების ჩინოვნიკები, როგორც დიარეას, ანუ შევლებერივ ფალარათს ვერ შევლის ტუალეტის ქაღალდი...

ლავა ბიორიპი

ეს ადამიანის ბიოლოგიური მდგომარეობაა და დღევანდელ საქართველოში, მით უფრო ამ ხელისუფლების პირობებში, ძნელად მოიძებნება ადამიანი, ვისაც სტრესი არ გადაუტანია, ვინც არ ლეღვას ოჯახის მდგომარეობაზე და შვილების მომავალი არ ამინებს.

მაგრამ დიარეა მეტ-ნაკლებად განკურნებადი დაავადებაა. ბოლოსდაბოლოს, თუ ქრონიკული გადავა, ტუალეტის ქაღალდს მომზარავ და გარემომყოფთ არ შეაწუხებ. აი, ლოგორეა, ანუ მეტყველების ფალარათი კი გაცილებით მძიმე პათოლოგიაა. იგი არა მარტო პაციენტს, არამედ (და უფრო მეტადაც!) იმ ადამიანებს უქმნის დისკომფორტს, ვინც იძულებულია ეს ენაშაღილი (გნებათ, ვინის გვრემადამართული) აიტანოს და უსმინოს. აქ უკვე ფსიქიკის პათოლოგიასთან გვაქვს საქმე და, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მისი განკურნების პერსპექტივა წულის ტოლია.

მულამი, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა «იმიდის» იმიტირებულ ქრონიკას დაუჭირა, არ დაიკარგა; შიში კი შკონდა და გიორგი არველაძესთან საუბრისას არც დაუშალავს — «სპეციალური რეპორტაჟი» გადაცემისას არ თქვა, რომ ეს მოდელირებაა, «დაჟე, ნინასწარაც ნუ გააფრთხილებთ ძალიანო...»

საქმე ის არის რომ ამ ყველაფრის «მულამი» ის სიტყვიერი ფალარათი, გნებათ მუცლის გვრეშაა, რომელიც საფარდის დაკარგვისა თუ გაპატივტრიბუნების ან ერთი რამით ჩამოკიდების შიშით აუტყდა უაგუსტესს.

13 მარტის საღამოს 30 წუთის განმავლობაში საქართველოში «ინტერვენცია» ხორციელდებოდა და მთელი ეს დრო

სრულიად საკმარისი იყო ხალხში ენით აუნერგელი პანიკის გამოსანევეად. თვით სახელისუფლო ვერტიკალშიც და მმართველი პარტიის ელიტაშიც რომ არავინ უნყოდა, უაგუსტესი მიხეილის საშინელი ექსპერიმენტის შესახებ, ამას ადასტურებს ფერმიხილი გიგი უგულავას შემოთქმვა და მომდევნო დღეებში გაკეთებული კომენტარები, რომელსაც, ფალარათის სამარცხვინო კვალის დამალვის უსუსური მცდელობის გარდა, ვერაფერს დაარქმევს.

ხელისუფლების მიზანი, მოსახლეობაში მოსალოდნელი საფრთხის შეგრძნება გაეზარდა, კრახით დასრულდა — ოპოზიციის კი არა, ხელისუფლების მიმართ ზიზღმა უკვე აპოგეას მიაღწია. ესეც არ არის მთავარი. წარმოდგინეთ, ხალხი რამდენად დარწმუნებულია, რომ სააკაშვილია და მისმა ხელისუფლებამ ნებისმიერ დროს შეიძლება მოაწყოს პროვოკაცია, რომელიც ქართულ სახელმწიფოებრიობას დაასამარებს.

ჩვენ, დიდი ხანია, ვიცით, რომ ხელისუფლებას და პირადად პრეზიდენტ სააკაშვილს ქართველი ერი ეზიზღებათ, მაგრამ სიძულვილის ასეთი მასშტაბს ნამდვილად არავინ მოელოდა. როგორ უნდა გეგავრებოდეს შიში ხალხი, რომ არ გაითვალისწინო კონფლიქტისპირა რეგიონების მცხოვრებთა საშინელი ყოფა, მუდმივი დაძაბულობა და შიში და ასე დაზავდეს; როგორ უნდა გძულდეს ჯარისკაცთა ოჯახები, რომ დაზოცილთა და დაჭრილთა ფალსიფიცირებული კადრები უჩვენო და არად ჩაავადო 2008 წლის ავღიანეთში საავადმყოფოების ევოლუციით მოქმედი მოტირალი დეფები; როგორ უნდა დასცინო შენი სამშობლოს წარსულს და როგორ უნ-

მოკლად



თურქულ-სომხურ კრიტიკოსს აუჩივან

თურქულ-სომხური მეგობრობა სერიოზული საფრთხის წინაშეა. მას შემდეგ, რაც თურქეთის საგარეო ურთიერთობების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე მურად მერდუჟანი თურქულ-სომხური პროტოკოლის გაყინვის ინიციატივით გამოვიდა, სომხეთის პრეზიდენტიმ განაცხადა: «როგორც ვხედავთ, თურქული მხარე წინაპირობების ნაშრომებს არ წყვეტს და, ძირითადად, ეს მთიანი ყარაბაღის საკითხს ეხება... თუ თურქეთი დარეგულირების პროცესს სხვა მიზნებისთვის გამოიყენებს, ჩვენ პროტოკოლზე ხელმოწერას უკან წავიღებთ».



ღაუბატოვის პორნო-კანდიდატი

ბრიტანეთის ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც ამაყობს, რომ საპარლამენტო არჩევნების კანდიდატებს შორის სხვადასხვა პროფესიისა და ბიოგრაფიის ადამიანები ჰყავს, ერთ-ერთ კანდიდატად პორნოფილმების რეჟისორი ანა ეროუსმიტი დაასახელა. 38 წლის ეროუსმიტი, რომელიც ანა სპენის სახელითაა ცნობილი, ასობით პორნოფილმში აქვს გადაღებული. «ამ არჩევნებზე პორნოინდუსტრიას კი არა, კენტი საგრაფოს ქალაქ გრეივუშის მოსახლეობას წარმოგვადგენ», — განაცხადა ეროუსმიტმა.



10 ათასი ბერლინელი აღიარეს

გერმანიაში უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში ხელისუფლებას გადასახადებისთვის თავის არიდებაში 10 ათასზე მეტი მოქალაქე გამოუტყდა. ყოველდღიურად ფისკალურ ორგანოებს აღიარებითი ჩვენებით საშუალოდ 250 ადამიანი აკითხავს. საუბარია სახელმწიფო ხაზინაში დაბრუნებულ ასობით მილიონ ევროზე. აღიარებითი ტალღა გერმანიის ხელისუფლების მიერ იმ დღისკის ყიდვის გადაწყვეტილებამ განაპირობა, რომელზეც გადასახადების დაფარვის თაობაზე ინფორმაცია განთავსებულია.



პიკველი უსქესო აღაიანი

ავსტრალიის მოქალაქე ნორი მეიუელი მსოფლიოში პირველი ადამიანია, რომელსაც ოფიციალურ დოკუმენტებში სქესის აღსანიშნავ გრაფაში უწერია «გაურკვეველი». არადა, როგორც მშობლებმა თავის დროზე დაასკვნეს, დაბადების მომენტში ის მამრობით სქესს განეკუთვნებოდა. 28 წლის ასაკში სქესის შეცვლის ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ჰორმონების მიღება შეწყვიტა, რადგან მიხვდა, რომ არც ქალობა შეესაბამებოდა. ახლა მეიუელი 48 წლისაა და ჯერაც ვერ გაურკვევია, ქალია თუ კაცი.



გუნტანაოს პირ სუკაპენ

ბარაკ ობამას წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ დაპირებებს განხორციელება არ ეღიარა. ერთ-ერთი გუნტანაოს ციხის დახურვა იყო, მაგრამ იგი ამ დრომდე არ დახურულა და, როგორც აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა დევიდ აქსელროდმა განაცხადა, ქვეყნის არც სამისო ფული აქვს და არც ის იცის, სად განათავსოს იქაური პატიმრები, რომელთაც სხვა ქვეყნებს არ გადასცემენ. ახლა აშშ ავლანეთის პრეზიდენტთან ანარმობებს მოლაპარაკებებს გუნტანამოელი თალიბების გადაცემასთან დაკავშირებით.



საავტორო სუქეტი

სასაზღვრო ბოქაბოჟით გლუჟი ტუინაბის ოჟი

აყმუველდა ქრესტომატიული მგელი „იმედის“ კართან, არველაძე-ნამალაშვილის კართან აყმუველდა: ჟერ „მეისტრომ“, იმის კვალზე „კავკასიამ“ გადასცა ინტერნეტში დადებული მათი საუბრის აუდიოჩანანერი 13 მარტის „სუქეცრეპორტაჟთან“ დაკავშირებით.

პასუხად — ცილისნამებაო, ეთერიდან განგვიცხადა არველაძემ...

შაბათის დიდი ტელესიკრუსის შემდეგ ხომ აფრთხილებდნენ — ანი სიმართლესაც არ დაგიჯერებენო? აფრთხილებდნენ.

აუხდათ: ყველა გზაჯვარედინზე რომ რიგრიგობით გამართონ მიტინგები — რუსული სუქესამსახურების ნაყალბეგია ის საუბარიო, აღარავინ დაუჯერებს. მართალიც რომ იყოს.

არ გაუვიდა ჩვენს ბატონს და ნამუსიც წაუვიდაო. ჩაირეცხა სინდის-ნამუსი, სიბოიყვე დარჩა ქვიშასავით გამრავლებული და ჩვენი ხელისუფლების ყოველად გაუაზრებელი პოლიტიკით სტიმულირებული: ჩვენებური ოსების სეპარატისტული გონებაზე ზღუდულობით დაავადებული „ხელმძღვანელობის“ შესახებ ვლაპარაკობ.

ხომ უბოძა მიხეილ სააკაშვილმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას ლენინგორის რაიონი?

კი, ასე იყო.

ხომ შეიძლება, რომ ამ თვითშობილმა უკანონობამ, როგორც „დამოუკიდებელმა სუბიექტმა“ დაიწყოს საზღვრების დელიმიტაციის და დემარკაციის პროცესი თავისი გაურკვეველი სტატუსისთვის ოფიციალური საფუძვლის შესაქმნელად?

შეიძლება კი არა, საბამ ჩვენ აქ რუსეთის არმიის ანექსიაზე ტელემითების შეთხზვა-გარჩევით ვართ დაკავებული, ედუარდ კოკოითი, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად ნოდუბული სუბიექტი ოფიციალურად აცხადებს, რომ მცხეთა-მთიანეთის მხარეში შემავალი თრუსოს ხეობა ძირძველი ოსური რაიონია, რომელიც „საბჭოთა პერიოდში რაღაც მიზეზების გამო საქართველოს სსრ-ს ადმინისტრაციულ მმართველობაში გადაეცა“.

„რაღაც მიზეზი“ რომ ისტორიული ფაქტი და სამართლიანობაა, ეს კოკოითისთვის არაფერს ნიშნავს და ამიტომ უფრო და უფრო გაუტყვეს:

— პრინციპში, ეს ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ლენინგორის რაიონს მთლიანად ჩვენ ვაკონტროლებთ, ამ საკითხს დაეყენებთ იმიტომ, რომ ეს ჩვენი მიწებია.

ანექსია ესაა და არა ის, რითაც ხალხის დაშინება მოინდობა არველაძე-საკაშვილის ტელევიზიამ — განსახელმწიფოებულმა კერძო (!!) საკუთრებამ.

ჯერ კოკოითის პრეზიდენტობისა რა ვთქვი, მერე იმისი სრულუფლებიანი წარმომადგენლისა პოსტკონფლიქტური (!) მონუსრიგების საქმეში, მაგრამ რა გინდა — ამ მრავალსიტყვიან თანამდებობაზე მყოფი ბორის ჩოჩიევი აცხადებს, რომ „სამხრეთ ოსეთმა დაიწყო ბოძების დაყენება, რომლებიც აფიქსირებს სახელმწიფო საზღვარს“. ეს გვაცნობა გაზეთმა „ვრემია ნოვოსტი“.

მსგავსი რამ აზრად არ მოსდოდათ ოსებს თუნდაც 7-8 წლის წინათ.

დღეს „სახელმწიფო პოლიტიკად“ აქციეს. იმიტომ მისცეს თავიანთ თავს ამის უფლება, რომ ის ტვინები, რომლებმაც საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა უნდა განსაზღვროს კონფლიქტების მონუსრიგების საქმეში, ისეთივე გლუჟია, როგორც ის ბოძები, რომელთა საზღვრის გასწვრივ დაყენებასაც აპირებს ვინმე ბორის ჩოჩიევი.

...მიუშვი ნებასა და უარეს არ გააკეთებს?

სანამ ეს ჩვენი ტელესტრატეგები რუსეთთან ახალი ომის ეკრანული „კონსტრუირებით“ ერთობიან, ოსები, კერძოდ ვინმე ზაურ ალბოროვი, რომელსაც სამხედრო ექსპერტად წარმოგვიდგენენ, ომობანას თამაშს იწყებს და „სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების“ მეშვეობით საქართველოს არმიის გაზრდილი საბრძოლო პოტენციალის წინააღმდეგ პრევენციული საომარი ოპერაციის განხორციელების სერიოზულ გათვლებს აკეთებს.

... ამინდიც რომ გადაირია!

ჩვენ რა გვეშველება ამ გადარეულთა შემყურეს?

არაფს სანებლიკა

თეთრბილეთიანი

ბათუმში თურქულ-ქართული ლიცეუმის გახსნის ცერემონიაზე მისულ ბავშვებს ძალიან დადლილი და შენუხებული სახეები ჰქონდათ. შესაძლოა, იმიტომ, რომ ხანგრძლივი ლოდინი და მოსაწყენი ინსტრუქტაჟის მოსმენა მოუხდათ. გამორიცხული არც ისაა, რომ მათ საგანგებოდ აუკრძალეს ხმამაღალი სიცილი, ხოლო ბუნებრივი რეაქციის დათრგუნვა, როგორც ცნობილია, ბავშვის გალიზიანებასა და დამნუხრებას იწვევს. რას იზამ, მოწყენილი ბავშვები მორჩილად ისხდნენ და ისმენდნენ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას, რომლის სერიოზული გაანალიზება არა მხოლოდ ლიცეუმის აღსაზრდელთათვის, არამედ ზრდასრული, საუნივერსიტეტო განათლების მქონე ადამიანებისთვისაც ფრიად პრობლემური რამაა. მოდი ჩვენც ვცადოთ.


ბავშვებს უყვარდათ მურაბა

„ჩვენ ვართ ამ რეგიონის შვეიცარია“, — ამაყად განაცხადა სააკაშვილმა (აქ და შემდგომ ციტირება president.gov.ge-ს მიხედვით). საინტერესო პოსტულატია, რაც მთავარია, — მოკლე და ტყევადი. მართლაც საინტერესოა, რა გვაქვს ამ დალოცვილ ქვეყანასთან საერთო. ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაჯობებელი, მაგრამ ჩვენ ვართ ადგილი, სადაც ყველაზე მეტი ფინანსური ინტერესი და ბიზნეს-სექტორმა იქნება კონცენტრირებული. ამას ჩვენს მეგობრებთან ერთად შექმნით“. ამ ფრაზის შემდეგ, ალბათ, მხოლოდ ბავშვები არ დაბნეულან. ერთის მხრივ, უკვე „ვართ ამ რეგიონის შვეიცარია“, მეორეს მხრივ, სააკაშვილი და მისი მეგობრები ამ „შვეიცარიაში“ რაღაცის „შექმნას“ და „გაკეთებას“ აპირებენ.

წარმოვიდგინოთ წმიდა პეტრეს ტაძარი რომში, არქიტექტურის, დასრულებული, სრულყოფილი შედევრი, რომელიც დროდადრო მხოლოდ ლოკალური სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებას საჭიროებს. ისიც წარმოვიდგინოთ, რომ მას უახლოვდებიან საექვო გარეგნობის ტიპ-

ბი, რომლებიც აცხადებენ, რომ შენობის გადაკეთებას და, საერთოდ, მისთვის ლოჯის მიშენებას აპირებენ. ამ ისტორიას დასრულების მხოლოდ ორი ვარიანტი ექნება: სწრაფი და მარტივი — მდ. ტიბროსის ტალღებში ან კიდევ ხანგრძლივი და მტანჯველი, კოლიზეუმის ნანგრევებზე მილიონი განრისხებული რომაელის თანდასწრებით. როდესაც ბავშვები ბათუმის ლიცეუმიდან მარადიული ქალაქის ისტორიას შეისწავლიან, ალბათ, მიხედვით, რომ მისი დიდება (მათ შორის) ცენტურიონის მახვილივით ეფექტურ მეთოდს — მსგავსი პერსონაჟების დაუყოვნებლივი მოკვეთის უნარს ეფუძნებოდა.

შვეიცარია, სახელმწიფოებრიობისა და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, სწორედ ასეთ შედევრს წარმოადგენს. იგი უკვე არსებობს და მას არა „შექმნა“, არამედ მხოლოდ მოვლა-პატრონობა და გაფრთხილება სჭირდება. თუმცა ჩავთვალოთ, რომ სიტყვებში „ამ რეგიონის შვეიცარია ვართ“ და შემდგომ პასაჟში იგულისხმებოდა, რომ საქართველო წარმოადგენს „შესაძლებლობების სივრცეს“, ერთგვარ სამშენებლო მოედანს, რომელზეც „შვეიცარიული სასწაულის“ გამო-



რება შეიძლება. ბათუმის ლიცეუმის მონაფეხმა, ალბათ, უკვე იცინა, რომ შვეიცარია ნეიტრალური სახელმწიფოა; მეტიც, მისი ნეიტრალიტეტი წარსულისა და აწმყოს ზესახელმწიფოების კონსენსუსის ნაყოფს წარმოადგენს. ამ მთავორიან ქვეყანაში გლობალური ფინანსური ცენტრი, საგარეუოდ, ვერც შეიქმნებოდა, თუ თვალწარმტაცი შვეიცარიული ბუნების ფონზე ოც წელიწადში ერთხელ ფრანგები, გერმანელები, რუსები და ანგლო-ამერიკელები სპორტის ძალიან არაოლიმპიურ სახეობებში თავის ტრადიციულ შეჯიბრს გამართავდნენ; მაგალითად, „ვისი დივიზია უფრო მაღე ჩააღწევს შენევიდან ბერნის ნანგრევებამდე“ ან „ვისი რაკეტა უფრო გრძელია“ და ა.შ. მსოფლიოში სხვა, მათ შორის რეგიონული, ფინანსური ცენტრებიც არსებობს. ქვეყნები, რომლებიც მათ აკონტროლებენ, კლასიკური ნეიტ-

რალიტეტის პოლიტიკას ყოველთვის როდი მისდევენ. მაგრამ თითოეულ ამ ქვეყანას უსაფრთხოების მყარი გარანტიები გააჩნია. თანმიმდევრობა სწორედ ასეთია: ა) ჯერ უსაფრთხოების რეალური გარანტიები; და მხოლოდ შემდეგ ბ) საფინანსო ცენტრის ჩამოყალიბება. სხვა ალგორითმი, უბრალოდ, არ არსებობს.

საკაშვილის მმართველობამ 2003 წლიდან დღემდე (თუ ვცდები, ბათუმელი ლიცეისტები შემისწორებენ) საქართველოს უსაფრთხოების ღირებული გარანტიები არ მოუტანა, მეტიც, საფრთხეები ქვეყანას შვეიცარულ ალბებში მოულოდნელად ჩამოსული ზეავივით ყველა მხრიდან მოაწვავს; რაც მეტი — მით უარესი; რა „რეგიონული შვეიცარია“, რის „Schweizerische Kreditanstalt“-ი? არა რა, რაც დრო გადის, ძველი გამოთქმა „ტოლი ნახე, კოჭი გავაგორე“ სულ უფრო ღრმა

ამოქალაქე



გეგმანელაზ სოხიალიზმი სუკით

გერმანიის აღმოსავლეთის მოსახლეობის 80% და დასავლეთის მოსახლეობის 72% თანახმაა, დასაქმების, უსაფრთხოებისა და სოციალური დაცვის გარანტიების პირობით, სოციალისტურ ქვეყანაში იცხოვროს. მოსახლეობის თითქმის მეოთხედი აცხადებს, რომ სასურველი იქნებოდა, დღემდე მდგარიყო კედელი, რომელიც ფედერალურ და დემოკრატიულ გერმანიებს ერთმანეთისგან ყოფდა. აღმოსავლეთის ყოველი მეშვიდე და დასავლეთის ყოველი მეთორმეტე გამოკითხული აღიარებს, რომ 5000 ევროდ ნებისმიერ პარტიას მიყიდოდა თავის საარჩევნო ხმას.



ინვესტიკების საიფულო სტრატეგია

მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა და დახურულმა სახელმწიფო ფონდმა „Abu Dhabi Investment Authority“ არსებობის ისტორიაში პირველად აქტივების ინვესტირების სტრატეგია გამოაქვეყნა. მასალეში აღნიშნულია, რომ 2009 წელს ფონდის აქტივების 60-85% ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაშია ინვესტირებული. აზიისა და განვითარებადი ბაზრების წილია 25-45% შეადგინა. 10-დან 20%-მდე აქტივები სახელმწიფო ობლიგაციებშია ჩადებული, 46-დან 65%-მდე — განვითარებული და განვითარებადი კომპანიების აქციებში.



იხვლავა გვირობა აბარაჟე

უკრაინელი ნაციონალისტების ლიდერის — სტიფან ბანდერას შვილიშვილმა სტეპან ბანდერა უმცროსმა ქვეყნის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს შესთავაზა, იუმშენკოს პრეზიდენტობის ბოლო დღეებში მისი პაპისთვის მინიჭებულ უკრაინის გმირის ნოდებას მეფეგორიეს რეზიდენციაში გაგიცვლიო. უმცროსმა ბანდერამ პრეზიდენტს თავის ბლოგზე მისწერა, ვიცი, თუ გმირობის მინიჭებას არ გააუქმებთ, რუსეთთან პრობლემები შეგექმნებათ და უკრაინა ევროკავშირის წევრიც ვერ გახდება, იმიტომ ვიპოვე გზა, როგორ დავებზაროთ მე და თქვენ უკრაინასო.

ქვეყანა

და მრავალფეროვან შინა-არს იქნეს.

ბავშვებმა, ალბათ, ისიც უნდა იცოდნენ, რომ შვეიცარიის კონფედერაცია დემოკრატიული სახელმწიფოა და მისი სტაბილურობა რთულ შინა-პოლიტიკურ ბალანსს, შვეიცარიული საათივით აწყობილ სახელმწიფო მექანიზმსა და გამართულ კანონმდებლობას ეფუძნება. თუმცა იმის გააზრება, თუ რატომ არ დაეხეტებიან შვეიცარიის შუაგულში მოძალადე ორანგუტანგები საგანგაშად სამსახურის „ქსივებით“ და რა განსხვავებას შევიცარიელ პოლიტიკულს, ერთის მხრივ, ზონდერისაგან; ხოლო, მეორეს მხრივ, გესტაპოელისაგან, ბავშვებს ჯერ კიდევ წინ აქვთ. ჯეროვნებით კი გაცილებით მნიშვნელოვანი რამ — სიმართლის სიტუაციისაგან გარჩევა უნდა ისწავლონ.

დაიცავით დისტანცია

„საქართველოსადმი პოლონეთის მხარდაჭერა საქართველოს, როგორც ევროპული ქვეყნის, რეპუტაციის პროპორციული იქნება“, — განაცხადა პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა დონალდ ტუსკმა. რეპუტაციისა რა მოგახსენოთ, მას შემდეგ, რაც ყველა უბედურებას „7 ნოემბრიდან 7 აგვისტომდე“ (პირსონალიზაცია) ტელეკომპანია „იმედის“ 13 მარტის გადაცემა დაემატა, ევროპაში, ალბათ, უკვე ოფიციალურად გიჟებად გვთვლიან და გამოირიცხული არაა, „საგზაო რუკის“ ნაცვლად „თეთრი ბილეთი“ გამოგვიწერონ. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ლეხ კაჩინსკის ფონზე, რომლის მიმართ საქართველოში ემოციური და ძალზე არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა, დონალდ ტუსკმა მთლიანობაში კარგი მთავრად დატოვა. ამასი მთავარი როლი მისმა მოზომილმა და კარგად გათვლილმა განცხადებებმა ითამაშა. მაგალითად, — „პოლონეთი ყოველთვის შეეცდება,

მხარი დაუჭიროს იმას, ვინც დემოკრატიის განვითარებისთვის იბრძვის და ვინც ამ ღირებულებებს მაღალ დონეზე აიყვანს“; ან კიდევ: „ჩვენ არ გვინდა გამამხინველებელი სიტყვებით ლაპარაკი, არამედ — ლაპარაკი იმ ნარმატივებზე, რომელსაც მივაღიწით“. ერთის მხრივ, ტუსკი თითქოსდა ჩვეულებრივ მხარდაჭერას გამოხატავს, თუმცა ამასთანავე დისტანციას ზედმინებით ზუსტად იცავს. ალბათ, ოდესმე მოვესწრებით, ქართულ პოლიტიკაში ისეთი ადამიანების გამოჩენას, რომლებიც საერთაშორისო არენაზე დახლოებით ასე მოიქცევიან.

სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში პარადოქსულად აირეკლება კანონი, რომელიც ადამიანების კომუნიკაციაში მოქმედებს. ცნობილია, რომ ადამიანი საკუთარი თავის გარშემო ოთხ წარმოსახვით რადიუსს ავლენს. ყველაზე ახლო (დაახლოებით განვლილი ხელის მანძილზე) „ინტიმური ზონაა“. ამ მანძილზე მიახლოება, მხოლოდ ძალიან ახლო ადამიანებს შეუძლიათ, უცხოებს შესვლა ამ სივრცეში დაუყოვნებლივ შფოთვასა და დისკომფორტს იწვევს. მეორე „პერსონალური ზონაა“ (დაახლოებით 1,5 მეტრამდე, თუმცა ინდივიდუალურია). მასში პირადი, გულწრფელი საუბრის დროს სანდო ადამიანები დაიშვებიან. შემდეგ მოდის „სოციალური ზონა“ (4 მეტრამდე); იგი უცხო ადამიანებთან კონტაქტების სივრცეს მოიცავს. ბოლოს „საჯარო ზონაა“ (7-10 მეტრი); მასში მიმდინარე მოვლენებს ადამიანი საკუთარი თავისადმი გარკვეული ურთიერთდამოკიდებულების მქონედ აღიქვამს.

საუბრების თემატიკა, ტონალობა და ნდობის ხარისხი, ისევე, როგორც მათგან გამომდინარე ქმედებები დისტანციის შერჩევასა და მის შეცვლასთან პირდაპირ კავშირშია. ალბათ, ბევრს გვინახავს სცენა, როდესაც ერთი თანამოსაუბრე მეორეს უახლოვდება, ხოლო იგი ნაბიჯ-



მას შეეძა, რას შეეძა უკლებიან „7 ნოემბრიდან 7 აგვისტომდე“ (პირსონალიზაცია) ტელეკომპანია „იმედის“ 13 მარტის გადაცემა დაემატა, ევროპაში, ალბათ, უკვე ოფიციალურად გიჟებად გვთვლიან და გამოირიცხული არაა, „საგზაო რუკის“ ნაცვლად „თეთრი ბილეთი“ გამოგვიწერონ.

ნაბიჯ უკან იხევს, მიუხედავად იმისა, რომ ტეპილი სიტყვების გარდა არაფერი ესმის. იგი, უბრალოდ, არ არის მზად, უცხოთვის საკუთარი „პერსონალური ზონა“ გახსნას, „ინტიმურზე“ რომ არაფერი ვთქვათ. სააკაშვილის ხელისუფლება დასავლეთთან, კერძოდ, შეერთებულ შტატებთან, ურთიერთობაში დისტანციის მაქსიმალურ შემცირებას მუდამ ცდილობდა. ჯერ კიდევ 2006 წლის ივლისში სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო ამერიკის ცხოვრების ნაწილი გახდა. ეს ფსიქოლოგიური ნიუანსი იგრძნობოდა შარშან, სექტემბერში ჯონ ტეფტის გაცემის ცერემონიაზე წარმოთქმულ სიტყვაშიც: „ჯონ ტეფტი საქართველოს კულტურული, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ნაწილი გახდა და იგი არა მხოლოდ საქართველოს მთავრობის სანდო მეგობარია, არამედ საზოგადო მოღვაწეცაა“. იყო სხვა საგულისხმო გამოსვ-

ლებიც, თუმცა არც ქართული საზოგადოება, არც აშშ მზად არ აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ პრეზიდენტი ურთიერთობის ზონა დაეკონტაქტებინათ უფრო ახლო კონტაქტში შესულიყვნენ. ჯონ ტეფტი, როგორც ამბობენ, გამოცდილი დიპლომატი, კარგი მეოჯახე და ქართველების მიმართ კეთილგანწყობილი პიროვნებაა, მაგრამ იგი (ან მეთიუ ბრაიზა, ან სხვა) უცხოა და ჩვენც როგორც უკრაინელები და პონდურასელები, პინგვინებზე რომ არაფერი ვთქვათ. ანტიამერიკანიზმი, რომელიც საქართველოსთვის დამახასიათებელი არასოდეს ყოფილა („ცივი ომის“ წლებშიც კი), ბოლო დროს ფართოდ, ალბათ, იმიტომაც გავრცელდა, რომ საზოგადოებამ დასაშვები დისტანციის დარღვევის მცდელობა იგრძნო. ასე ინსტინქტურად მძლო ტრასაზე ამუხრუჭებს, როდესაც ხედავს, რომ სხვა მანქანა გადაჭარბებული სიჩქარით უახლოვდება.

საკაშვილის დაუინებულ სურვილს — ბარაკ ობამას შეხვედეს — ტაქტიკური მიზნების გარდა, საფუძვლად, შესაძლოა, ფსიქოლოგიური მოტივიც უდევს — როგორმე შეაღწიოს ამერიკული პოლიტიკის „პერსონალურ სივრცეში“, სადაც, „სოციალური სივრცისგან“ განსხვავებით, არა მხოლოდ ცივი გათვლა, არამედ სხვა ფაქტორებიც მოქმედებს. ამ და სხვა მსგავსი ამოცანების გადაწყვეტისთვის იხარჯება ასეულ ათასობით დოლარი, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ამერიკულ ლობისტურ კომპანიებს უხდის. საეჭვოა, ამ ძალისხმევამ განსაკუთრებული შედეგი გამოიღოს, რადგან ობამას ადმინისტრაციას მკაცრად განსაზღვრული აქვს მანძილი, რომელიც სააკაშვილმა მასთან ურთიერთობაში უნდა დაცავს.

მატრიცა უპირველეს ყოვლისა

სკანდალმა „იმიტირებული ომის“ გარშემო გასული კვირის ყველა მოვლენა გადაფარა. არადა, საარჩევნო სივრცე მეტად საინტერესო დებატები მიმდინარეობდა. ერთის მხრივ, ცესკოს ახალი თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი აცხადებდა, რომ „სიების მონიტორინგში მონაწილე პარტიები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ იმ საქმეს, რომელიც მათ მიიღეს საბიჯეტო დაფინანსება 100 ათასი ლარის ოდენობით. მოუწოდებთ მედიასა და საზოგადოებას, აქტიურად ჩაერთონ სიებისა და პარტიების მხრიდან საბიჯეტო სახსრების განკარგვის მონიტორინგში“. ამასთანავე, „მრეწველების“ წარმომადგენელი ზურაბ ტყემალაძე კვლავ მიუთითებდა: „არარსებულ კორუფციებზე, მკვდარ სულელებსა და კონკრეტულ ბიზნესზე მიწერილ ათეულობით ადამიანზე“. თინა ხიდაშელი

საუბრობდა „სისტემურ უზუსტობებზე, რომელიც ადასტურებს იმას, რომ საარჩევნო სიები ხელოვნურად არის გაბერილი“. ზურაბ ნოლაიძის თანაგუნდელი ლადო ბოჭაძე თბილისში შექმნილ 286 ვირტუალურ კორპუსს აღწერდა. სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა დიდი ნაწილი ასეთ წვრილმანებზე არ ხურდავდებოდა და პირდაპირ „მილიონ ზედმეტ ამომრჩევლებზე“ და „უკვე გაყალბებულ არჩევნებზე“ საუბრობდა. საინტერესოა, რას მოასწავებს ეს?

ოპოზიციური პარტიების მუშაობას სიების მონიტორინგის პროცესში სისტემურობა და კორუფცია აშკარად აკლია, შეფასებები ერთმანეთისგან სერიოზულად განსხვავდება და, შესაბამისად, რეალური სურათის დანახვის შესაძლებლობა ისპობა. მდგომარეობა არა კონკრეტული ფაქტების, არამედ კონკრეტული პოლიტიკოსების განცხადებების მიმართ „ნდობა-უნდობლობის“ კრიტერიუმის საფუძველზე ფასდება. ასეთი სიტუაცია იდეალური არაგორც გაყალბების რესურსის ამოქმედებისთვის, ისე არჩევნების აპრიორ გაყალბებულად გამოცხადებისთვის, თუმცა ყოველივე ამას რეალური არჩევნების ჩატარებასთან საერთო არაფერი აქვს. საეჭვო საარჩევნო სიაროგორც ერთ, ისე მეორე მხარეს მანიპულაციისთვის ფართო ასპარეზს უხსნის.

ვირტუალურ არჩევნებს, კორუფციებსა და ადამიანებს უკვე ვირტუალური ომიც დაემატა. ვირტუალური რეალობა, როგორც ჩანს, ნელ-ნელა ფარავს საქართველოს, როგორც ნისლი ქალაქ „საილენტი ჰილს“ (ცნობილ თრილერში. ამ კონტექსტში, მკვლევართა განცხადება სხვა, გაცილებით გახმაურებული ფილმი „მატრიცა“ გაახსენდეს. თუ გახსოვთ, მასში ადამიანებს კომპიუტერი სისტემის მიხედვით ელემენტების (ენ. „ბატარეების“) ფუნქცია ეკისრებოდათ. თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სისტემაში ამომრჩევლებს იგივე ფუნქცია ხომ არ გვეკისრება? რომ იტყვიან, Wake up, Neo. The Matrix has you. გაივიწყლო (ადექი), ნეო! მატრიცამ გამოგვიყენა (დაგეუფლა, გიხმარა).

ლიბიბრი მონიავა

ამოქალაქ



ავსტრალიაში ფულს არიგებენ

ავსტრალიაში მილიონერმა კარლ რაბერდმა საკუთარი გამოცდილების შედეგად დაასკვნა, რომ ფულს ადამიანისთვის ბედნიერება არ მოაქვს და გადაწყვიტა, მთელი ქონება ღარიბებს დაურიგოს. თავად კი ერთი ზურგჩანთის ამარა აპირებს მსოფლიოში სეტყალს. 30 წელი ვიტანჯებოდა იმის გამო, რომ სხვა გზით დავდიოდი, განაცხადა მილიონერმა, რომელიც, უკვე რამდენიმე თვეა, ეკონომიურად ხარჯვას სწავლობს. რაზედერისგან ინტერვიუს 5000 ჟურნალისტი ელის.



საკოზის პარტიამ ნააგო

საფრანგეთის რეგიონალური არჩევნების პირველ ტურში პრეზიდენტ საკოზის პარტიამ „UMP“ ხმების 26,2% მოაგროვა და გამარჯვება ხმათა 29,5%-ის მფლობელ სოციალისტურ პარტიას დაუთმო. არჩევნებზე ამომრჩეველთა რეკორდულად მცირე რაოდენობა გამოცხადდა, შედეგად, პარტიებიდან ვერც ერთმა ვერ გადაწონა და 21 მარტისათვის მეორე ტური დაინიშნა. თავად საკოზიმ ნაგებას უმნიშვნელო უწონდა და განაცხადა, რომ ეს შედეგი მისი მმართველობისადმი მოსახლეობის უკმაყოფილებას არ გამოხატავს.




გეგმანი უარყოფს

გერმანიის ფინანსთა სამინისტრომ უარყო ბრიტანული „The Guardian“-ის მიერ გავრცელებული ცნობა იმის თაობაზე, თითქოს ევროკავშირის სახელმწიფოები საბერძნეთისთვის მრავალმილიარდანი დახმარების განევაზე შეთანხმდნენ. უწყების პრეს-მდივანმა მიხაელ ოფერმა განაცხადა, რომ „საბერძნეთს არავითარი დახმარება არ უთხოვია“. ანალოგიური განცხადებები გააკეთეს ევროკომისიის წარმომადგენლებმა და დასძინეს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში მზად არიან მოლაპარაკებებისათვის.



„Moody's“-ი იმუქრება

სარეიტინგო სააგენტო „Moody's“-ის განცხადების თანახმად, აშშ და ბრიტანეთი მნიშვნელოვნად მოუახლოვდნენ მაქსიმალური საკრედიტო რეიტინგის „AAA“-ს დაკარგვის ზღვარს. ამის მიზეზად ამ ქვეყნების სახელმწიფო ვალის მკვეთრი მატება სახელდება. სააგენტოს მონაცემებით, მაქსიმალური რეიტინგის ქვეყნებს შორის აშშ და ბრიტანეთი 2011-2013 წლებში საკუთარი ვალის მომსახურებას ბიუჯეტების შემოსავლის ყველაზე დიდ პროცენტს დაახარჯებენ. 2010 წელს აშშ-ში ეს მაჩვენებელი 7%-ს შეადგენს, 2013-ში კი — 11%-ს.



ნაბუკოს უარი უთხრას

როგორც რუსეთის ენერგეტიკის მინისტრმა სერგეი შმატკომ განაცხადა, რუსეთი ვაზსადენების „სამხრეთ ნაკადისა“ და „ნაბუკოს“ მშენებლობების გაერთიანების საკითხს არ განიხილავს. ეს იყო პასუხი „სამხრეთ ნაკადის“ პროექტში „გაზპრომის“ სრულყოფილების პარტიის, იტალიური „Eni“-ს გენდირექტორის — პაოლო სკარონის მიერ წამოყენებულ ინიციატივაზე. „ჩვენი პროექტი უფრო ძლიერია, ჩვენ გვაქვს შეთანხმებებიც და გაზიც და ველით, როდის შეძლებს ნაბუკო ჩვენთან გაჯობებას“, — განაცხადა შმატკომ.

ფული უპირობის სანახვლოდ, ანუ ქრთამი ობიექტს ანათებს?

აშშ შავი პრეზიდენტის თეთრი სახლის კარი, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, საგულდაგულოდ ჩაირაზა სააკაშვილის ხელისუფლებისთვის, რადგან სისტემური მართვის მოდელით აშენებულ სახელმწიფოში უფროსიან მოდელირებული სახელმწიფოს უსისტემო და არაპროგნოზირებადი მმართველის გაშინაურებას. მით უფრო, კარგად იცინან, რა შეიძლება უჩვენოს მათ „გათამამებულმა ბავშვმა“.

მართალია, მიხეილ სააკაშვილი დღემდე მისტიკის მამობილ ჯორჯ ბუშს; მართალია, კულისებსა და პრივატულ საუბრებში ღიად უწოდებს ამერიკის დემოკრატიულ პარტიას „დემოკრატიის იდეალების მოლაღატეს“; არ მალავს უკმაყოფილებას ობამას მიმართ, რომელმაც, მისი ვერსიით, ჯერაც ვერ დააღწია თავი სამყაროს აღქმის აფრიკულ სტერეოტიპებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღემდე ასე ვიცოდით — აშშ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია!

ყოველ შემთხვევაში, ხელი-სუფლები თავს არ იზოგავდა ხალხის დასარწმუნებლად, რომ, მიუხედავად დროში სხვაობისა და სივრცეში დასხვავებისა, აშშ-ში ყოველი დილა შორეულ საქართველოზე ფიქრში უთენდებოდათ თეთრი სახლის მესვეურებს.

თურმე ასე არ ყოფილა. თურმე სტრატეგიულ პარტნიორთან შეხვედრა უნდა ჩაანუკ, კარგა გვარაინი ქრთამი გაიღო და ამის შემდეგაც ან შეგხვდება და ან — არა. ეს ფაქტი, რომლის წინაშეც ჩვენ დავდევით, მხოლოდ იმას აღასტურებს, რომ აშშ-სთვის საქართველო არა მხოლოდ სტრატეგიული პარტნიორი არ არის, არამედ საერთოდ არ განიხილება სერიოზული ელემენტადაც კი. აღარაფერს ვამბობ მის სერიოზულ სახელმწიფო ადქმანზე.

ამიტომ ასეთ მოდელირებულ სახელმწიფოს სჭირდება ლობისტები აშშ კონგრესისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრების მოსაწყობად. ლობისტობა კი ფული ღირს, დიდი ფული. ამ საქმეს მოემსახურება სააკაშვილის ხელისუფლების დაქირავებული „პოდესტა გრუპი“, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში 300 ათას დოლარს მიიღებს საქართველოს ბიუჯეტიდან.

ამ ჯგუფის პირველი რიგის ამოცანას საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის სამუშაო ვიზიტის ორგანიზება წარმოადგენს. წინასწარი შეთანხმებაც მიღებული ყოფილა. ნათელია, ვაშინგტონი ბათუმი არ არის და სააკაშვილი იქ კვირამი ორჯერ ვერ ჩავა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მისი მხოლოდ ერთი სამუშაო ვიზიტის ორგანიზება ბიუჯეტს 300 ათასი დოლარი დაუჯდება.

სხვათა შორის, აშშ-ში ლობისტების შესახებ კანონი, დიდი ხანია, მოქმედებს და იქაურ ლობისტებს ოფიციალურად ხელშეკრულებით ქირაობენ ჩვენისთანა ქვეყნები, რომელთა პრეზიდენტებსაც გარკვეული საზღაურის გადახდადელი თეთრი სახლისა თუ კონგრესის პარმალზე გადაბიჯების უფლებასაც არ აძლევენ. **ძმებ ტონი და ჯონ პოდესტების მიერ ვაშინგტონში 1988 წელს დაარსებული ფირმის — „პოდესტა გრუპის“ კლიენტები არიან კორპორაციები „ბიპი“, „ჰაინეკენი“, „ჟოლ-მარტი“, „ლოკიდი მარტინი“... და — არც ერთი სახელმწიფო. საქართველო პირველია, პირველად მსოფლიოში ერთი კლიენტურა „ჰაინეკენი“ და საქართველო. ეს უნდა აღვნიშნოთ, ოღონდ ლუდით და აუცილებლად — „ჰაინეკენით“!**

„პოდესტა გრუპს“ ამჟამად ტონი პოდესტა მეთაურობს. ფირმის ძირითადი აქტივი კი მისი ძმის — ჯონის კავშირ-რურთიერთობანი ყოფილა. იგი ხელმძღვანელობდა ბილ კლინტონის ადმინისტრაციას და ბარაკ ობამას უნდის მისი ინაუგურაციამდე.

ძალიან გაგვიმართლა. ასეთი კაცი ხელიდან გასაშვები ნამდვილად არ არის. ამიტომ, ჩვენც გადავლახოთ ოკეანე უშიშროების საბჭოს მდივან ეკა ტყემლაშვილთან ერთად (ხელშეკრულებას ხელს იგი აწერს) და გავეცნოთ ხელშეკრულების პირობებს, რომლის მიხედვითაც, საბაზო ღირებულების, 300 ათასი დოლარის გარდა, საქართველოს უშიშროების საბჭო გადაიხდის ყველა დამატებით ხარჯს, მათ შორის ფირმის თანამშრომელთა უცხოეთში მივლინების ხარჯებსაც.

დავაზუსტოთ, კონტრაქტში ჩაიხვედოთ: **„გამგზავრების ხარჯებში შეიძლება შევიდეს ეკონომიკური კლასის ბილეთები, სტანდარტული სასტუმროს ნომრები და ტრანსფერი აეროპორტში, ტონი პოდესტას მგზავრობის გამოკლებით, ვისი ხარჯებიც გადაადგილებასთან დაკავშირებით ანაზღაურებული იქნება ბიზნეს-კლასის ტარიფების მიხედვით“.**

ჰოო, ნახეთ რა პრივილეგიები აქვს ტონი პოდესტას? ვითომ რატომ? მარტივად ავხსნინი — იგი ხომ თვით ჯონის ძმია, იმ ჯონის, რომელსაც ჯერ მონიკა ლევისკი შეჰყავდა ბილ კლინტონთან, მოგვიანებით, მ წლის შემდეგ კი, ბარაკ ობამას დაუკომპლექტა აპარატი.

აი, ასე ზრუნავს ჯონი თავისი კავშირურთიერთობებით ძმზე — ტონიზე. თვითონ ჯონი ახლა რას აკეთებს, ჩვენისთანა გაჭირვებულ ქვეყნების ხელისუფლების ლობისტების გარდა, უცნობია, თუმცა ამაზე ღვთისნიერ საქმეს რას უნდა აკეთებდეს — აღმართში ქვადაწეულებს შემწედ და მფარველად დაუდგას; მართალია, სოლიდური ანაზღაურების სანაცვლოდ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, გვქონდეს ფული, ადრესატს თუ ვერ იპოვო, ვინც შენს სტრატეგიულ პარტნიორს შეგახვედრებს?!



— აბა, მაიკლ, მითხარი, რამ შეგანუხა?
— ბიძია, შენი ლამაზი თვალების ჭირიმე, დამეხმარე რა?..

იმას, რაც სტრატეგიული სიბრწყევა, ჩვეულებრივ აშშ-ად აღიქვამს დეპუტატი დავით დარჩიაშვილი, რომელსაც ოღონდ „ნაციონალური მოძრაობისა“ და პრეზიდენტ სააკაშვილის დაცვის შესაძლებლობა მიეცეს, თავგამოდებულ ნუგზარ ნიკლაურსაც კი გადაახტება. აი, ნახეთ ევროინტეგრირებული დავითიანი როგორ უღერს: **„ლობიზმი მთელ მსოფლიოში ნორმალიზირებული მოდელირებად ითვლება. რატომ არ უნდა გააკეთოს ეს საქართველომ, თუ რუსეთი მილიარდობით დოლარს ხარჯავს თავისი ინტერესების წინაშე, რომლებიც ჩვენს ქვეყნის წინაშეაღდგენს არის მართული“.** ეს კომენტარი მან გაზეთ „კომერსანტს“ მისცა; ის კი აღარ უთქვამს, რომ რუსეთი აშშ პრეზიდენტთან შეხვედრის ორგანიზებისთვის ერთ ცენტსაც არ გადაუხდის ჯონი-ტონისნაირებს. აი, საქართველოში ბიუჯეტმა კი პრეზიდენტ სააკაშვილის პრეზიდენტ ობამასთან შეხვედრის ორგანიზებისთვის 300 ათასი დოლარი უნდა გადაიხადოს. ეს დაუქვითავად, დამატებითი ხარჯები ცალკეა.

„პოდესტა გრუპის“ გენერალური დირექტორ კიმბერლი ფრეტსსა და საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივან ეკა ტყემლაშვილს შორის 2010 წლის 12 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება 30 ივნისამდე ვადით დაილო კიდევ 6 თვით გაგრძელების შესაძლებლობით. ამ დრომდე ჯონი თავისი კავშირურთიერთობებს გამოიყენებს და ერთი საათით შეახვედრებს ობამასა და სააკაშვილს, რაშიც მისი ფირმა 300 ათას დოლარს მიიღებს (ვიმეონისთანა გაჭირვებულ ქვეყნების ხელისუფლების ლობისტების გარდა, უცნობია, თუმცა ამაზე ღვთისნიერ საქმეს რას უნდა აკეთებდეს — აღმართში ქვადაწეულებს შემწედ და მფარველად დაუდგას; მართალია, სოლიდური ანაზღაურების სანაცვლოდ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, გვქონდეს ფული, ადრესატს თუ ვერ იპოვო, ვინც შენს სტრატეგიულ პარტნიორს შეგახვედრებს?!

— დილა მშვიდობისა, მისტერ პრეზიდენტ!
— დილა მშვიდობისა, მაიკლ!
— როგორ ბრძანდებით, მისტერ პრეზიდენტ?

— გმადლობთ, მაიკლ. რატომ დაგაგვიანდა, აუზში ნებივრობა გაგიგრძელდა?
— მაპატიეთ, მისტერ პრეზიდენტ, თქვენთან მოსვლამდე ეკლესიაში ვიყავი, ვლოცულობდი.
— ააა, ლოცულობდი?
— დიახ, მისტერ პრეზიდენტ, ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრების წინ ყოველთვის ლოცვის სურვილი მიჩნდება.
— აბა, მაიკლ, მითხარი, რამ შეგანუხა?
— ბიძია, შენი ლამაზი თვალების ჭირიმე, დამეხმარე რა?..

— კარგი, მაიკლ, დაგეხმარები, რა გავაკეთო?
— მისტერ პრეზიდენტ, იქნებ უთხრათ, მუქარა შეცვალონ, ძალიან გთხოვთ.
— კარგი, ვეცადე, მაგრამ ბევრს ვერაფერს დაგპირდები.
— მისტერ პრეზიდენტ, შეერთებული შტატები და საქართველო ხომ სტრატეგიული პარტნიორები არიან...
— რა? აა, ჰო, კი, რა თქმა უნდა...
— ჰოდა, მისტერ პრეზიდენტ, განა თქვენ გინდათ, რომ თქვენს სტრატეგიულ პარტნიორს დაკოდილი პრეზიდენტი ჰყავდეს?

— რა? ჰა-ჰა-ჰა, ჰა-ჰა-ჰა...
შავი პირისაზე კიდევ უფრო შესამჩნევს ხდოდა ჯანსაღი კბილების სითეთრეს. დიდხანს იცინოდა აშშ პრეზიდენტი. მაიკლიც იცინოდა, თუმცა ვერ გაიგებდა, ეს სიცილიც სტრატეგიულად გადაედო, თუ მართლა ეცინებოდა.
ის-ის იყო კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, რომ აშშ პრეზიდენტის პროტოკოლის უფროსი შემოვიდა, მისგან ერთი ნაბიჯით უკან საქართველოს პრეზიდენტის პროტოკოლის უფროსი იდგა.

— მისტერ პრეზიდენტ, შეხვედრის დრო ამოიწურა. პრესა გელოდებათ.
— კარგი, — ხელის მკვეთრი მოძრაობით დასცა ბუზი პრეზიდენტმა ობამამ, — ნაწილდეთ, მაიკლ, პრესას ნუ ვალოდინებთ.
— პრესას? ჰო, პრესას...
ფურნალისტები შეხვედრის მიმდინარეობით დაინტერესდნენ.

— ბატონო პრეზიდენტო, მიაღწიეთ თუ არა შეთანხმებას სტრატეგიულ პარტნიორობაზე?
— რასაკვირველია, ჩვენ, დიდი ხანია, სტრატეგიული პარტნიორები ვართ, ასე არაა მაიკლ?
— საქართველოს ტერიტორიული პრობლემების მოგვარების გზები თუ დასახეთ?
— დიახ, ამ თემაზეც ვისაუბრებო. მაიკლი ძალიან შენუხებულია თავისი ტერიტორიების პერსპექტივით და დაუინებოთ მოითხოვდა ჩემს ჩარევას. ჩვენი სერიოზული ვიმჯღელეთ და გადავწყვიტეთ, რომ აშშ იზრუნოს მისთვის მტკივნეული პრობლემების უმტკივნეულოდ გადაწყვეტაზე.

— ბატონო პრეზიდენტო, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ რუსეთის ხელისუფლება დათანხმდება საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრას და საუბარს?
— არა, ამის იმედი არ მაქვს, სანამ მათ არ დაველაპარაკები. ახლა ზუსტად ვერ ვიტყვი, როგორ განვითარდება მოვლენები უახლოეს მომავალში, მაგრამ ვიმედოვნებ, რუსეთის ხელისუფლება უარს არ მეტყვის საქართველოს პრეზიდენტის თხოვნის შესრულებაზე.

— თუ შეიძლება, შეიძლება საქართველოს პრეზიდენტთან: მისტერ მაიკლ, პრეზიდენტი ობამას განცხადებით ანათებს და ანათებს, რომ განსაკუთრებით განუხებთ თქვენი ტერიტორიების პრობლემა. თქვენ თუ ხართ კმაყოფილი ამ შეხვედრით და სამუშაო ვიზიტით?
— მე ბედნიერი ვარ, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, შეხვედროდი მსოფლიოში ყველაზე მაგარი ქვეყნის ყველაზე მაგარი პრეზიდენტის პრეზიდენტი იყო, რომ სწორედ ის გამხდარიყო ამ ქვეყნის პრეზიდენტი. დიახ, ასე იყო მისტერ პრეზიდენტი, მე საგანგებოდ მხოლოდ შავი ფერის მანქანებით დავდივარ. ჩვენ, ქართველები, ისტორიულ ყველაზე ტოლერანტული ვართ, ამიტომ ჩვენთვის სულერთია ქრისტიანი და მუსლიმანი, იუდეველი და ბუდისტი, თეთრი და შავი... ჩვენ ყველასთან მეგობრული ურთიერთობა გვქ-

ონდა, გვაქვს და გვექნება. მე ბედნიერი ვარ, რომ მისტერ პრეზიდენტმა გამოიხატა დრო და მიმილო. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა და დღევანდელი საუბარი დიდ იმედებს მისახავს. მისტერ პრეზიდენტმა მითხრა, რომ დამეხმარება ჩემი ტერიტორიების დაცვაში მსახვრალი ხელისგან. მე არ დავასახელებ ამ ხელის პატრონს, ალბათ, თქვენც ხვდებით.

დიდი მადლობა მისტერ პრეზიდენტს, რომ არა თქვენი მხარდაჭერა, მე ახლა აქ არ ვიქნებოდი, აქ არ ვიდგებოდი მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ქვეყნის ყველაზე ჭკვიანი პრეზიდენტის გვერდით. უკვე ვთქვი, რომ ჩვენთვის, ქართველებისთვის, სულერთია თეთრი და შავი, მტერი და მოკეთე, მდიდარი და მათხოვარი, სიხარულით ვუღებთ კარს... ვაი!..

პრესკონფერენცია დამთავრდა, აშშ-ის შავი პრეზიდენტი თეთრ სახლში გაუჩინარდა, საქართველოს პრეზიდენტი კი დიდხანს უხდინა მადლობას ჯონი და ტონი პოდესტებს ამ შეხვედრის ორგანიზებისთვის, განსაკუთრებით ჯონის მისი აქტიურობისთვის — კავშირურთიერთობებისთვის: ჯონ, ტონ, ჩამოდი საქართველოში, 300 ათასი რა არის, თან გადაგყვებით, თქვენ უკვე ქართველები ხართ, ჩვენები ხართ!..

მე შემოგათავაზეთ 300 ათას დოლარად ორგანიზებული შეხვედრის მოდელირება. თავიდანაც გადავწყვიტე, რომ, თუკი პრეზიდენტ სააკაშვილს „პოდესტა გრუპმა“ ოცნება აუხრულა და პრეზიდენტ ობამას შეხვედრა, მათ შორის, საგარეულოდ, ასეთი შინაარსის საუბარი გაიმართება.

თქვენ მაინც და მაინც რეალობად ნუ მიიღებთ ამ მოდელირებას და ნუ დაიზაფრებით. ეს უბრალო მოდელირებაა, იმიტაცია, რომელიც დიდი ალბათობით რეალობად იქცევა სულ რაღაც 300 ათას დოლარად.

მომდევნო ნომერში კიდევ ერთ მოდელირებას შემოგთავაზებთ, რომელიც საქართველოს ბიუჯეტს 500 ათასი დოლარი დაუჯდება. მიუხედავად ამისა, რომ შარშანდელი, 770 ათასდოლარიანი მოდელირების სამგანზომილებიანი მცდელობა ფუჭი აღმოჩნდა.

და ბოლოს. ვაი ჩვენს პატრონს, რომ ასკარდობაშიც კი ქრთამის გაღება, კონსულტანტების დაქირავება და დიდძალი ფულის გადახდა გვინებს...

თუმცა რაღა ჩვენს; ვაი, იმის პატრონს, ვინც ამ უღირსი ტრანსფორმაციისთვის კონსულტანტებსაც კი ქირაობს...

რაც შეგხვება ჩვენ, რიგით ქართველებს, ისეთი სუფრენიტეტის, ისეთი ქვეყნისა და პრეზიდენტისა რა ვთქვი, ვინაც იმპერატორთან (გნევაზე სტრატეგიულ პარტნიორობაზე) შეხვედრისა და მჭიდური ბიზონის ტყავისგან ექსკლუზიურად შეკერილი ნაღების (გნევაზე მოკასინის) დაკოცვის უფლებით ძმები პოდესტები „ტრისტა ტისინს ახვევენ“.

ბონდო
ჰიქინარაჰიქილი

პრეზიდენტის ავადმჯობეობის შემთხვევაში, ანუ ვიღაც თავისი სხვირის იქით ვერაფერს ხედავს

მით უფრო, თუ ეს ცხვირი ოპოზიციისაა, რომლის (ოპოზიციის) თვალსაწიერი გასულ პარასკევს მიხილ სააკაშვილმა მისი (ოპოზიციის) ცხვირის სიგრძით მოზომა — ამის და თბილისის ცენტრის იქით ვერ იცქირებიანო.

მაგრამ შაბათ საღამოს „იმედის“ „სპეციალური(!) რეპორტაჟის“ შემდეგ ეთერში გატყორცნილი ეს კატეგორიული განცხადება, მგონი, ავტორს უბრუნდება ბუმერანგით. „იმედმა“, ამ მასხარა პოლიმი-ნელმა, მოლაყებმა და „დიდმა მესაიდუმლემ“, ყველაფერი დაფუძნა და ჩამოარაკრაკა, თანაც ისე, რომ სააკაშვილის ნებისმიერ ოპონენტს შემურდებოდა. გველი გამოუზრდია პატივცემულ მიხილს უბეში „იმედის“ სახით და არ კი იცოდა იმ შაბათ საღამომდე.

ვერ დანახა? სასწრაფოდ, ოპერატიულად გამიფხანა, გადაცემის მსვლელობის დროსვე, არველაძის „ნიჭიერების“ მიერ „კონსტრუირებულ სიტუაციაში“, დიდ ტყუილს არველაძის „იმედისა“, თუ ვისიცაა. აქამდე ეს არის, ისევე, როგორც ყველა სხვა, ორის გამოკლებით, „მშრომელთა მასების“ მიერ აღიქმებოდა როგორც პრეზიდენტის გაგრძელება და — პირუკუ: პირველი მეორის ხატებას ქმნიდა და განადიდებდა, მეორე პირველს განამტკიცებდა. უძახე, კერძოაო! ხალხმა „იმედის“ ეს შედეგის სააკაშვილისეულად აღიქვა, ლამის მისი სცენარით ხორცშესხმულ ახალ სიტყვად ურნალისტიკაში.

ექსპერტებმა — ანტიფურ-ნალისტიკად. ოპოზიციის დაპყრეს თითქოს „კონსტრუირებული“ მინტინგის მეშვეობით, რომელშიც სიუჟეტის განვითარების კვანძის შემკვერელად თავად სააკაშვილი წარმოვიდგინეს, ოპოზიციას დაპყრეს ვითომ დიდი ბუმტი კი გაუსკდათ, რომელსაც 2003 წლის ბოლოდან მოყოლებული ბერავდა „თემური და მისი რაზმი“.

ერთ საღამოს ერთი უნიჭობის დემონსტრაციით ხალხს დაანახეს ბინძური საცვალე იმ ვირტუალური წარმოდგენების, რომელთა სისტემატური ჩვენებითა და პნევმატური ჩაქუჩის მონოტონურობით ტვინის უბურღავდნენ ელექტორატს ტელემოხალისე პოლიტიკოსები — დიდები და პატარები. განვირგინა და პილატესავით ხელი დაიბანა, მაგრამ მეორედ დღესვე ბოლნისში, სადაც, ალბათ, საზოგადოებრივი აზრის სამჭედლოა, დაჯდა საფიხენ-სომი და აგვისხანა, რომ კი იყო უხერხული ის, რაც ეკრანზე ვიხილეთ, მაგრამ შეიძლება, ასეც მოხდესო. რა შეიძლება მოხდეს, ბატონო მიხილ?! რუსეთის შვიარა-ღებულები ძალეების შენაერთების შემოჭრა საქართველოში ორი მიმართულებით — ახალგორიდან და სომხეთიდან ისე, რომ სერიოზული წინააღ-



მდეგობა არსად შეხვდეთ?! შაბათ საღამოს „იმედში“ მისულმა პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ პრეზიდენტის სახელით განაცხადა, რომ დღევანდელ ვითარებაში რუსეთის მხრიდან ანექსია შეუძლებელია. კვირას კი პრეზიდენტმა დაგვეტყვა: „მთავარი უსიამოვნება იყო ის, რომ ეს რეპორტაჟი მაქსიმალურად ახლოსა არსებულ ვითარებასთან — იმასთან, რაც შეიძლება მოხდეს და რაც საქართველოს მტერი თავში მოუკიდებს“, ანუ შეიძლება ისე მოხდეს, როგორც არველაძის (თუ ვილაცის) კიდევ) ავადმყოფურმა ფანჯანამე წარმოვიდგინა — თბილისის ბომბავენ, ფოთის ბომბავენ, ცოტაც და რუსული სამხედრო ტექნიკა რუსთა-ველზე შემოგვრდება. ხოლო დედაქალაქისკენ მომავალ „ტანკების კოლონის (sic!) სამი ბატალიონი გამოიყვო. მათ (!) უარი განაცხადეს სააკაშვილის დანაშაულებ-

რივი რეჟიმის დასაცავად ჩამოსვლაზე“. იმტერი თავი: არ უნდა გვემინოდეს, მაგრამ უნდა გვემინოდეს, რომ არ გვემინა?! „გვემინოდეთ მშვიდობის“?! (ბერტოლდ ბრეჰტი). შიშის რა მოგახსენოთ, მაგრამ გაოგნებული კი ვისმენდი, როგორი მონდომებითა და ექსპრესიულობით უტყვდა „იმედი“ მიხილ სააკაშვილს. უცნობი ავტორის მიერ ოპოზიციის ნათქვამად გასაღებულ რეპლიკებით ისე აეკობდა პრეზიდენტს, რომ რადიკალურ ოპოზიციასაც კი შეშურდებოდა: „გადადგეს ქართველების სისხლი გასერილი სააკაშვილი“. ოპოზიციის დარბეული მიტინგის სამმა დაჭარბომა მონაწილემ უარი განაცხადა საავადმყოფოში მისულ სააკაშვილთან შეხვედრაზე. მონდობა მარნაშვილი: „ალ-არ მიიღონ მონაწილეთა სააკაშვილის ავანტიურაში, რომლის მიზანია თავისი სკა-

მის გადარჩენა, ხოლო ქვეყანას განადგურება ემუქრება!“ საბრძოლო ლოზუნგი: „საკაშვილის ტირანისგან თავისუფლება!“ და ა.შ. მთავარსარდლის მიერ ჯარის ხელმძღვანელობის მეთოდზე, რომელიც „იმედმა“, როგორც ჩანს, ტაქტიკური აზროვნების მიღწევა მიიჩნია და მიხილ სააკაშვილს მიანერა, ლაპარაკი უხერხულია: პრეზიდენტი თბილისშია, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი მკაცრად გასაიდუმლოებულია. დამალა? და სადაც ავლარის მტერალა კლდის სიღრმეში მოწყობილი თავშესაფრიდან „განაგრძობს ჯარების ხელმძღვანელობას“. რომელი ჯარის ნაწილებს? დეზერტირობა რომ გადაწყვიტეს, თუ იმათი, რომლებმაც დასავლეთიდან მცხეთამდე შემოუშვეს რუსეთის არმია, ან იმათი, აღმოსავლეთიდან თბილისისკენ რომ იხევინ?! მე რა ვიცი?

მე — არაფერი. აი იმ „სპეც-რეპორტაჟში“ კი ქართველი ხალხისადმი მიმართვაში პრეზიდენტს ათქმევინებენ: „ვიბრძოლებთ ყველა ქუჩისთვის, ყველა სახლისთვის“. თბილისის ქუჩებსა და სახლებზე უთუოდ ლაპარაკი, რადგან განცხადების პასაჟი — „საქართველოს გულს ვერავინ ამოგლეჯს“, თბილისზე უნდა მიგვანიშნებდეს და არა ჩვენი ქვეყნის რომელიღაც სხვა დედაქალაქზე. არ გვაქვს, თუ რა! მომინდომეს სტალინგრადის ბრძოლა და „პავლოვის სახლი“! მიმართვის პათეტიკა — სიყალბის ნიშნები და ელემენტარული პლაგიატი: „დანო და ძმანო“, „მეც თქვენთან ვარ და ერთად ვებრძობოთ მტერს“. როგორ? ჩვენც დავიბალოთ და ასეთნაირად დავერათ მომხდურს? 1941 წლის 3 ივლისს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის — იოსებ სტალინის გამოცხვალა რადიოთი ინვეტირება ასე: „ამხანაგებო! მოქალაქეო! ძმებო და დებო! ჩვენი არმიისა და ფლოტის ჯარისკაცებო! მოგმართავთ თქვენ, ჩემო მეგობრებო!“ იგრძენით განსხვავება? * * * მორალი: პროტესტი, რომელიც „იმედის“ ამ გადაცემას — კლინიკურ შემთხვევას ელემენტარულ პრესაში — მოჰყვა, მონაწილეს, რომ მთავრდება საქართველოს მოსახლეობის ტელეზომბირებულობის ეტაპი. არ უნდა იყოს ცუდი! არამაჰ სანაბლიკა

ბოროტი ბიჭები ტელევიზორიდან

საზოგადოების შანტაჟი ტელევიზორის 13 მარტის ავადსახსენებელ „სპეციალურ რეპორტაჟამდე“ კარგა ხნით ადრე დაიწყო — რუსები პრეზიდენტ სააკაშვილის მკვლელობას ამზადებენ; ყოფილი პრემიერი, პარლამენტის ყოფილი სპიკერი და ოპოზიციის უდიდესი უმრავლესობა რუსეთის აგენტები და საქართველოს მოლატეხები არიან; რუსეთი ქართულ ოპოზიციურ ძალებთან ერთად საქართველოს ოკუპაციას გეგმავს; და უცნაური ჭორი — სასიკვდილოდ დაჭრეს ცხინვალის პრეზიდენტი ედუარდ ჯაბევიერი...

გადაცემა, საქართველოს გარდა, მთელმა დაინტერესებულმა მსოფლიომ ნახა და, ვფიქრობ, მის შინაარსზე დანერვილებით საუბარი აუცილებელი არ უნდა იყოს; იგი თვით ნაციონალურ უმრავლესობასაც კი არ მოეწონა. უკვე თქვა, რომ დარდელულია არა მარტო მაუწყებლობასთან დაკავშირებული, არამედ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობებიც. წმინდა პროფესიული თვალსაზრისით, გადაცემა ძალიან დამაჯერებლად იყო დადგმული, რაც მაფიქრებინებს, რომ მის მომზადებაში უმაღლესი კვალიფიკაციის პიარ-მენეჯერები მონაწილეობდნენ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ქართუ-

ლი საზოგადოების შანტაჟი ტელევიზორში დიდხანს და საბგულდაგულოდ მზადდებოდა. ამის დასტურია უშუალოდ ამ გადაცემის შემდეგ ტელევიზორის სტუდიაში გამართული ე.წ. საზოგადოებასთან შეხვედრა. ეს იყო ყოველდღიური სამარცხვინო აქტი სოლიდური ადამიანების მონაწილეობით. ამ უკაცრავად პასუხია და, ინტელიგენტებს არ გააჩნიათ საკუთარი აზრი. ხოლო მათი კოლექტიური აზრი ასევე პროცენტით ემთხვევა საეჭვო გონებრივი შესაძლებლობების მქონე სვიმონ მასხარაშვილისას, რომელიც, თავის მხრივ, თუთიყუშით იმეორებს სააკაშვილისას, ან პირიქით — სააკაშვილი იმეორებს სვიმონის აზრებს.

...დაიწყო რუსული აგრესია. მტერი ყოველი მხრიდან გვიტყვის. იბომბება საქართველოს ქალაქები და სოფლები. ქართული არმია დემორალიზებულია. ქვეყანაში პანიკა და ქაოსი სუფევს. ოკუპანტების მხარეს გადავიდა მთელი ოპოზიციური ძალები, ალასანიას გარდა. შეიქმნა სატელიტური მთავრობა ბურჯანაძე-ნუგაიდელის მეთაურობით. პრეზიდენტი სააკაშვილი ღრმა იატაკქვეშეთშია. პრეზიდენტი მოკლულია. პრეზიდენტი ცოცხალია... იმედისუფლი პროგნოზი ასეთია — არჩვენებში დამარცხებული ოპოზიცია რუსულ შეიარაღებულ ძალებს ინვესს. ქართული არმია რუსებთან ომს რამდენიმე წუთში წინააღმდეგობის გაუწევლად აგებს; პრეზიდენტი სააკაშვილი მკვდარია ან სადაც იმალება; საქართველო და მისი არმია სავსეა მოლატეხებით; ინვესსია მოლატეხებით საქართველოს კონფედერაციულ მონეობაზე რუსული მხარის მონაწილეობით... ეს იყო ერთ-ერთი ქართული ტელევიზორის მხრიდან საკუთარი ხალხის შანტაჟი და ცი-ნიკური გამასხარავება უმძიმესი მორალურ-ფსიქოლოგიური შედეგებით. მოკლედ, ეს იყო დანაშაული. უმძიმესი შეცდომები სააკაშ-

ვილისგან ახალი ამბავი არ არის, მაგრამ ამ ეპიზოდში მან საკუთარ თავს გადააჭარბა, როცა „იმედის“ ამ გადაცემის გამართლება სცადა და, ფაქტობრივად, მის შექმნაში თანამონაწილეობა აღიარა. საგარაუდოდ, არველაძე-საკაშვილის დეუტი და მისი მრჩევლები ამ გადაცემით მოლატეხებდად შერაცხული ოპოზიციური ძალებისა და მათი ლიდერების სახელის გატყვევას შეეცადნენ. მათ მშვენივრად იცნა, რომ ამ მიმართულებით განხორციელებული სახელისუფლო ღონისძიებები აშკარად საკმარისი არ არის. მოლატეხების დამტკიცებას სერიოზული და უტყუარი არგუმენტები ესაჭიროება. ვინაიდან ასეთი მტკიცებულებები მწელი მოსაპოვებელია, მით უფრო, თუ ისინი არ არსებობს, ხელისუფლება საზოგადოების (და საკუთარი თავის) დარწმუნებას ფორმალური მსჯელობით ცდილობს. 13 მარტის „ქრონიკა“ ამ ტენდენციას გაგრძელება იყო, ოღონდ ამჯერად აშკარად გადაამალაშეს. მართალია, ნახევარ საქართველოს გულზე დაუხებელი და ნეკროზი შეჰყარეს, მაგრამ, ვფიქრობ, ამ გადაცემით ოპოზიცია უკმაყოფილო არ უნდა იყოს. ის, რაც არველაძის ტელევიზორში და პრეზიდენტმა სა-

აკაშვილმა საკუთარ თავს დაკმარეს, ამას ათასი მტერიც ვერ იზამდა. ბოდიშები და ახსნა-განმარტებები ვეღარაფერს უშველის. ვაცმა რომ თქვას, სააკაშვილს თავისი მარადიული ფავორიტისადმი საყვედური არ ეთქმის — არველაძემ უმძიმეს ვითარებაში ჩავარდნილ პრეზიდენტს საკუთარი პოლიტიკური იმიჯის გადარჩენის უნიკალური შანსი მისცა. იგი ცოცხალი უფრო მამაცი და გონება-მხივლი კაცი რომ ყოფილიყო, სასწრაფოდ გამოიყენებდა ამ შესაძლებლობას — ბოდიშ მონდობა და თანამდებობიდან გადადგებოდა; თანაც ყველაფერს არველაძეს გადააბრუნებდა (არ მითხრათ, პრეზიდენტი საკუთარი შეცდომების სხვაზე გადაბრუნება არ ეხერხებაო!) ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდებოდა. სამაგიეროდ, მოხდებოდა სხვა რამ — ჯოხი რამდენიმე მეორეხარისხოვან ურნალისტზე, რედაქტორზე, პროდიუსერსა და პირადად არველაძეზე გადატყდებოდა. ამასთან, ახალი ძალით აგორდება უბინძურესი კამპანიის „ახალი ტელე“ ყურნალისტების წინააღმდეგ. ამაზე ლაპარაკი უკვე დაიწყო და ლაპარაკობენ ის ადამიანები, რომლებმაც ურნალისტი-

კაზე თვით გორგი არველაძე-ზე ნაკლები იცნა. თავის მხრივ, ტელევიზორის თანამშრომლების აშკარა დასჯა საკმაოდ პრობლემური საკითხია. „იმედი“ ხომ ფორმალურად კერძო, დამოუკიდებელი ტელეკომპანიაა! ამიტომ, ვისაც გინდათ, დაგენიძლავებთ, რომ „იმედზე“ არავის არ დასჯიან — ვინც დასასჯელია, ტელეკომპანიიდან საკუთარი სურვილით წავა! დაიხ, საკუთარმა ტელეკომპანიამ დათვური სამსახური გაუნია სააკაშვილსაც და მთლიანად ხელისუფლებასაც, მაგრამ ეს არ იძლევა იმ გადაცემის ეთერში უშუალოდ გამშვებით გამორეცხვას, რომელიც მისი ადამიანების საბაბს. ვწუხვარ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ადამიანებმა, რომლებიც საკუთარ თავს უწოდებენ ურნალისტებს, კიდევ ერთხელ ისეთი ლაქა მოსცხეს ქართულ ურნალისტიკას, ქართული ნელი დასჭირდება. 13 მარტის მაგალითი უთუოდ შევა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სახელმძღვანელოებში, როგორც ანტიფურნალისტიკის, უსინდისობისა და საკუთარი ხალხის ფეხებზე დაკიდების უცხადესი მაგალითი. მიმიფურთხებია ასეთი უურნალისტიკისთვის! თეიმურაზ ქორიძე

«ВЛАДИМИРСКИЙ ЦЕНТРАЛ, ВЕТЕР СЕВЕРНЫЙ...»

„ჩრდილოეთის ქარი“ — მეტეოროლოგიური პროგნოზი საქართველოში ბოლო ხანს საოცრად ნააგავს პოლიტიკურს, მაგრამ, თუ იშვიათი სიძლიერის ჩრდილოეთის ქარებს ჩვენში გლობალური დათბობითა და დედამიწის ლერძის რეასანტიმენტურიანი გადახრით ხსნიან, ჩრდილოელი მეზობლისგან მონაქროლი ქარი საქართველოს პოლიტიკაში მხოლოდ ერთი გარემოებით აიხსნება: **ვლადიმერ პუტინი** — რუსეთის ხელისუფლების **ცენტრალური** ფიგურა — ქართველი პოლიტიკოსების დათვალეობას აწყობს და ხვდება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ექსემთაურ **ზურაბ ნოღაიდელსა** და საკანონმდებლო ორგანოს ექსემთაურ **ნინო ბურჯანაძეს**.



პრეზიდენტის, რომელმაც სიცოცხლე შესწირა ქვეყნის რუსეთისგან გაუცხოებას) სენია და თანამოაზრე ზვიად კონსტანტინეს ძისგან განსხვავებით, დროულად მიხვდა: **პოლიტიკა საქართველოში პალიკეთესო ბიზნესია** და მასწავლებლისგან განსხვავებით, ცოცხალი გადარჩა;

— მთავარ ლეიბორისტ **შალვა ნათელაშვილს**, რომელიც ხშირად, „სახალხო პარტიისგან“ განსხვავებით, ნამდვილად ახერხებს სახალხო პრობლემების გადაჭრას, თუმცა, კონსერვატორებისგან განსხვავებით, **სამუდამოდ „დაკონსერვდა“** ამ თავის პოლიტიკურ ნიშაში.

პუტინი მათ არ მიიღებს, რადგან კონსულტაციები „რუსეთის სუფრასთან დაშვების მოსურნეთათვის“ უსარგებლოა: მიუხედავად იმისა, რომ ხუთივე ზემოხსენებული მოღვაწე (ნოღაიდელი, ბურჯანაძე, დავითაშვილი, ჩრდილოეთის ქარის“ მიმართულებით დგას, ერთმანეთს ჯიუტად ვერ „ამჩნევს“ (რაც ასე დამახასიათებელია ჩვენს ამბიციურ და ანგაჟირებულ პოლიტიკოსებისათვის), ამიტომ მათი კონსოლიდაცია შეუძლებელია.



ამითვე აიხსნება მათთან ლამის გაერთიანებული **ირაკლი ალასანიას** თავბრუდამხვევი ვირაჟი, რომელმაც ერთ დღეში გააცნობიერა, რომ **სიყვარულში მესამე ზედმეტია: „სჯობს პირველხარისხოვანი ალასანია იყო, ვიდრე — მესამეხარისხოვანი ნოღაიდელი!“** — მიახვედრეს ალასანია და „უძღვები შვილის“ დაბრუნების აღსანიშნავად ქართველი ელიტის მიერ გამართულმა შეხვედრამ ამ გათვლის მართებულობა დაადასტურა (მით უმეტეს, რომ მოსკოვში პოლიტიკური ტურის საშუალება მას კიდევ უამრავი ცნობილი მიზეზით ექნება). ჯერჯერობით კი მოსალოდნელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების ნიშნად ქართველმა ელიტამ ირაკლის **სამფრეოვანი (ნითელი, ლურჯი და თეთრი)** ბურთი გადასცა, როგორც **რუსული, ასევე ამერიკული დროშების ფერის...** დაე, ხალხმა ტვინი იჭყლიტოს ნაირნაირ პრაიმერებზე, რომელთა მიღმა მუდამ რალაქსა და არავენ „ანაფორის ქვეშ“ მა არავინ ამბობს სიმართლეს...

ქის „სამეშალოს“ წინაშე 2003 წელს იღბა: ოფიციალური ხელისუფლების დასუსტება, ნიადაგის მომზადება მის შესაცვლელად და ახალი ძალებისთვის მოედნის გაწმენდა. მაგრამ ამისათვის, როგორც **„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“** პარტიის ლიდერმა უფრო აქტიური **„მოძრაობა“** უნდა გააკეთოს და შეამზადოს ნამდვილად რევოლუციური ელექტორატი და არა ამ ორი წლის წინათ შექმნილი **„დემოკრატიის განვითარების ფონდის“** მსგავსი **„მადამ ნინოს ცვილის ფიგურების მუზეუმი“**. ასეთი ბუღდოზერულ-პოლიტიკური ამოცანებისთვის ნოღაიდელის წინაშე მას ერთი ამკურა უპირატესობა აქვს: **ის ნამდვილად არ არის სააკაშვილის პრაქტიკი და მისი საიდუმლო დიკამპინგითაც არ ხელმძღვანელობს.**

აი, **„მოძრაობა სამართლიანი საქართველოსათვის“** პარტიის ლიდერმა ნოღაიდელმა კი სულ სხვა **„მოძრაობა“** უნდა გააკეთოს (**შემთხვევით როდი ვფიქრობს ბურჯანაძისა და ნოღაიდელის პარტიათა უსახურ დასახელებებში მათი მასწავლებლის, ან განსვენებულ ზურაბ ყვანიას ფანტაზიის შესაფერისი სიტყვა „მოძრაობა“!** უფანასი, რომელმაც ოდესღაც თავის პარტიას უცნაური სახელი — **„გაერთიანებული დემოკრატიები“** დაარქვა). ამბობენ, რომ 1939 წელს ფრანკლინ რუზველტს ჰკითხეს: **როგორ აფასებთ თავისი მოკავშირის, ნიკარაგუის დიქტატორის — ანასტასიო სამოსას მრავარცხობილი პოლიტიკომოქმედებას?** რაზეც აშშ-ის პრეზიდენტმა მიუგო: **„შეიძლება ის ძუკნიშვილია, მაგრამ — ჩვენი ძუკნიშვილი!“** „ძუკნიშვილებზე დაყრდნობას“ გინდაც საგარეოპოლიტიკური ტრადიცია უწოდებდნენ, მაგრამ საქმე, რომელსაც ისინი ასრულებდნენ, ნამდვილად აუცილებელია სხვადასხვა ეტაპებზე, ხოლო მათ გარდა ამ **„ძუკნიშვილური საქმის“** კეთების უნარი არავის შენეებს!

ამოკლავ



საკოზი ბრუნს დაეშვიდობა

საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი საპარლამენტო არჩევნების წინ ლონდონს ეწვია და განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნთან მუშაობა სასიამოვნო იყო. პარიზმა და ლონდონმა მოილაპარაკეს, რომ უნდა გააძლიერონ გლობალური კოოპერაცია კრიზისის შედეგებთან ბრძოლისა და მსოფლიო ეკონომიკის აღდგენისათვის ხელის შეწყობის მიმართულებით, უნდა განავითარონ სახელმწიფოთაშორისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, წინ აღუდგნენ კლიმატის ცვლილებას და ხელი შეუწყონ საყოველთაო ბირთვულ განიარაღებას.



რუსეთის პასუხი აშშ-ს

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მოხსენებაში მოსკოვს კორუფციის მაღალი დონე და „რასისტული პროპაგანდა“ უსაყვედურა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამის პასუხად აშშ-ს საკუთარ ციხეებში ადამიანთა ნამებებისა და ღირსების შეურაცხმყოფელ ქმედებებზე, ამერიკულ ოჯახებში ბავშვთა მკვლელობებით დასრულებულ ძალადობებზე, მიგრანტების მიმართ გამოვლენილ რასიზმსა და ქსენოფობიაზე, ისლამოფობიასა და სპეცსამსახურების მხრიდან ადამიანთა პირად ცხოვრებაში ჩარევის ფაქტებზე ყურადღების გამახვილება ურჩია.



ინდოეთში მდიდრები

ბიზნეს-გამოცემა Forbes-ის მონაცემებით, ინდოეთში მილიარდელთა რაოდენობა გაორმაგდა. ქვეყნის ყველაზე მდიდარ მოქალაქეს, ინდოეთის უმსხვილესი კომპანიის — ნავთობის, გაზის, ენერჯეტიკის, ქიმიური ნარკოებისა და ტექსტილის სფეროებში მომუშავე Reliance Industries-ის მფლობელ მუქემ ამბანს 29 მილიარდი დოლარი აქვს. მეორე ადგილი 28,7 მილიარდი დოლარით მსოფლიოს უმსხვილესი მეტალურგიული კომპანიის Arcelor Mittal-ის თანამფლობელმა ლაკშმი მიტალმა დაიკავა. ორივე მათგანი მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა ხუთეულშია.



ოზამა ბინალდის არჩევანი

ბარაკ ობამა თავისი მშვიდობის ნობელის ფულად ნაწილს, რომელიც 1,4 მილიონ დოლარს შეადგენს, საქველმოქმედო ორგანიზაციებს უნაწილებს. 250 000 დოლარს მიიღებს არაკომერციული ორგანიზაცია Fisher House, რომელიც ომის ვეტერანთა ოჯახებს ეხმარება, საცხოვრებელი ფართები საავადმყოფოების მახლობლად იშოვნოს. 200 000 დოლარი ჰაიტიის დახმარების ფონდ Bush-Clinton Haiti Fund-ს ერგო, დანარჩენი თანხა სტუდენტთა დახმარების, ჩრდილოეთ აფრიკისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური განვითარების ორგანიზაციებში გადაწავილდება.



საბერძნეთი კუნძულებს დააბიკავებს

გერმანიის ბუნდესტაგის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის დეპუტატმა მარკო ვანდერვიცმა საბერძნეთს შესთავაზა, ევროკავშირს კრედიტისათვის გირაოს სახით საკუთარი კუნძულების ნაწილი მისცეს. მის კოლეგას ფრანკ შეტლერს კი უკეთესი იდეა აქვს — ბერძნებს სთავაზობს, დაუსახლებელი კუნძულების ნაწილი კომპანიების მონივრებას მიყიდონ. სულ საბერძნეთს 6 ათასზე მეტი კუნძული აქვს და მათგან მხოლოდ 227-ია დასახლებული. საბერძნეთს დეფოლტის თავიდან აცილებისთვის მაისში 20 მილიარდი ევრო უნდა ჰქონდეს!

საქართველო

საშრომ, გაზიარებული თქვენი მოსაზრებები? დაგვიკავშირდით: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ამგვარად, ნინა ეტაბაზე რუსეთის ხელისუფლებამ თავისუფლება მისცა ქართველებს: ზოგიერთ საზოგადო მოღვაწესა და ბიზნესმენს — გოჩა ძასოხოვს (ზურაბ ნოლაიდელისა და მამასადაძემ, როგორც ამბობენ, თავად სააკაშვილის ბიზნესპარტნიორს), ალიკა ებრაღიძესა და სხვებს. ამ უკანასკნელებმა მოლოდინი ვერ გამართლეს და წამოჭრილი ამოცანებიც ვერ შეასრულეს, თანაც ერთმანეთს წაეკიდნენ ხროვის ბელადობის გამო, თუმცა ბუფერული კონგრეს-ასამბლეები კი შექმნეს და ხმამაღალდასახელებიან კონფერენციის-ყრილობებიც ჩაატარეს. ტყუილუბრალოდ როდი განაცხადა ამა წლის 9 მარტს ქ. ბათუმში ახალი ქართულ-თურქული სკოლის გახსნაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა: „რუსეთში 400.000 ქართველია დარჩა... რუსეთმა ვერ შეძლო მათ შორის დასაყრდენის გამოძებნა, გარდა რამდენიმე დეკლარირებული კაცისა. ჩვენს თანამემამულეებს კარგად ესმით განსხვავება რფის პოლიტიკურ სისტემასა და საქართველოს შორის... რომელიც ევროპაში რუსეთის გარეშე იარსებებს.“

ამიტომაც ნოლაიდელის საიდუმლო ამოცანებია:

- 1) ამ თავქარიანთა და უგუნურთა, მდიდართა და ნახევრად კრიმინალთა გაერთიანება მისი „ფრთის ქვეშ“ და მათი ძალისხმევითა და ფინანსებით მიმართვა ერთი საჭირო მიმართულებით;
- 2) არაოფიციალური შუამდგომლობა ოფიციალურ მოსკოვსა და თბილისს შორის: მიუხედავად მათი ხელი-სუფლების უთანხმოებისა, რუსეთი და საქართველო ხომ საერთო 900-კმ-იანი საზღვრის მქონე მეზობელ სახელმწიფოებად რჩებიან, ამიტომ საერთო პრობლემების გადაჭრის აუცილებლობას ვერ გავუქცევით, ამასთან, დიპლომატიურ ურთიერთობათა არარსებობის გათვალისწინებით; ამ პრობლემების გადაჭრა დღეს მარტოდენ შუამდგომლის დახმარებითაა

შესაძლებელი (როგორც ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნა საქართველოში შვეიცარიის საელჩოსთან არსებული რუსეთის ფედერაციის ინტერესთა სექციის შუამდგომლობით მოხდა).

ნოლაიდელის „მიმორბენალი“ შუამდგომლობას შეიძლება მიეწეროს, მაგალითად, ისედაც უკვე გადაწყვეტილი თბილის-მოსკოვის პირდაპირი ჩარტერული ავიარების გახსნა, რითაც ის დაწყებული დიალოგის შედეგიანობაზე მიუთითებს;

3) საქართველოში ხელისუფლების საპარტოვნოდ გადაცემის მომზადება და, ამასთან, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის უსაფრთხოების გარანტიის მიხედვით სააკაშვილის ბარანტიის უზრუნველყოფა, რათა მას „ვლადიმირსკი ცენტრალი“ და ის ქირურგიული ოპერაციები არ ემუქრებოდეს, რომელთა სხეულებაც სააკაშვილს თითქმის ყველა საჯარო გამოსვლაში უყვარს.

(სამსახური — სამსახურისთვის: დღეს ხომ თავად ნოლაიდელის უსაფრთხოების გარანტი მიხედვით სააკაშვილია!)

არსებობს სხვა ამოცანებიც, მაგრამ ზემოთხსენებული ძირითადი და ერთობ სახიფათო... ნიჭიერმა ქართველმა ხალხმა, რომელსაც არც კი უფიქვია ნოლაიდელის „ფართო მხრებზე“ დაკისრებული პოლიტიკური ტვირთის უზომო სიმძიმე, ტყუილუბრალოდ როდი შეადარა იგი იმ შრომისმოყვარე და სიმპათიურ ცხოველს, რომელზე ამხედრებული იესო ქრისტეც იერუსალიმში შევიდა და „დაღლილი ვირი“ უწოდა! მთავარია, რომ ბატონმა ზურაბმა შეძლოს ამ ტვირთის ზიდვა და არ დაავინწყდეს ელექტრონულ (როგორც ამბობენ, დისტანციური) პულტით მართვად! მოწყობილობაზე თავის ნაოპერაციებზე გულში, რათა მან სურამის ციხის ლეგენდის გმირი ზურაბის ანდა მერვე ზურაბის, მასწავლებლის, ხვედრი არ გაიზიაროს...

არჩილ იმერელი

ლადო გურგენიძის ბანკი პენსიონერებს არეკეტებს

სახალხო ბანკმა გაჭირვებული ადამიანების ხარჯზე ფულის შოვნა კიდევ ერთხელ გადაწყვიტა. 2009 წლის ბოლოს მან პენსიონერებს „ახარა“, რომ ისინი 5-თვიანი საპენსიო სესხით სარგებლობას შეძლებდნენ, სანაცვლოდ კი ბანკი თანხის 15%-ს დაიტოვებდა (სინამდვილეში 36-37 %-ია. ასეთი მაღალი განაკვეთი სამომხმარებლო სესხებზეც კი არ არსებობს).



სახალხო ბანკის სატყუარამ თავისი საქმე გააკეთა და ამ „შეთავაზებით“ 200 ათასზე მეტმა პენსიონერმა ისარგებლა. ჩვენს მხცოვან პენსიონერებს ის გაჭირვება არ ჰყოფნიდათ, პენსია 85 ლარი რომ ჰქონდათ, ახლა კიდევ ერთი გასაჭირი დაემატათ, „ქველ-ნერებს 5 თვის კუთვნილი პენსიის ნინასწარ გაცემისთვის თითქმის ერთი თვის პენსია საპროცენტო განაკვეთის სახით ჩამოაჭრა. კერძოდ, თუკი პენსიონერის 5 თვის პენსია 420 ლარს შეადგენს, მისი ნინასწარ ალბის შემთხვევაში, ამ თანხას 63 ლარი გამოაკლდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი თვის პენსია თავის ჯიბეში ოპოზიციის მიერ „სათვალისწინებელი“ მონათლული ლადო გურგენიძე ჩაიჯიბავს.

გეთანხმებით, ბატონო ექს-პრემიერ მინისტრო, თუ ასე განაგრძით საცოდავი მოსახლეობის ყვლე-ფა, ბანკების რეიტინგის კვარცხლბეკზე უთუოდ პირველ ადგილს დაიკავებთ. მითუმეტეს, როცა თქვენმა დუქანმა, უკაცრავად, ბანკმა, პენსიონის გაცემის უფლება 2012 წლამდე მოიპოვა; ამასთან, საპენსიო მომსახურებაში საკომისიოს სახით 1,7%-ს იღებთ, დევნილთა დახმარების გაცემაში კი — 1,33%-ს. ახლა კიდევ, საპენსიო სესხი მოიფიქრეთ, რათა თქვენი დუქანი კიდევ უფრო გაიზარდოს და გამდიდრდეს. ალბათ, სწორედ თქვენი იდეა იყო, პენსიონერებს „დახმარებოდით“; აბა, ასეთი „იდეინი“ მაგ „ხალხის სამსახურში მყოფ ბანკში“ არავინ მეგულებო. თუმცა, ამ იდეას რომ ახორციელებდით, იმ გაჭირვებულ პენსიონერებზე არ გიფიქრიათ, რომლებიც ამ პენსიით საზრდოობენ და სხვა შემოსავალი არ გააჩნიათ. პენსიონერი, რომელიც 5 თვის პენსიას ნინასწარ იღებს, მის დალხენილ ცხოვრებაზე ნამდვილად არ მეტყველებს. სესხი ხომ ყველაზე დაუცველ, გაჭირვებულ ფენაზე გათვლილი. აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ იმ პენსიონერებს, რომლებსაც 5 თვე შემოსავალი არ ექნებათ, შეიძლება ლუკმა პურიც სანატრელი გაუხდეთ. ისე საინტერესოა, ბატონო ლადო, თითოეულ პენსიონერში ბეჭიასა და ბაბუას ხედვ

თუ მხოლოდ ფულის ტომარას?...
თუმცა სახალხო ბანკი რა ბანკია, თავი რომ ვერ დაიკვას. როგორც ბანკის „თავაზიანი“ თანამშრომლები აცხადებენ, ბანკი კომერციული ორგანიზაციაა და მისი ძირითადი საქმიანობა საკრედიტო მიმართულებაა. ამასთან, მათი მტკიცებით, ბანკი სესხის აღებას არავის აძლებს და მომხმარებელი მისთვის სასურველი სესხის მოცულობასა და დაფარვის ვადას თავად განსაზღვრავს. ლადო გურგენიძემ კი მედიასთან საუბრისას განაცხადა, ბანკმა საპენსიო სესხის მოცულობის გაზრდის გადაწყვეტილება პენსიონერების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნის გამო მიიღო.
ბანკი აძალბებს თუ არა პენსიონერებს აღნიშნული სესხის აღებას, ვერ გეტყვით, მაგრამ თქვენი მონაწილე შევესწარი ისეთ ფაქტს, ბანკის თანამშრომლები კარში როგორ ხვდებოდნენ პენსიონერებს და ჩურჩულით ეუბნებოდნენ: „ბებია (ბაბუა), არ გინდა 5 თვის პენსია ნინასწარ აიღო, იცი, რამხელა ფულია?“ (ამ ბანკის თანამშრომლები ხომ თქვენობით ლაპარაკისა და თავაზიანობისგან შორს არიან).

პენსიონერების აღნიშნულ „დაბოლებას“ „ლეიბორისტებიც“ აპროტესტებენ და თვლიან, რომ ეს უსამართლობა და თაღლითობაა. პაატა ჯიბლაძის განცხადებით, ლადო გურგენიძეს თავისი დამსახურების გამო გადაეცა სახალხო ბანკი.

„ლადო გურგენიძემ ვერ კიდევ საქართველოს ბანკის ხელმძღვანელობის დროს სააკაშვილის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები დააფინანსა. შემდეგ სწორედ ამის გამო „დაინიანურეს“ და პრემიერ-მინისტრი გახადეს. ახლა კიდევ თავისი „დამსახურებისთვის“ სახალხო ბანკი გადასცეს.

ამ უკანასკნელმა კი თავისი მანიპულაციებით პენსიონერები მოატყუა და მათ ერთი თვის პენსია დააკლო. სესხის ერთჯერადი დაქვითვა თითქმის ერთი თვის პენსიას გაუტოლდა. ეს სხვა არაფერია, თუ არა თაღლითობა და ხალხის მოტყუება. ჩვენი სასიკეთლო კარში როგორ ხვდებოდნენ პენსიონერებს და ჩურჩულით ეუბნებოდნენ: „ბებია (ბაბუა), არ გინდა 5 თვის პენსია ნინასწარ აიღო, იცი, რამხელა ფულია?“ (ამ ბანკის თანამშრომლები ხომ თქვენობით ლაპარაკისა და თავაზიანობისგან შორს არიან).

ალექსანდრა პაპია

P.S.
Владимирский централ, ветер северный,
Когда я банковал, жизнь разменяна,
Но не „очко“ обычно губит,
А к одиннадцати - туз...

P.S. ცხადია, ბანკი კერძო სტრუქტურაა. მას ვერც ვერაფერს აუკრძალავ და ვერც — დაუშლი. მთავარია, პენსიონერებმა თავი არ გააბრიყვებინონ და აღნიშნული სესხით არ ისარგებლონ. თუმცა, როცა გზია და გწყურია, ნაკლებად ფიქრობ, ხვალ რა იქნება.

ამოკვარ



კლიუს 36 ათასი

აშშ-ის სენატში დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა, ნევადა პალატაში გამოსვლისას „კარგი სიახლე“ უწოდა იმ სტატისტიკურ მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც ათეულათობით ამერიკელი უმუშევარი დარჩა. „ეს ამერიკისთვის დიდებული დღეა. სამსახური მხოლოდ 36 ათასამ ამერიკელმა დაკარგა და ეს კარგი სიახლეა“, — ამბობს სენატორი. სწორედ ამდენი ამერიკელი დაითხოვეს სამსახურებიდან თებერვალში. საერთო ჯამში ქვეყნის მოქალაქეთა 9,7% უმუშევარია.



თურქეთი ელჩებს იბრუნებს

მას შემდეგ, რაც შევედეთის პარლამენტმა 1915-17 წლებში ოსმანთა იმპერიის ტერიტორიაზე სომხების ხოცვისთვის მექსიკელმა კვალიფიკაციის მიმნიჭებელ რეზოლუციას მხარი დაუჭირა, თურქეთმა შევედეთიდან ელჩი გაიწვია და 17 მარტისთვის პრემიერ-მინისტრ რაჯებ ტაიპ ერდოგანის შევედეთი დაგეგმილი ვიზიტიც გააუქმა. შეგახსენებთ, რომ ზუსტად იმავე მიზეზით თურქეთმა ელჩი ამერიკის შეერთებული შტატებიდანაც გაიწვია და განაცხადა, რომ გენოციდის აღიარება აშშ-თურქულ ურთიერთობებს დააზარალებს.



ყვალაზა ფილჩაბი

ყურნალ Forbes-ის რეიტინგის თანახმად, პლანეტის უმდიდრესი ადამიანის ტიტული ტელეკომუნიკაციების მექსიკელმა მაგნატმა კარლოს სლომმა მოიპოვა, მისი ქონება 53,5 მილიარდ დოლარადა შეფასებული. მეორე ადგილზე 53 მილიარდით Microsoft-ის დამფუძნებელი ბილ გეიტსი, მესამეზე კი 47 მილიარდის მფლობელი ამერიკელი ინვესტორი უორენ ბაფეტია. წელს მსოფლიოს შარშანდელზე 200-ით მეტი მილიარდელი ჰყავს, მათ შორის 89 ქალია. ყველაზე მეტი მილიარდერი რუსეთსა და აშშ-ში ცხოვრობს.



აუზ გაეხს აქორინებს

აშშ-ის დედაქალაქში ჰომოსექსუალებს ურთიერთობის ფორმალურად დაკანონების ნება დართეს და იმავე დღეს 150 „ოჯახიც“ შეიქმნა. სამი სამუშაო დღის განმავლობაში დაქორინების განცხადება 300-მა წყვილმა შეიტანა.
ერთსქესიანთა ქორწინებებით „განეხიერებულ“ შტატების სიას ნიუ-ჰემპშირის, კონექტიკუტის, ვერმონას, მასაჩუსეტისა და აიოვას შტატებიც მიემატა. ქორწინების რეგისტრაციის წესიდან ამოღებულია ტრადიციული ფრაზა: „გაცხადებთ ცოლ-ქმრად“.



კორონაქსალი სენატორი

აქამდე ჰომოსექსუალების დაუძინებელ მტრად ცნობილმა ამერიკელმა, 55 წლის სენატორმა რეს-პუბლიკური პარტიიდან, 4 შვილის მამამ როი ეშბურნმა საჯაროდ აღიარა, რომ ჰომოსექსუალია. ეშბურნი სენატში ამ საკითხისადმი კონსერვატიული მიდგომით გამოჩენულ კალიფორნიის შტატს წარმოადგენს, სადაც ერთსქესიანი ქორწინება ვერ იხდებოდა. უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ, როგორც თავად ამბობს, ეშბურნი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას აღარ გააგრძელებს.

ზურაბ კვარაცხელია: **ეროვნული მოძრაობა ნამდვილად იყო ანტიიმპერიული, მაგრამ არაპროტაქტული — ანტირუსული**

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ ამჟამად საკუთარი აზრის გამოხატვას ბევრი ერიდება, რადგან არ სურთ ე.წ. მოლაღობის იარაღის მიკერება, თანაც არც სამართალდამცველები გამოირჩევიან ლოიალობით მათ მიმართ. ამ თემაზე ხმის ამოდებას განსაკუთრებით რეგიონებში ვერ ბედავს მოსახლეობა. მიუხედავად ამისა, აფხაზეთიდან დევნილი, ამჟამად ზუგდიდში მცხოვრები ზურაბ კვარაცხელია, რომელიც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელია (სოხუმ-აფხაზეთის „პელსინკის კავშირის“, ცენტრალური „მრგვალი მაგიდის“ ინდივიდუალური და საქართველოს „ეროვნული დაუმორჩილებლობის“ კომიტეტის წევრი), არ მოერიდა აზრის ღიად და ამჟამად გამოხატვას: „ის პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს ჯერ ე. შევარდნაძის, ხოლო შემდგომ მ. სააკაშვილის პოლიტიკური ხროვა, სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი სამშობლოს უდიდესი უბედურება და ტრაგედია. ცნობილმა პოლიტოლოგმა და საზოგადო მოღვაწემ, ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიაძემ ჯერ კიდევ ე. შევარდნაძის რეჟიმის დროს სამართლიანად უწოდა ამგვარ პოლიტიკას „ხუთი დ-ს“ პოლიტიკა: დენაციონალიზაცია, დესტრუქცია, დეინდუსტრიალიზაცია, დეზინტეგრაცია, დეგრადაცია. ფიქრობ, დღეს არც ერთ ჭკუათმყოფელს არ უნდა ეპარებოდეს ეჭვი ჭაჭიასეული დიაგნოზის მართებულობაში და არც იმაში, რომ მ. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ამ მხრივ მდგომარეობა არათუ გამოსწორდა, პირიქით, — გაუარესდა“.



მართლმადიდებლური მეზობელი სახელმწიფოს გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესები შეუძლებელია პოლიტიკური იყოს ერთმანეთისაგან.

— ბატონო ზურაბ, თქვენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი იყავით და ამ მოძრაობას ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ადანაშაულებდნენ რუსოფობიაში. თქვენ კი პირიქით, — რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრე ბრძანდებოდით.

— საქმეც იმაშია, რომ ზოგი მოვლენათა არსში ჩაუხედავი ადამიანი ეროვნულ მოძრაობას, მართლაც, ადანაშაულებს რუსოფობიაში. მტკნარი სიცრუეა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით თავის დროზე გამოირჩეოდა ანტირუსული განწყობით. არა, ბატონო, ეროვნული მოძრაობა ნამდვილად იყო ანტიიმპერიული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — ანტირუსული. ამ აზრის გასამყარებლად მოვიტან ამონარიდს ბატონი ზვიადის გახმაურებული ინტერვიუდან, რომელიც მან მისცა სანკტ-პეტერბურგის გაზეთ „ნა-როდნაია პრავდას“:

— ბატონო ზურაბ, რას იტყვით საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ? — ამ თემაზე საუბარს ბევრი გაუბნის. ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ დასავლური სამყარო დაინტერესებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით. ჩვენს ბედკრულ სამშობლოს ემუქრება სამხედრო პლაცდარმად და საერთაშორისო

კონფლიქტებში პოლიგონად გადაქცევის პერსპექტივა. სწორედ დასავლეთის სურვილი ასრულებს საქართველო „მახათის“ ფუნქციას, რომლის მეშვეობითაც პერმანენტულად აღიზიანებს „ჩრდილოელ დათვს“, რამაც ჩვენ უკვე მოგვიტანა სავალალო შედეგები. კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ და-

უშვებს მის გარემო მტრული რაკლის შექმნას; არ დაუშვებს, ნაცოს ალყაში მოექცეს. ამაზე ამჟამად მიუთითებს უკრაინაში განვითარებული მოვლენებიც. უფრო ადრე კი სწორედ ამის გამო დასჭირდა მას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სახელმწიფოებრივად დამოუკიდებლობის აღიარებაც. **პუტინ-მედევევის რუსეთი აღარაა ელცინისდროინ-**

დელი რუსეთი და არც მსოფლიო დღეს ერთპოლუსიანი. რუსეთმა თითქმის დაიბრუნა ზესახელმწიფოს სტატუსი და მას, ბუნებრივია, აქვს კიდევ გეოსტრატეგიული ინტერესები კავკასიაში. ჩვენ რაც უფრო მალე მივხვდებით ამას, მით უკეთესი იქნება ჩვენთვის. არადა, ჩვენი საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი დღემდე რა-

ღაც ილუზიების ტყვეობაშია. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობის მოგვარება, უნიტარულად, ჩვენთვისაა სასიკეთო და მომგებიანი. იმაშიც ვარ დარწმუნებული, რომ ეს ხელს არ აძლევს ვიღაც მესამეს. რუსულ-ქართული ურთიერთობის მოგვარება თუნდაც იმიტომ არის აუცილებელი, რომ ობიექტურად ამ ორი

«**შულავერის კოეიტაბის**» **ახალი სახეები**

არც თუ ისე დიდი ხანია, საქართველოში ტენდენციად იქცა, — ყველა ქართველს, რომელიც რუსეთში ცხოვრობს, მოღვაწეობს ან ესტუმრება და იმღერებს, სამშობლოს მტრად თვლიან. მათ უმეტესობას თავის დროზე ჩვენმა ხელისუფლებამ „ნიხლი ჰკრა“ და ქვეყნიდან გააქცია, დღეს მოლაღობა უნოდებს. იქ კი, უცხოეთში, ისინი დააფასეს და შეიყვარეს... ვის უნოდებს დღეს ხალხი თანამედროვე „შულავერის კომიტეტის“ წევრებს და რამდენად იმსახურებენ ეს ადამიანები თანამემამულეებისაგან ტალახს?

ვა და ვისი შესრულებული სიმღერაც ლამის ქვეყნის პიონად იქცა, დღეს „არაკაცი“, „ლორი“, „უკანალის მიმცემი“ (უკაცრავად ამ გამოთქმისთვის), მოლაღობა გახდა. აგრესიამ მის მიმართ მას შემდეგ იმატა, რაც გაზმანოვთან ერთად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დათბობაზე სიმღერა შეასრულა. **„პავლიაშვილს თავისი ფული აინტერესებს მხოლოდ, სამშობლო და მისი მომავალი, კარგა ხანია, ფეხზე ჰკიდია“.**

„პავლიაშვილი ქართველი არ არის, სომეხია. სომეხების სანინააღმდეგო არაფერი მაქვს. უბრალოდ, მე ის მინდა ვთქვა, რომ პოლისიამა რატომ უნდა გადააკეთოს გვარი პავლიაშვილად და რუსეთში წასულმა იქიდან ქართველობა რატომ უნდა გვასწავლოს?“

ინტერნეტში პავლიაშვილს დამცველიც გამოუჩნდა. მან წინასწარ მოიბრუნა ხალხთან, არ ჩამოქოლოთ და სოსოს გამართლებას მოჰყვა, ქართველებზე ძალიან ნაწყენიო.

ეს ხომ ის სოსო პავლიაშვილია, წელიწად-ნახევრის წინ ჩვენმა პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა? მაშინ სხვა სოსო იყო? და საერთოდ, აქედან ადვილია სხვისი ლანძღვა. ღმერთმა უწყის, მსგავს სიტუაციაში ვინ როგორ მოიქცეოდა თავის გადასარჩენად. **ვერობა-ამერიკაში პავლიაშვილის „ნასტაიაში გრუზიულ-კინჟალური“ სტილი არ აინტერესებთ, დარჩა რუსეთი. შემოსავალი კარგი აქვს, ცოლ-შვილი მოვლილი ჰყავს, სახლი და კარი აქვს. აქ რა უნდა აკეთოს? დემოკრატიის შექმნა ჭამოს?**

აქ რა მომავალი აქვს? დაბრუნდეს და იმავი სიტუაციაში აღმოჩნდეს, როგორმაც ლექსენი და ანრი ჯოხაძეა? რატომ არ გვინდა, დავუშვათ, რომ ეს კაცი რუსეთთან ერთად და რუსეთის გეოპოლიტიკურ სიროცეში ხედავს თავის საქართველოს? სამშობლოს მოლაღობა

ჰქვია ადამიანს, რომელიც კონკრეტულ ქმედებას ჩაიდენს საქართველოს ინტერესების სანინააღმდეგოდ. ეს სისხლის სამართლის დანაშაულია და დამტკიცებას საჭიროებს. ასე ხელაღებით, რუსეთში საცხოვრებლად წასულ ადამიანებზე მოლაღობების ძახილი ნამდვილად არ არის ღირსეული საქციელი.

რაც შეეხება მლიქვნელს — აქ უფროა სიმართლის მარცვლი, მაგრამ, თუ ამ პარადიგმაში ჩავვხედებით, ყველა ის ხელოვანი ადამიანი, რომელიც ამა თუ იმ საკითხში ხელისუფლებას უჭერს მხარს, მლიქვნელი და კონფორმისტი? თუ ქართული რეალობიდან ამოკლართული და არამართო ქართული, პოპულარული ხელოვანების 90% ასეთია. სხვანაირად, უბრალოდ, ვერ გახდებით ამ პოპულარულულები და მათი სისის წაკითხვა რა შორს წავიყვანს, მკითხველიც კარგად ხედავს. გამოდის, რომ პავლიაშვილთან, გვერდნიელთან და კანდელაკთან ერთად მოლაღობა გამოდის ქართული „შოველიტის“ უმრავლესობაც.

ის სიხარული, რაც სოსო პავლიაშვილმა „იურმალაზე“ მოპოვებული წარმატებით მოუტანა ქართველებს, დაუვინყარია, რასაც ვერასდროს შეძლებენ მიზას „ქარის დამკვერელები და მომღერლები“. ლევან რამიშვილი, რომელსაც ქართული საზოგადოება თავისუფლების ინსტიტუტით და საკმაოდ ცუდი სახელით იცნობს, დღეს გვერდნიელს, კანდელაკსა და პავლიაშვილს

შეურაცხყოფს. შეიძლება თავად „ნაცების“ მამა-მთავარსა და დიდმოცს რაიმე დაეჯერებოდეს?

თამარ გვერდნიელს 23 თებერვალს რუსეთის არმიის დღისადმი მიძღვნილ კონცერტზე გამოსვლა არ აპატიეს. ეს კონცერტი მას არ გაამადიდებდა, ამიტომ ისიც მოლაღობა, — ასევე ქართველი „პატრიოტი“. ლევან რამიშვილმა კი იგი მანამდეც მოიხსენია ერთ-ერთ „მანქურთად“.

სინამდვილეში თამარ გვერდნიელს ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ქართველმა მსმენელმა ვერ დააფასა და ქვეყნიდან წავიდა. ახლა გულიც სწყევტს და ლანძღავს კიდევ.

რუსული ბომონდის კიდევ ერთი ზეპოპულარული ქართული სახე თინა კანდელაკია. რამდენიმე ვაჟების საშუალებით ლევან რამიშვილმა მას, არც მეტი, არც ნაკლები, კახა უწოდა, რაზეც კანდელაკმა საპასუხო განცხადება გააკეთა. კანდელაკიც „შულავერის კომიტეტში“ გაამსწესეს. მასზე განცხადება მიხელო სააკაშვილმაც გააკეთა, არადა, ეს ქალბატონი, საქართველოში ვიზიტის დროს ორჯერ შეხვდა ქვეყნის პირველ პირს, მაშინ „რატომღაც“ არ იყო მოლაღობა.

განა ის ქვეყანა ქვეყანაა, სადაც ლელა წურწუშია, ნინო ჩხვიძე, ნინა წერეთელი, ლინის ორდენის მფლობელი არიან, ხოლო სოსო პავლიაშვილი, თიკა კანდელაკი და თვით პაატა ბურჭულაძეც კი — მოლაღობები? **პაატა ბურჭულაძე რუსეთში ჩატარებული კონცერტის გამო ჯვარზე გააკრეს;**

სოსო პავლიაშვილი, თიკა კანდელაკი, თამარ გვერდნიელი, ქეთა თოფურია, ოთარ კუშანაშვილი — ეს იმ ადამიანთა არასრული ჩამონათვალია, ვინც, კარგა ხანია, რუსეთში წავიდა საცხოვრებლად და პროფესიული კარიერაც გაიკეთა. დღეს ეს ადამიანები რუსული ბომონდის ქართულ სახეებს წარმოადგენენ, თუმცა ამ ადამიანებამდე იყვნენ წინ ბრეგვაძე და ბუბა კიკაბიძე.

იკადრებო, ბრეგვაძემ და კიკაბიძემ, რა, ფული რუსეთში არ იმოგეს? მათ ლოგიკას თუ მივყევით, მაშინ სოსო პავლიაშვილი ახალი ტალღის ბუბა კიკაბიძე გამოდის, ეს მათ გასაგონად, ვისაც ბუბა პატრიოტი ჰგონია, ხოლო სოსო — მოლაღობა, უბრალოდ, 15 წლით უკან მიხედვით საჭირო ამის დასანახად.

თანამედროვე „შულავერის კომიტეტის“ იდეა, თბილისის მთავარ ფორუმზე ფორუმ-გეზე გაჩნდა. ამ ფორუმზე ბევრი „ნაცი“ შემწეული არის რუსეთში წასული ადამიანების ლანძღვა-გინებაში. ის ადამიანი, ვინც 1989 წელს „იურმალაში“ გაიმარჯ-



საავტორო სვეტი

სორველა

ინტელიგენციად წოდებული კასტა, რომელიც თავს ელიტას უწოდებს, ჩვენი სამშობლოს ბედისწერად იქცა. ამ ადამიანებს ყველგან ნახავთ და აუცილებლად — ორაკულის პოზაში. სინამდვილეში კი ჩვეულებრივი კომედიანტები არიან და მათი მიზანიც პრიმიტიულობამდე ტრივიალურია. სათავისოდ გამორჩენაზე ფიქრში ღამენათევი ელიტარები მზად არიან, ჭკუა დაარიგონ ყველას და არცთუ უანგაროდ.



გურანდა გაბუნია და ოთარ მეღვინეთუხუცესი ახლა ნოღაიდელს შესციციებენ

ჩვენ გვახსოვს ეროვნული მოძრაობის დროს ხმაჩახლეჩილი ინტელიგენტები და პირველ პრეზიდენტთან დაპირისპირებული ელიტა; მეორე პრეზიდენტის წინაშე მუცლითმოხავე ელიტარები, მისთვის სახალხო ხელზე კოცნაც რომ არ ესირცხვილებოდათ; ელიტარები, რომელთაც მცდელობა არ დაუკლიათ ახლანდელი პრეზიდენტისთვის გვირგვინის დასადგმელად და ვხედავთ მისგანვე ჩარეცხვით პილპილნაჭამები როგორ თავდაუზოგავად ლანძღავენ...

და, რაც მთავარია, ეს ერთი და იგივე ადამიანები არიან — უსინდისო კონფორმისტები და მედროვე ფარისევლები, ანუ ე. წ. ელიტა, ინტელიგენცია, ვისთვისაც მიზანი სმარტობაა საშუალება.

მაკიაველის ცნობილი გამონათქვამის მხოლოდ პირველი ნაწილი გაიხადეს ცხოვრების წესად და არაად ავადებენ მეორე ნაწილს — **როცა საძმე სამშობლოს ინტერესებს სწავს.**

მათთვის სამშობლო საკუთარი სახლის პარამალთან მთავრდება. გადმოაბიჯებენ და იწყებენ ადამიანებზე ნადირობას.

ხალხიც უსმენს, იმის მიუხედავად, რომ თვითონვე არაერთგზის პირმოთნედ უღიარებიათ, რომ „შეცდნენ“, „არ იცოდნენ“, „არ ეგონათ“, „რას წარმოიდგენდნენ“... შეეძლიათ, ჩამონათვალი უსასრულოდ გააგრძელოთ.

ქალი, რომელიც ერთხელ შეცდება, ეცოდებათ; ქალი, რომელიც მეორედ შეცდება, მაინც ქალია და — ეცოდებათ;

ქალი, რომელიც მესამედ შეცდება... სწორად მიხვდით — უკვე გაბოზების გზაზე მიაბიჯებს ყელმოღერებული!

ჩვენი ე. წ. ელიტაც ასეა და ახლა თქვენ თვითონ განსაზღვრეთ, კომედიანტებს, რომელთა ხილვის ბედნიერება ყოველდღე გვაქვს, რა შეიძლება ვუწოდოთ — ინტელიგენცია თუ... სორველა, რომელიც ქრონიკულად შეეყარა ქართულ საზოგადოებას და რომლის ამოშანივაც შეუძლებელი ხდება. ტყეში გაქცევაც ვერ გვიშველის, რადგან იქაც მოგვხვდება!

ეს დაუსრულებელი უბედურებაა — გშურანდა გაბუნია და ოთარ მეღვინეთუხუცესის ნინო ქაჯაია მანკა კალატოვილი ჩაენაცვლებიან, და-ძმა გიბა და მარიკა ლორთქიფანიძეებს — ორი ბასა: ჯანნიკაშვილი და ფოცხიშვილი, გიბა გულაძეს — მისი უმრწემესი მემკვიდრე ლაშა, გომი ოჩიაშვილს — თვალგმურა ხათუნა, რეზო ქსანთას — დუტა სხირტლაძე, მახტანა კიკაბაძეს — ნინო წაყრილაშვილი, რამაზ და ნატაშა ჩხიკვაძეებს — ჰა, გამახსენეთ, ვის ამსგავსებთ ახალი ელიტარებიდან, მხოლოდ მე რომ მაღაპარაკებთ!..

ალარაფერს ვამბობ სვიმონ მასხარაშვილზე; ამას უბედურებად ისიც ეყოფა, მერაბიშვილი სამეფო გვარად რომ გამოაცხადა — ასეთ ქელსა მასხარებს ვერც წინამორბედს მოუძებნი და ვერც — ჩამნაცვლებელს.

აი, ასეთი სავალალო ვითარებაა და აღარც მიკვირს, პოლიტიკოსთა ყველა თავყრილობას ნაირფერი ვინეგრეტებიც რომ ამშვენებს.

თუ ასე ძალიან გინდათ ხელისუფლებაში ყოფნა, შედით რომელიმე პარტიაში და მათთან ერთად პასუხისმგებლობაც იკისრეთ, თუ არა და — თავი დაგვანებეთ: დაუბრუნდით თქვენს საგრიმოროებს, სანერ მაგიდებს, სცენას — მოგვებურდა თქვენი, ზეპარტიული კომედიანტების მამულიშვილურად პოზიორობა. მით უფრო, რომ ამ პოზას უზნეობის ელფერი დაჰკრავს.

აოდლო მინარაჟილი

«შიშას ქალები» ტელევიზიის იწყობენ

სატელევიზიო სივრცეში მომრავლდა მდარე ხარისხის შოუები, რომლებიც „სახელმწიფო“ მანდილოსნებს მიჰყავთ, რომელთა უმეტესობა მაღალ სახელისუფლო ემელონებთან „კონტაქტში“ შემჩნეული. სიტყვა — კონტაქტი, ამ შემთხვევაში, შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობითაც გავიგოთ, რადგან საუბარია მაღალი თანამდებობის პირების მეუღლეებზე. ასე რომ, თუკი სკანდალური და ვულგარული შოუს ავტორი შორენა ბეგაშვილი, ახლო მომავალში „კაი“ საცოლეს, მინისტრს ან მის მოადგილეს გამოკრავს ხელს. მალე მას, ალბათ, პოლიტიკური გადაცემის წამყვანადაც ვიხილავთ, ისევე, როგორც აქამდე დასკუბდებოდნენ ცნობილი დეპუტატის მუხლიდან პირდაპირ ტელეეთერში „ქართული ოპრა გეილ უინფრები“.



სიმართლის დრო, „ცხოვრება მშვენიერია“, „ლაშა შორენასთან“, „ნანუკას შოუ“ — ეს იმ გადაცემების არასრული ჩამონათვალია, რომელთაც ზემოთ ხსენებული ქალბატონები უძღვებიან. არ გვეგონათ, რომ რომელიმე მათგანს „დაუშახხურებლად“ აქვს საავტორო გადაცემა, ზოგი ძალოვანის ცოლია, ზოგი პოლიტიკიდან შურნალისტიკაში გადმობარგებულია, ზოგს კიდევ, არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოში მონარქიის აღდგენის იდეის ჩაგდება დაუფასდა.

გადაცემა „სიმართლის დროს“ შალვა რამიშვილის შემდეგ მსახიობი ნანკა კალატოვილი უძღვება, რომელიც ალკოჰოლითან, ნარკოტიკებთან და სხვა უკუღმართობებთან დაკავშირებული თბილისური ჭორების ხშირი პერსონაჟია...

ერთ საინტერესო ამბავს გაგახსენებთ: მარშან პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ საზოგადოების „ცნობილ სახელებთან“ შეხვედრა მოახწო. მსახიობი ნანკა კალატოვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვისაც ამ შეხვედრაზე ხელისუფლების საზოგადოებრივი არ დაუშურებია. თუმცა მოგვიანებით განმარტავდა, რომ მისი სიტყვები საზოგადოებამ სწორად ვერ გაიგო. ასეა თუ ისე, ქალბატონ ნანკას, დითორამბების მღერა დაუფასდა და გიორგი არველაძის ტელევიზიაში შალვა რამიშვილი წარმატებით ჩაანაცვლა.

უფრო მეტიც, თბილისში გამართული საახალწლო კონცერტის წამყვანაც ანდეს, რომელზეც თვითმხილვეთა თქმით, გვარიანად შეზარხოშებული იყო.

„ეგეთი საერთოდ არ უნდა მიაკარო ტელევიზიას“, — ასეთია საზოგადო აზრი. მეორე სახე ახალი ამპლუითა ახალ არხზე ნანუკა შორენაია. ის მაყურებელმა „რუსთავი 2“-დან გაიცნო, შემდეგ ნატოს საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელად გადავიდა. სოდის უფროსის — კოდუას ცოლობა დადებითად აისახა მის კარიერაზე და არველაძის „ტელევიზიაში“ შოუების კეთებაზე. რამდენად



შორენა ბეგაშვილი



ქაი კმეხიტაძის

კარგად გამოსდის ეს საქმე, მაყურებელმა კარგად იცის, მაგრამ, როცა სტუდიაში დამსწრე მაყურებელს მიუბრუნებენ და ეტყვი, პირები რას ჩამოგიყრიათო, ძნელი მისახიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვისაც ამ შეხვედრაზე ხელისუფლების საზოგადოებრივი არ დაუშურებია. თუმცა მოგვიანებით განმარტავდა, რომ მისი სიტყვები საზოგადოებამ სწორად ვერ გაიგო. ასეა თუ ისე, ქალბატონ ნანკას, დითორამბების მღერა დაუფასდა და გიორგი არველაძის ტელევიზიაში შალვა რამიშვილი წარმატებით ჩაანაცვლა.

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ პატარაკაციშვილის „დასამარებაში“ ნანუკას მეუღლეს ლომის წილი მიუძღვის, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ტელევიზიის თავკაცი არველაძე მას ცივ ნიავს არ აკარებს.

კიდევ ერთი სკანდალური სახე შორენა ბეგაშვილია, ისიც არველაძის არხზე...

ერთ-ერთ ინტერნეტფორუმზე ბეგაშვილს საინტერესოდ აფასებენ: „სიცხვილი მოვლენა და, რასაც ის ლაპარაკობს, საქალეთისთვის არის შეურაცხმყოფელი“.

ჯერჯერობით ეროტიკული გადაცემა მიჰყავს, მალე, შესაძლოა, პოლიტიკური შოუს წამყვანად მოგვევლინოს და ეკრანებიდან, სექსის გარდა, პოლიტიკურადაც დაგვმოძღვროს.

ნინო ქაჯაიას „ცხოვრება მშვენიერია“ პირდაპირ საგარეო საქმეთა სამინისტროდან გაკეთდა. „რუსთავი 2“-დან ნასვლის შემდეგ ის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-

სამსახურის უფროსი იყო, პოსტის დატოვების შემდეგ კი კომპენსაციად საკუთარი გადაცემა მიიღო საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

კიდევ ერთი, აგრესიული ტელესახეა ეკა კვესიტაძე. იგი რამდენიმე სახელისუფლო გაზეთშიც მუშაობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის, შოთა უტიაშვილის ცოლი გახდა, პირველი არხის ეთერში აღმოჩნდა. თუ გახსოვთ, მედია-საბჭო რომ იქმნებოდა, რამდენიმე რედაქციამ პროექტში ჩართვაზე უარი განაცხადა, რადგან იქ კვესიტაძე იყო პირველი ვილიონი და პრეზიდენტს მასზე სულ ახალი ნათქვამი ჰქონდა, ჩემი მეგობარი შურნალისტიკაო.

კვესიტაძე პირველი არხის ეთერში ინვესტორი იყო და „ანადგურებდა“ კითხვებით, მისი პროგრამა, რა თქმა უნდა, სააკაშვილის რეკლამას ისახავდა მიზნად.


მოკლედ, თუკი ვინმეს აინტერესებს, როგორია არაობიექტური, ანგაჟირებული, გამაღიზიანებელი და, ამასთანავე, უზრდელი შურნალისტი, უყუროს პირველ არხზე პრეზიდენტის მოწონებული შურნალისტის, ქალბატონ კვესიტაძე-უტიაშვილის გადაცემა „აქცენტებს“ და განათლდება კიდეც.

როგორც ხედავთ, საქართველოში მხოლოდ „ბანძ“, „ქაჯე“ და „გომი“ ადამიანებს თუ ჰგონიათ, რომ შურნალისტური კარიერა ჩვენში მაინც-დამაინც კალმით და კამერით უნდა გაკეთდეს, თორემ „საქმეში ჩახედულები“, დიდი ხანია, „საკუთარ ტყავზე“ დარწმუნდნენ, რომ იმის დაწერა, რითაც არაერთი ცნობილი ტელესახის კარიერა გაკეთდა, გაზეთში არ შეიძლება.


ბაბა კლიაშვილი



ნანკა კალატოვილი



სიმართლის დროს



ნანუკა კალატოვილი



ნანუკა შორენაიას შოუ



საავტორო სვეტი

დავინყაბული მამები

წლებულს, 30 იანვარს, ერთი კარგი ქართველი კაცის იუბილეს დავინყარო. იმ მოკრძალებულ თავყრილობას იუბილეს არც ეთქმოდან — ოჯახის წევრები და რამდენიმე მეგობარი, სულ ოცდაათამდე ადამიანი; არც ყვავილების ზღვა, არც შამპანურის წვიმა, არც საპატიო ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონიალი.

იუბილეს ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ დასწრებია, არც ერთი პატარა, სულ უბრალო მისალოცი ბარათიც კი არავის გაუმეტებია...

ამ დღეს, 2010 წლის 30 იანვარს 90 წელი შეუსრულდა პროფესორ თეიმურაზ ლორთქიფანიძეს, დამსახურებულ გამომგონებელს, კაცს, ვინც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული ტექნიკური აზროვნების განვითარებაზე ზრუნვას შეაღებია. სწორედ იმ თეიმურაზ ლორთქიფანიძეს, ვინც უსასტიკესი საბჭოთა ბიუროკრატის ყველა გამოცდას ისე გაუძლო, ერთიც არ დაუნუნუნია.

საკაპევილის ხელისუფლების მიერ გარიყულ-დავინყებულთა არმიდან მაინცდამაინც ბატონი თეიმურაზი ალაღებდნენ არ ამომირჩევია. იგი გახლავთ ვაჟიშვილი იმ კაცისა, ვინც შთამომავლობას ანდერძად ღირსეული სიცოცხლისა და სამშობლოსათვის ღირსეული სიკვდილის მაგალითი დაუტოვა; ვინც ბოლშევიკური ციხის სიბნელეში დაწერა საოცარი ნაშრომი „ფიქრები საქართველოზე“ და ვის მემკვიდრედ იგი მიიჩნევს თავს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება. ამ დიდი კაცის სახელია გრიგოლ ლორთქიფანიძე.

საკაპევილის ხელისუფლებამ გრიგოლ და თეიმურაზ ლორთქიფანიძეებს არსებობა დაივიწყა!

წლებულს, 11 მარტს, კიდევ ერთი ღვაწლმოილი ადამიანი გავაცილეს უკანასკნელ გზაზე — 87 წლისა გარდაიცვალა აკაკი კვიციანი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, კაცი, ვინც თითქმის 60 წლის განმავლობაში უანგაროდ და თავდადებით ემსახურა ქართული განათლების საქმეს, 35 წლის განმავლობაში იყო თბილისის მერვე საშუალო სკოლის უცვლელი დირექტორი. ამ ხუთიოდე წლის წინათ თანამდებობიდან ისე გაათავისუფლეს, მიზეზიც არ უთქვამთ, არც წინასწარ გაუფრთხილებიათ.

მის დაკრძალვას ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ დასწრებია, არც ერთი პატარა, სულ უბრალო სამძიმრის ბარათიც კი არავის გაუმეტებია...

ხელისუფლებას დაავინყავს ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, ანა კალანდიაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, რამაზ ჩხიკვაძე, თემურ ნაწიშვილი, რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, გოგი ჩოჩიშვილი, ნიკო ორგელაშვილი, პაატა ბურჭულაძე, ჯანსუღ კახიძე, ვიქტორ სანეივი, დავით ყიფიანი, მურთაზ ხურცილავა...

მართალია, დღევანდელი ქართული ხელისუფლების ყურადღება ან უყურადღებობა ვერც ცოცხალთა და ვერც გარდასულთა ღირსებას ვერც რამეს შემატებს და ვერც რამეს დააკლებს, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ მოჩვენებითი გულგრილობით იგი ძალიან სახიფათოდ ეთამაშება თანამედროვე ქართველ ახალგაზრდობას. ცდილობს, იგი დაარწმუნოს, რომ საქართველოს ისტორია იწყება 2003 წლის 23 ნოემბრიდან, ავადსახსენებელი „ვარდების რევოლუციიდან“ და დამთავრდება სააკაშვილის „ჩემი გუნდის“ ხელისუფლებიდან ნახვლისთანავე, ანუ სააკაშვილის გუნდის ხელისუფლებიდან ჩამოშორება საქართველოს ისტორიის დასასრულს ნიშნავს; რომ მამების თაობას არაფერი ღირებული ამქვეყნად არ შეუქმნია და, რაც მთავარია, არც შექმლო შექმნა. აქედან გამომდინარე, მამების თაობა შვილების თაობისთვის არის საშიში ნაგავი და, უკეთეს შემთხვევაში, საჭიროა მისი რკინის ხელით მართვა, უარეს შემთხვევაში — სპეციალურ სამარხში ღრმად და საიმედოდ ჩაქვესკნელება, სწორედ ისე, როგორც რადიკალური ნარჩენისა.

ასეთია ავტორიტარული ეთიკის კანონი — ავს და კარგს სახელებს არქმევს ხელისუფალი: „კარგია“ ყველაფერი, რაზეც სააკაშვილი იტყვის, რომ ის არის კარგი; „ცუდია“ ყველაფერი, რაზეც სააკაშვილი იტყვის, რომ ის არის ცუდი.

რა თქმა უნდა, ეს ხელისუფლების საკუთარი ხალხისადმი პათოლოგიური შიშიდანაც მომდინარეობს, მაგრამ ვერაფერი შეღავათია ხელისუფლების ინსინუაციებს აყოლილი შვილების თაობისთვის.

თეიმურაზ ქორიკა

რამაზ გიგაური: იმიტირებული ქრონიკა ეთერში 13 მარტს, მთვარის 29-ე — სატანურ დღეს გავიდა

იცოდნენ თუ არა ტელეკომპანია „იმედის“ ამჟამინდელმა ხელმძღვანელებმა და მათ შორის „იმიტირებული ქრონიკის“ ავტორებმა, რომ 13 მარტი, ასტროლოგიური თვალსაზრისით, ნეგატიური დღე იყო, უარყოფითი კოსმოზოლოგიური ენერჯის დედამიწაზე შემოდინება ხდებოდა; ამასთან, იყო ახალმთვარეობის წინა პერიოდი, ე.წ. სატანური დღე და სწორედ ამ დროს გასული გადაცემა მოსახლეობაში წარმოუდგენელ შიშსა და პანიკას, ფსიქოლოგიურ ტერორს გამოიწვევა? ეს დეტალიც წინასწარ ხომ არ იყო გათვლილი, ისევე, როგორც ხელისუფლებასთან შეთანხმებულად, შოკური თერაპიით დაწერგონ საზოგადოებაში რუსეთისა და იმ პოლიტიკოსების ზიზი, რომლებიც მზად არიან, რუსეთთან ერთად დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან? თუ გავითვალისწინებთ თარიღებისა და სიმბოლოებისადმი პრეზიდენტ სააკაშვილის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, გამორიცხული სულაც არ არის, რომ ესეც შეგნებულად გაკეთდა. გვესაუბრება ასტროლოგი რამაზ ბიგაშვილი.



— ბატონო რამაზ, იმიტირებული ქრონიკის თაობაზე მინდა გითხრო. გადაცემა 13 მარტს გავიდა ეთერში, ასტროლოგიური თვალსაზრისით, როგორი დღე იყო?

— ასტროლოგიურად 13 მარტი შედის თევზების ზოდიაქოში. თევზების ზოდიაქოსთვის (ვეგლისსმობ არა ამ ზოდიაქოში დაბადებულ ადამიანს, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში ნებისმიერ ხასიათზე შეიძლება იყოს, არამედ ზოგადად თევზების ნეგატიურ მხარეს, ყველა ზოდიაქოს პოზიტიური და ნეგატიური მხარე აქვს.), საკუთარი თავის შეცდომებში შეყვანა დამახასიათებელი. იმ შოკმა, რომელიც დღეს ამ გადაცემით ქვეყანას მიყენეს, 5 წლის შემდეგ, შეიძლება, სულ სხვანაირი სახე მიიღოს. ამასთან, ეს პერიოდი მთვარის შეცვლას უკავშირდებოდა. 13 მარტი ახალმთვარეობის წინა პერიოდი იყო, მთვარის 29-ე, ანუ სატანური დღე. რა თქმა უნდა, როდესაც ნეგატიური კოსმოზოლოგიური ენერჯის დედამიწაზე შემოდინება ხდებოდა (ეს არის განსაკუთრებით ახალმთვარეობა და სახსენებელი), რასაკვირველია, ასტროლოგიული კუთხით დადებითი დღე არ იყო. შესაძლოა, სხვა დღეს გაცილებით ნაკლები შოკი მიყენებია ადამიანებისთვის, რადგან ეს პერიოდი მთლიანად ნეგატიურია, მაგრამ ასტროლოგიური გათვლების მიღმა სხვა რამ უნდა დავინახოთ. ამ მოვლენის ენერგეტიკა უფრო მალეღვებს და ერთი რამ უნდა ვიცოდეთ, ჩვენ ყველას გვაქვს ის, რასაც ვიმსახურებთ. ეს სამყაროს კანონია, რა შუაშია აქ რიცხვი 13 ან ასტროლოგია?

— იმ პანიკას და იმ შიშს ვიმსახურებდით, რაც 13 მარტს განვიცადეთ?

— მაპატიეთ, მაგრამ რამდენი პროცენტი აიღო პრეზიდენტმა არჩევნებში? — 97 პროცენტი. ნებისმიერი ხალხი იმსახურებს თავის მთავრობას, ეს პოლიტიკური და, ამავე დროს, სამყაროს კანონია. — სამყაროს კანონების მიხედვით, 13 მარტი როგორი დღეა?

— 13-ის ბიოენერგეტიკა შემერებიდან მოდის. 12 ზოდიაქო იყო, 12 იყოფოდა 2-ზე, 3-ზე, 4-ზე, 6-ზე, ხოლო მისი მომდევნო 13 თარის ციფრი

საკაშვილს, ალბათ, მრჩეველები არ სჭირდება. ფსიქოლოგებსა და გეოპოლიტიკოსებს არ უსმენს და ასტროლოგს მოუსმენს? არ მგონია, ხელისუფლებამ იცოდეს, რომ შეიძლება დღე შეარჩიო.

გახდა. ამას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ევროპასა და აშშ-ში. მაგალითად, ზოგ ქვეყანაში არ არსებობს მე-13 სართული, სასტუმროში ვერ ნახავთ მე-13 ოთახს და ა.შ. ეს ერთ-ერთი ფობიაა. ამაზე მეტად მალეღვებს საქართველოს ჰოროსკოპი, რომელიც საშინელია და 1991 წლის 9 აპრილთანაა დაკავშირებული. 1989 წლის 9 აპრილის 2 წლის თავზე დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ეს ასტროლოგიურად ცუდი დღე იყო, საქართველოს ჰოროსკოპი ენერგეტიკულად მეტად დატვირთულია და არა ერთხელ მითქვამს, რომ დამოუკიდებლობის დღე უნდა შეიცვალოს. არ შეიძლება, გლოვისა და უბედურების დღე დამოუკიდებლობასთან ასოცირდებოდეს.

— ამ გადაცემის ეთერში გასვლა ხელისუფლებასთან იყო შეთანხმებული. როგორ ფიქრობთ, ასტროლოგიური კუთხითაც ხომ არ იყო წინასწარ დაგეგმილი, რათა მოსახლეობაზე შოკისმოგვრელი გავლენა მოეხდინა?

— ეს პოლიტიკურად დაგეგმილი იყო. მათ ვიღაცამ ზემოდან დართო ნება. თუმცა რომელიმე პოლიტიკოსი ასტროლოგიას, ფსიქოლოგიას, რელიგიას ან ნებისმიერ სისხტემას, რომელსაც ადამიანი საკუთარ თავთან მიმართებაში ჰარმონიასა და წესრიგში მოჰყავს, ყურადღებას აქცევდეს, ჩვენი საქმე ასე არ იქნებოდა.

ჩუხიტი აუზ-ში ალარ აბანდას

რუსეთმა აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციებში დაბანდება მკვეთრად შეამცირა. თუ გასული წლის დეკემბრის ბოლოს რუსეთი 141,8 მილიარდი დოლარის ვალდებულებებს ფლობდა, ერთი თვის შემდეგ მათი მოცულობა 17,6 მილიარდით შემცირდა. აშშ-ის მთავარი კრედიტორი — ჩინეთი 2010 წლის იანვარში 883 მილიარდი დოლარის ვალდებულებებს ფლობდა.

მეორე ადგილზე იაპონიაა. აშშ-ს მისი 765,4 მილიარდი მართებს. აშშ-ის სახელმწიფო ვალი ზრდას განაგრძობს, იანვარში მან 17 მილიარდით მოიმატა და 3,706 ტრილიონი შეადგინა.

ჩვენ ხელისუფლება ასტროლოგების დახმარებაზე უარს ამბობს?

— ასტროლოგები ჰყავს რუსეთსაც, იაპონიასაც. ეს ადამიანები, სპეციალურად გათვლილი მუშაობენ, მაგრამ გამოვრიცხავ, რომ ჩვენი ხელისუფლება ასტროლოგების რჩევით სარგებლობდეს. რამდენიმე წლის წინათ პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭო გა-

სასოფლო-სამეურნეო და სანაღებო მუშაობის დაწყების თარიღები

— ასტროლოგია მეორეხარისხოვანია? — სამშობლოზე მაღლა ვერ დავაყენებთ. მიყვარს პლატონი, მაგრამ ჭეშმარიტებაზე მეტად — არა.

ესაუბრა ნათია ოთიაშვილი

ამოკლავ



ჩუხიტი აუზ-ში ალარ აბანდას

შურნალისტური გამოძიების შედეგად 60 წლის წინანდელ საიდუმლოს აეხადა ფარდა. 1951 წელს საფრანგეთის ქალაქ პონტ-სენტ-ესპრის მცხოვრებლებს მასიურად დაეწყო ჰალუცინაციები და უამრავი მათგანი ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მოხვდა.

მაშინ ყველაფერი მონამულ პურს დაბრალდა. მაგრამ შურნალისტმა ალბარელმა, გაეცნო რა ცსს-ს საიდუმლო მასალებს, გაარკვია, რომ მასიური გაეფეთების მიზეზი ცსს-ს მიერ ადამიანებზე კონტროლის მიზნით ფსიქოტროპული აეროზოლის გამოცდა იყო.

ჩუხიტი აუზ-ში ალარ აბანდას

შურნალისტური გამოძიების შედეგად 60 წლის წინანდელ საიდუმლოს აეხადა ფარდა. 1951 წელს საფრანგეთის ქალაქ პონტ-სენტ-ესპრის მცხოვრებლებს მასიურად დაეწყო ჰალუცინაციები და უამრავი მათგანი ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მოხვდა.

ბაზრის ქალაქის გაბუღავებული მერი

იყო ასე თბილისქალაქში: სხვადასხვა უბნებში ბაზრები დაანგრიეს, რის გამოც მოვაჭრეები ქუჩაში აღმოჩნდნენ; ხელისუფლებაზე განაწყინებულმა მეტროსთან თუ მის ახლო-მახლო, სახელმწიფო დაწესებულებებთან დახლები მოიწყვეს და ჩვეული საქმიანობა განაგრძეს. ამის გამო მათ „გარემოვაჭრეები“ უწოდეს; თუმცა „გარეებს“ (ასე ეძახიან მათ პოლიციელები) პატრული რეზინის ხელკეტებითაც კი დაერია გარეთ დგომისა და ქალაქის იერის „დამახინჯებისთვის“...

ამ საშუალო დამანაშავეებს სიმართლეს გაჭირვებით შეძენილი პროდუქტი კი არ ჩამოართვეს, გადაუყარეს — თბილი ქვეყნიდან დაბრუნებული ფრინველებივით ჰაერში დაფრინავდა ხილი და ბოსტნეული. საბრალო „გარემოვაჭრეები“ წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ თავიანთ დამაქცევართ. ისინი აგინებდნენ ამ მთავრობას, რადგან საკუთარი შრომით ლუკმა პურის შოვნისა და ოჯახის რჩენის ერთადერთ საშუალებას უსპობდნენ.

მოგვიანებით, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინ ხელისუფლებამ, იმის შიშით, არიქა, ამ ხალხის ხმები არ დაეკარგო, გარევაჭრობის ნებართვა დართო. დართეს და წავიდა... დგანან ახლა გარემოვაჭრეები მეტროს შესასვლელებთან, მუყაოს ყუთებზე უშიშრად გაუმლიათ გასაყიდი საქონელი და... თვითონაც კმაყოფილი არიან და ხელისუფალნიც!

მარჯანიშვილის, დიდუბისა და გლდანის მეტროსადგურების წინამდებარე მოედნები რომ ბაზრობებს ჰგავდა, თვალში, კარგა ხანია, აღარავის ეჩხირება, მაგრამ ამაღ უდაბნოს მოძრავი ქვიშასავით მეტროს ფონებშიც რომ შეაღწიო, გასაკვირიც და სასაცილოცაა — ექსკალატორამდე რომ მიხვიდე, „დახლებს“ შორის უნ-

და გაძვრე ან სულაც გადაახტე და მერც თუ დადექი სიცილის გუნებაზე, ხომ კარგი!

მარჯანიშვილის მეტროსთან ჭადრის ხეებზე თუ „ნატვრის ხეებზე“ დაჭედებულ ლურსმნებზე ფრიალებს თურქული და ჩინური წინდები და საცვლები... ჩვენი თანაგაჭირვებულ ხალხს ასე იფადა რომ სთავაზობენ სხეულის შესამოსელს, ალბათ, ამჟამად რომ კიდევ ჩვენი კეთილმოსურნეები. დინამოს სტადიონთან, აკაკის სკვერში გარემოვაჭრეებს საქმეში დიდი პოტიც ჩაურთავთ. მისთვისაც დაუწყვიათ წინ „კოლგოტები“ და საცვლები.

„ქალბატონო, გასწიეთ ეს თქვენი „ბარგი-ბარხანა“ და, თუ შეიძლება, გამატარეთ!“ — ეუბნება ერთი უკმაყოფილო მოქალაქე გამყიდველს. „ქალბატონო, ეს „ბარგი-ბარხანა“ კი არა, სავაჭრო საქონელია და, თუ შეიძლება, სიტყვები და ტონი შეარჩიეთ, თქვენი წონა მარტო წიგნები მაქვს ნაკითხული.“ — პასუხობს „გარემოვაჭრე“ გაღიზიანებულ მოქალაქეს. ეს ქალბატონი აფხაზეთიდან დევნილი მკვალა ყოლბაია, რომელმაც აფხაზეთის ომი გამოიარა და ენგურზე ისე გადმოვიდა, რომ კოვზი რომ კოვზია, ისიც არ გადმოუტანია:

— შვილო, რა მჭირდა ისეთი, რომ ქუჩაში მევაჭრა და



ისე მერჩინა ოჯახი? ან ქართველებს და აფხაზებს რა გვექონდა გასაყოფი?! ყოველთვის მეგობრულად ვცხოვრობდით. დღესაც უამრავ აფხაზთან მაქვს კონტაქტი და ახლაც ისე მიყვარს ისინი, როგორც ომამდე. იმედია, ყველაფერი მოწესრიგდება და ისევ ერთად ვიცხოვრებთ.

— აფხაზეთიდან გადმოსვლის შემდეგ, როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება? — მე და ჩემი მეუღლე ორ

შვილთან ერთად გადმოვედით და თბილისისკენ იმ იმედით გამოვეშურეთ, რომ თავიდან აგვეწყო ცხოვრება. დეზერტირების ბაზარში მე ბოსტნეულით ვაჭრობა დავიწყე, ჩემი მეუღლე ხილს ყიდდა. ასეა თუ ისე, პურის ფული შეგვექონდა ოჯახში, მაგრამ ბაზარი დაანგრიეს და უამრავ ადამიანთან ერთად ქუჩაში აღმოვჩნდით.

— და დადანივით, ქუჩაში დაგვეყოფო ვაჭრობა? — აბა, რა გვექნა. ისე გამოგყარეს ბაზრიდან, რომ არაფერი აუხსნიათ და არც ალტერნატიული სავაჭრო ფართი შემოეთავაზებიათ. რა გვექნა? დავიწყეთ ქუჩაში ვაჭრობა, შვილებს საჭმელი ხომ უნდოდათ.

— მაგრამ საზოგადოებრივ ადგილებში ვაჭრობა მიიღებული არ არის. თან ადამიანი ნორმალურად ვერ გაივლის, თქვენი საქონელი სულ ფეხებში ებლანდება.

— აბა, რა გვექნა. ისე გამოგყარეს ბაზრიდან, რომ არაფერი აუხსნიათ და არც ალტერნატიული სავაჭრო ფართი შემოეთავაზებიათ. რა გვექნა? დავიწყეთ ქუჩაში ვაჭრობა, შვილებს საჭმელი ხომ უნდოდათ.

— მაგრამ საზოგადოებრივ ადგილებში ვაჭრობა მიიღებული არ არის. თან ადამიანი ნორმალურად ვერ გაივლის, თქვენი საქონელი სულ ფეხებში ებლანდება.

არ ფიქრობთ, რომ ეს მიუღებელია?

— გეთანხმებით, ეს არ არის ლამაზი და მეც მალბინა ანებს, მაგრამ ჩვენიც, რა ვქნათ, ხომ უნდა ვივაჭროთ. ისეთი ადგილები შევარჩიეთ, სადაც უფრო მეტი ხალხი მოძრაობს. ჩემი მეუღლე ვაგზლის მოედანთან, მეტროს შესასვლელში ვაჭრობს, მე კი — დინამოს სტადიონთან.

— როგორც ვიცი, ადრე პოლიცია გარევაჭრობის ნებას არ იძლეოდა. დაერეოდნენ მოვაჭრეებს და საქონელს ასფალტზე უყრიდნენ. დღეს რა ხდება, პოლიცია აღარ განუხებთ?

— დიახ, პოლიციელები ხშირად გვანიკებდნენ, შეურაცხყოფას გვაყენებდნენ და „ნისიად“ აღებულ საქონელს სულ ქუჩაში გვიყრიდნენ, თან ფეხით თელავდნენ. ჩვენ მაინც მოვდიოდით და ვაგრძელებდით ვაჭრობას. მერე საპრეზიდენტო არჩევნები დაიწყო და ნება დაგვრთეს გვევაჭრა, ეტყობა, შეეშინდათ, მათთვის წინასწარჩვენოდ პრობლემა არ შეგვექმნა. მერე საპარლამენტო არჩევნებამაც გადაგვარჩინა, ახლა კიდევ მერის არჩევნები მოდის და ჩვენთვის ვის სცალია. ვნახოთ, როდემდე გაგრძელდება ჩვენი და პოლიციელების „სიამტკბილობა“.

ქალბატონს მაღლობა გადაუხადე და მეტროსკენ გავეშურე. როგორც მოველოდი, მეტროში ძლივს შევალწიე. ამ დროს კი ვილატის უკმაყოფილო ხმა მომესმა: „ახლა გარდავ, წინ იყურე, ვერ ხედავ საქონელი მიწვეთაო“. რა უნდა მექნა, ნათქვამია: „ზოგჯერ თქმითაც დაშავდებიო“.

ასე ხდება ჩვენს დედაქალაქში, ქალაქში, რომლისთვისაც რამდენ გენიალურ პოეტს მიუძღვნია ალტაცებულის სტრიქონები; უცხოელეთი კი ყოველთვის განსაკუთრებულთან, რომანტიკულთან აიგივებდნენ მას. დღეს მდგომარეობა აბსოლუტურად შეცვლილია, რომანტიკული ქალაქი „ბაზრის ქალაქად“ გადაიქცა.

მაგრამ, თუ ვინმეს აქვს ძველი თბილისის ნოსტალგია, დილის 5-6 საათზე უნდა გავიდეს მის ქუჩებში, სადაც, მართალია, ვერც რუმბების სისქე გააოცებს და ვერც ჭიანჭურზე დაკრულ ჩარგას გაიგონებს, მაგრამ „სიძველისადმი გრძობა და პატივი“ მაინც გაუჩნდება.

ალექსანდრა აკოზია



„ბუშის ტვინი“ წაეპის მოხერხება

აშშ-ის ექსპრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მრჩეველმა კარლ როუფმა, რომელსაც „ბუშის ტვინი“ უწოდებდნენ, განაცხადა, რომ წამების მეთოდის წყალობით ტერორისტების თავდასხმების თავიდან აცილება ხერხდებოდა. მისივე თქმით, წყლით დახრჩობის იმიტაცია წამების მეთოდად არ უნდა ითვლებოდეს. „დიახ, მე ვამბობ, რომ ამ მეთოდების გამოყენებით შევინარჩუნეთ უფრო უსაფრთხო მსოფლიო, ვიდრე ის სინამდვილეში იყო“, — წერს როუფი ახლანაირად გამოცემულ მემუარებში.



თალიბებსა და შეუპოვებულ მებრძოლებს

ნატომ უკვე იმდენჯერ დახოცა ავღანეთის მშვიდობიანი მოსახლეობა „შეცდომით“, რომ თალიბების შეცდომამ აღარავის გაჰკვირვებია, როდესაც მათ ავღანეთში მყოფი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის — გორდონ ბრაუნის ნაცვლად ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის დაუშინეს ნალმები. რა ქნან თალიბებმა? ჯერ ბრაუნი ეწვიათ გაუფრთხილებლად, შემდეგ კი ასევე გაუფრთხილებლად მოინდომა ბუნვეზე გადარჩენილმა ყარზაიმ თალიბებისაგან ახლანაირად გათავისუფლებული მარჯვს დათვალა იერება.



ილჰამ ალიევი მილიონებს აფრიალებს

11 წლის ბიჭი, რომლის სახელი, გვარი და დაბადების თარიღი აზერბაიჯანის პრეზიდენტის შვილის — გეიდანის ანალოგიურ მონაცემებს ემთხვევა, დუბაის ელიტარულ კომპლექსში 44 მილიონ დოლარად ღირებული უძრავი ქონების პატრონი გახდა. თანხა აზერბაიჯანის მოქალაქის საშუალო წლიურ შემოსავალს 10 ათასჯერ აღემატება. დუბაიში 31 მილიონად ღირებული უძრავი ქონება აქვთ პრეზიდენტის ქალიშვილების მოსახელე ლეილა და არზუ ალიევეებსაც. თავად ალიევის წლიური ხელფასი 228 ათასი დოლარია.



ტიმოშენკო პროკურატურის ხელში

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ ქვეყნის წინა მთავრობამ სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისაგან არნახული მასშტაბების კრედიტები აიღო და ამ თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაციას საზოგადოებას საგულდაგულოდ უშმადავდა. იანუკოვიჩის დავალებით, იულია ტიმოშენკოს პრემიერობის დროს თანხების ხარჯვას პროკურატურა შეამოწმებს. გენერალურ პროკურორ ალექსანდრე მედვედკოს ასევე დაავალა, გაარკვიოს, თუ რატომ მოქმედებდა წინა მთავრობა კანონების იგნორირებით.



ოზაბამ მთვარის პროგრამა დასურს

ბიუჯეტის უზარმაზარი დეფიციტის შესამცირებლად აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ NASA-ს მთვარის პროგრამის „Constellation“-ის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. ასტრონავტები თვლიან, რომ ეს უკიდურესად ცუდი გადაწყვეტილებაა, რომელსაც კოსმოსური კვლევებისათვის კატასტროფული შედეგები მოჰყვება. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ბარაკ ობამას გადაწყვეტილება მთვარეზე პილოტირებულ ფრენებს რამდენიმე ათეული წლით, შესაძლოა, სამუდამოდ აკონსერვებს.

მამა კახაბერ გოგოტიშვილი:

აბორტი წინასწარ დაგეგმილი ბანზრას მკვლელობაა!

სქესთა თანაფარდობის დარღვევით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა. არადა, ყოველთვის იყო მყარი მოსაზრება, რომ ბოლო პერიოდში გოგონების რაოდენობა საქართველოში ბიჭებისაზე ბევრად აღემატებოდა; ამას სამოქალაქო ომისა და არეულობის პერიოდში ვაჟთა ხშირი სიკვდილიანობით ხსნიდნენ, თუმცა 2008 წლის მონაცემებით, საქართველოში ყოველ 100 გოგონაზე 128 ბიჭი იბადება. განსხვავება თვალმისაცემია და მით უფრო საინტერესოა ამ განსხვავების გამომწვევი მიზეზები.



სხვადასხვა მონაცემით, მსოფლიოში 60-დან 107 მილიონამდე გოგონა „გამქრალი“. მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ინდოეთსა და ჩინეთს აქვს, თუმცა პროცენტული დაანგარიშებით კავკასიის ქვეყნები სიის სათავეში არიან. აღიარებულია, რომ ახალშობილებში სქესთა თანაფარდობა ასეთი უნდა იყოს: 100 გოგონაზე 104-107 ბიჭი. ჩინეთში, სადაც დემოგრაფიული თანაფარდობა ყველაზე მეტადაა დარღვეული, ყოველ 100 გო-

გოზე 122 ბიჭი იბადება. ექსპერტები ერთხმად აღიარებენ, რომ სქესთა შორის თანაფარდობის დარღვევა ორსულობის ადრეულ დიაგნოსტიკას უკავშირდება. ულტრაბ-გონითი გამოკვლევა ნაყოფის სქესის წინასწარ დადგენისა და არასასურველი სქესის ნაყოფის მოშორების საშუალებას იძლევა. „გაუჩინარებელი“ გოგონების პრობლემა იმ ქვეყნებში შეიქმნა, რომლებშიც საზოგადოება ბიჭების მიმართ მიკერძოებულია. ყველაზე მიკერძოებული კი ამ შემთხვევაში საქართველო აღ-

მოჩნდა, სადაც საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს ვაჟი გვარის გამგრძელებლად მიიჩნია. დემოგრაფიის ექსპერტის — **გია წულასის** თქმით, ჩინეთის მონაცემები სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკით აიხსნება, რომელიც ოჯახში ერთი ბავშვის გაჩენაზეა ორიენტირებული და თავად ქმნის „ჭარბეულობის“ ტენდენციას. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ საქართველოში ან ახალშობილთა აღრიცხვა არ ხდება სრულად, ან გოგონებს,

როგორც არასასურველ ნაყოფს, დედები აბორტებით გამოიზულად იშორებენ. ყოველწლიურად საქართველოში 2000-ზე მეტი ქალი, შვილის არასასურველი სქესის გამო, მიზანმიმართულად იკეთებს აბორტს; ეს — ოფიციალური მონაცემებით, ფაქტობრივად კი, არაღვეალური აბორტების რაოდენობა დაფიქსირებულია ოთხჯერ მეტია. ჩვენ მიერ გამოკითხულმა ხუთმა ექოსკოპისტმა განაცხადა, რომ მათი კლიენტების უმრავლესობას ბიჭის ყოლა სურს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მსგავსი გენდერული სტრუქტურის შეცვლა შეიძლება ქალების განათლების ამაღლებითა და ეკონომიკური გაძლიერებით. მართლმადიდებლური სამყაროსთვის აბორტი მიუღებელია და ერთ-ერთ უმძიმეს ცოდვად ითვლება. როცა საკითხი სქესის პრივილეგიით გაკეთებული აბორტის ეხება, ექსპერტების დამოკიდებულება უფრო მკაცრდება. ამ თემაზე თან დაკავშირებით **მამა კახაბერ გოგოტიშვილი** გვითხრა: — ადამიანი შეიძლება საერ-

თოდ არ იყოს რელიგიური, მაგრამ შინაგანად ის ყოველთვის აცნობიერებს, რა არის ცოდვა. **უმძიმესი ცოდვაა, როდესაც ადამიანი თანამედროვე მედიცინის საშუალებებით ადგენს სქესს და არჩევს აკეთებენ ვაჟსა და ქალს შორის. ესაა დაგეგმილი მკვლელობა. შეიძლება განერვიულებულმა ადამიანმა აფექტურ მდგომარეობაში მკვლელობა ჩაიდინოს, მაგრამ შემდეგ მთელი ცხოვრება დაიტანჯოს ამის გამო და სინანულში ჩაგარდეს.** მაგრამ, როცა წინასწარ მოიფიქრებს და გადაწყვეტს, ნავა ექიმთან დაბავშვს არასასურველი სქესის გამო მოიშორებს, ეს არაა განსაზღვრული ცოდვა. სხირად მოსულან ჩემთან და უთქვამთ, რომ აბორტის მიზეზი ეკონომიკური მდგომარეობა იყო და მომდევნო შვილის გაჩენა ამიტომ გადაიფიქრეს. მაგრამ, როცა მე მიკითხავს, უფრო დიდი კრიზისის დროს, რომელიმე შვილს მტკვარში გადააგდებ-მეთქი? რა თქმა უნდა, მათი პასუხი იყო — არა. თუმცა განსხვავება არაა, რომელიმე შვილზე იტყვი უარს: იმისა, რომელსაც ვერ ხედავ, თუ იმისა, რომელსაც ხედავ. ეს

ცოდვა უფრო მეტად მძიმეა იმიტომ, რომ სქესის გამო აკეთებენ არჩევანს. შეიძლება ასეთ მშობელს საერთოდ აღარ მიეცეს შემდეგ შვილი. და თუ მიეცემა, როგორ ფიქრობთ, ჯანსაღი ურთიერთობა იქნება თვითონ შვილსა და მშობელს ან ცოლ-ქმარს შორის? ამიტომაც ხშირი ოჯახების წგრევა. ხშირად მოდიან ჩემთან ადამიანები, რომლებიც მეუბნებიან, რომ ცოდვა არ ჩაუდენიათ და ცოდვად მხოლოდ იმას თვლიან, რომ კომუნიკური რეჟიმის პერიოდში ეკლესიური ცხოვრებით ვერ ცხოვრობდნენ. როცა ვეკითხები, ყოფილა თუ არა აბორტის შემთხვევები, მეუბნებიან, რომ — კი. საკუთარი შვილის მკვლელობას ცოდვად არ თვლიან. მაგრამ ეს სამინული ცოდვაა, ცოდვის ჩამდენი მშობელია, აღმსრულებელი და ჯალათი — ექიმი, რომელსაც ეს ცოდვა ასევე აწევს კისერზე. იმის მაგივრად, რომ შვილის მიცემის გამო უფალს მადლობა შესწიროს, დაუნებლად კლავს მას. არ შეიძლება შეინიშნა დედის ცოდვის ნებას და გადაწყვიტო, ვინ იცოცხლოს, ვინ — არა. ქართველ მამებს ყოველთვის აქვთ ამპარტავენება, გვარის გამგრძელებლები უნდა გაჩნდნენ. შეიძლება ღირსეული არც თავად იყოს და არც მისი გვარი, მაგრამ მაინც აქვს ამის ამბიციაცია. მისთვის მთავარია, საზოგადოებაში ჰქონდეს სათქმელი, რომ გვარის გამგრძელებელი ჰყავს. ილია ტყეშაძეს შვილი არ ჰყავდა, მაგრამ მისი სახელი საქართველოს ისტორიას არ დაავიწყდება. ძალიან ბევრი ადამიანი შეიძლება დაეკარგოს, ვინაიდან შვილი მრავლად ჰყავდა და მისი სახელის სხენებაც არ არის.

facebook-ის მიერ ოპოზიციული მსოფლიო

„გუშინ მთელი ღამე არ მეძინა, მოსავალი მქონდა ასაღები“, „სახლში მალე უნდა მივიდე, ფეთი მყავს დასაბანი“, „როგორც იქნა, farmaville-ში მილიონიანი ვილა ვიყიდე.“ — მსგავსი ფრაზები, ალბათ, მოსმენლი გექნებათ, სახლში თუ არა, ქუჩაში მაინც. დღეს ხომ facebook-ის ბუმი. ჯერ მასობრივი დასევა იყო odnoklassnik-ზე, თუმცა თავიდანვე კლასელების მოძებნაზე უფრო აქტიულო, ლამაზი გოგონების თვალთვლება იყო. ერთ დროს ყველაზე პოპულარულ ქსელს myspace-ს დღეს არავინ სწყალობს, „ოდნოებიც“ მოძველდა და მობეზრდა ხალხს. ახლა facebook-მა დაიპყრო ქართველებისა და არა მარტო მათი გულები.



მარკ ცუკერბერგი

ჯერ კიდევ შარშან, ტელე-ურნალისტიმა ინგა გრიგოლიამ საზოგადოებას აუწყა, ვინმეს მოძებნა და ვინმესთან კონტაქტი თუ მინდა, „ოდნოკლასნიკებში“ შევიდვარო. დღეს სურათი რადიკალურად შეიცვალა. მას შემდეგ, რაც „ოდნოკლასნიკების“ ქსელი რუსულ ომთან და მის სადაზვერვო სამსახურთან გაიგივდა, ამ სოციალურ ქსელში განვირინებული ქსელური უნარებისა და დიდი გამოცდილების მქონე საზოგადოება ახლა facebook-ში რეგისტრირდება. facebook-ი, უკვე 4 წელია, არსებობს, მაგრამ, როგორც ჩვენთან უმეტეს შემთხვევაში ხდება, „ცივილიზაციამ“ მოგვიანებით შემოაღწია და აქტიუალური მხოლოდ წელს გახდა. მისი დამარსებელი მარკ ცუკერბერგი ჯერ მხოლოდ 26 წლისა და უკვე 1,5 მილიარდი დოლარის ოდენობის კაპიტალის მფლობელია. მოუხედავად

ამისა, ახალგაზრდა მილიარდერი კვლავინდებურად სტუდენტურად ცხოვრობს — საერთაშორისო ბინაში, იატაკზე დაგდებულ ლეიბზე სძინავს და ოფისში ველოსიპედით დადის. უკანასკნელ პერიოდში facebook-ის პოპულარობა სწრაფი ტემპით იზრდება და მასზე დარეგისტრირებული მომხმარებლების რაოდენობამ უკვე 300 მილიონს გადააჭარბა. მას „ოკუპირებული“ ჰყავს მთელი ევროპა, ორივე ამერიკა, ავსტრალია და, ასევე, რა გასაკვირიც უნდა იყოს, მუსლიმანური სამყაროს დიდი ნაწილიც. დღესათვის facebook-ი ყველაზე რეიტინგულ საიტებს შორის მეორე ადგილზეა და მასზე ქებოთა და მიკერძოებით ლაპარაკს თვით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამაც კი არ ერიდება. წარმოიდგინეთ, რა სიამოვნებაა, ბარაკ ობამას დაპოსტინგის რომ მოინო-

ნებ! მიუხედავად იმისა, რომ იცი, მართლა ბარაკ ობამა კი არ ხოს, სპეციალურად მიჩენილი ადამიანის დაპოსტინგია. აქ იმის პერსპექტივაც არსებობს, სრულიად შემთხვევით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, აშშ პრეზიდენტის ან, თუ სურვილი გაქვთ, რომელიმე მსხვილი საერთაშორისო კომპანიის ხელმძღვანელთან დიალოგიც გააბათ და სულაც მის მეგობრად იქცეთ. ალბათ, ბევრისთვის facebook-ზე დარეგისტრირების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ცნობილ ადამიანებთან „დამეგობრება“ გახდა. facebook-ზე არსებობს უამრავი თამაში; მაგალითად: petville, pet society, farmaville, fishville და ა.შ. მათი მომხმარებელი დიდი მონდომებითა და ენთუზიაზმით ცდილობს ფერმების მეშვეობით გამდიდრებას ან ფეთისთვის ახალი ოთახის მოწყობას. მიუხედავად იმისა, რომ დიდ დროსა და

ენერგიას უნაყოფოდ ხარჯავენ, ვერაფერს იტყვი, რა ქნან, — ონლაინ თამაშებით ცდილობენ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. კიდევ კარგი, ჩვენი კანონმდებლობით პატიმრებისთვის ინტერნეტი ხელმისაწვდომი არაა, თორემ აუცილებლად მიბაძვდნენ იმ ბრიტანელ განგსტერს, რომელსაც 35 წლით ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა მისჯილი, თუმცა ამას სულაც არ შეუშლია მისთვის ხელი, დანაშაულებრივი დაჯგუფებისათვის ციხიდან, სწორედ facebook-ის მეშვეობით, ცხელმძღვანელა. facebook-ი გატაცება „ჩვეულებრივი მოკვდავებისგან“ იმდენად გასაკვირი შეიძლება არ იყოს, მაგრამ საინტერესოა, რამ „გადარია“ ჩვენი პოლიტიკოსები. საიტზე რომ შევიდვარო, თავი პარლამენტის სხდომაზე მგონია. შესაბამისად, შემოიღია დავას კვანა, ვის რამდენი საათი სძინავს დღე-ღამეში. მაგალითად, კახა კუკავა, ძირითადად, ღამის 3-4 საათისკენ იძინებს. რამდენიმე დღის წინათ კი სწორედ facebook-დან შევიტყვე თინა ხიდაშელის რომში გაგზავრების

ამბავი. ვასილ მალაფერდის კომუნიკაბელურობა მართლაც გაოცებას იწვევს. რა გასაკვირიც უნდა იყოს, მისი friend-ების რიცხვი 3000 აღწევს. იშვიათად თუ შეხვდებით ასეთ მეგობრულ პოლიტიკოსს, რომელიც, სავარაუდოდ, ან კარგად არაა გარკვეული, ან გულს ვერავის წყვეტს და ყველაზე იმატებს. ჩემი მეგობრების სიას ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მომხმარებელი ბატონი კახა ბენდუქიძეც აშშ-ვენებდა, მაგრამ, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, თვითმარქვია შემჩნა ხელში. გირჩევთ, სანამ ვინმე ცნობილი ადამიანის დაბატებას გადაწყვეტთ, კარგად გაეცანით მის info-ს, საერთოდ, ქართველები უცნაურად „ერთობიან“, სხვისი სახელითა და გვართი სარგებლობაზეც არ ამბობენ უარს. facebook-ის პოპულარობის ზრდამ ახალი სპეციალობაც კი შემოიტანა ჩვენს რეალობაში. მაგალითად, პრემიერ მინისტრ ნიკა გილაურს, ისევე, როგორც ხელისუფლების სხვა მაღალი რანგის პოლიტიკოსებს, ონლაინ პრეს-ატაშე ემსახურება, რომელიც ყოველდღიურად აახლებს მის გვერდს; აბა,

ბატონ პრემიერს სად სცალია facebook-ში გასართობად, ისედაც იმდენ საქმეს აკეთებს. ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, საკმაოდ რთულია ხელისუფლების წარმომადგენლებთან დამეგობრება. ორჯერ გაუფრთხავნეთ მოწვევა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს და ორივეჯერ უარი მივიღეთ. ამის შემდეგ მისი რეიტინგი ჩემს თვალში მკვეთრად დაეცა. მესმის, ცოტა აბსურდულია, ამის გამო პოლიტიკოსი ათავალწუნო ან შეიყვარო, მაგრამ გულს ვერ უბრძანებ! facebook-ის მონაცემებით რომ ვიმსჯელოთ, ოპოზიციის ნამდვილად ვერ ვაწუგებთ, რადგან ერთი კი არა, 50-მდე პრეზიდენტი ჰყავს სახლში „გასახლებაში“, facebook-ში ხომ პრეზიდენტის სახელით 50-მდე მომხმარებელი სარგებლობს. ერთი სიტყვით, ამ პოპულარულ საიტს ქართველი პოლიტიკოსების თითქმის 80% ამშვენებს. რა ქნან, პოლიტიკოსებზე ხომ უბრალო ადამიანები არიან, მათ ისევე სჭირდებათ გართობა, როგორც რიგით მოქალაქეებს. სულ „სამირო საქმეებით“ ხომ არ იქნებიან დაკავებული?!

P.S. ძნელი სათქმელია, მსოფლიოში facebook-ის ბუმი რამდენ ხანს გაგრძელდება, ალბათ, სულ მალე გამოჩნდება ახალი სოციალური საიტი, რომელიც ისევე „დაჩაგრავს“ facebook-ს, როგორც თავის დროზე მან — odnoklassnik-ი. მანამდე კი, ვისაც უფრო მეტი გინდათ, იცოდეთ პოლიტიკოსების მოღვაწეობის შესახებ, თამამად შეგიძლიათ დაიმატოთ facebook-ში.

გვერდი მოაწაღეს **ლილი მიროტაქამ და თეო ტაბატაქამ**

ტარიელ ონიანის უპილო სააკაშვილზე გამოცხადება

გასული კვირის ბოლოს საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, რომ რუსეთის ფედერაცია მზადაა, ესპანეთს გადასცეს ყველაზე სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კრიმინალური ავტორიტეტი ტარიელ ონიანი (ტარო). ესპანეთის სამართალდამცავები 2005 წლიდან ეძებდნენ ონიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრება და კრიმინალური გაერთიანების, ე.წ. რუსული მაფიის ორგანიზება.



ტარიელ ონიანის დანაშაულებრივი საქმიანობის დამადასტურებელი მასალები ესპანეთის პოლიციამ 2005 წელს ჩატარებული ოპერაციის („კრაზანა“) პროცესში მოიპოვა, რომელშიც 400-ზე მეტი პოლიციელი მონაწილეობდა ჯავხანტიანი პოლიტიკოსებისა და მხარდებლების და შეფარდებულთა ჩართვით. ჩხრეკები ჩატარდა ბარსელონაში, ალიკანტეში, ასევე, მარბელის, ფუნხილორის, ბენაბიდადისა და ტორემოლისის კურორტებზე, დააპატიმრეს ესპანეთის 30 მოქალაქე, მათთან ერთად — საქართველოს, რუსეთისა და უკრაინის მკვდრნი.

ტარიელ ონიანი (მეტსახელია ტარო) დაიბადა 1952 წელს ტყიბულში, მემხატის ოჯახში. მამა მალაროში მომხდარ ავარიამი (ქალების ჩამოხრევის შემდეგ) დაეღუპა; ეტყობა, ამან ხელი ააღებინა მემხატის ქალაქის ტრადიციულ პროფესიას და უკვე 17 წლისა გაასამართლეს ძარცვისა და ქურდობისათვის. რვაჯერ სასჯელს იხდიდა კოლონიებში. აღიარებულია „ქუთაისის დანაშაულებრივი დაჯგუფების“ ლიდერად. გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს იგი კანონიერ ქურდად „აკურთხეს“, ხოლო 1980-იან წლებში მიჩნეული იყო ყველაზე უფრო ავტორიტეტულ კანონიერ ქურდად მოსკოვში. 1990-იან წლებში საცხოვრებლად გადადის პარიზში, შემდეგ — ესპანეთში, სადაც ხელი მიჰყო სამშენებლო ბიზნესს.

ადვოკატებმა თავდებით მისი გათავისუფლებისთვის სასამართლოს 15 მილიონი შესთავაზეს, მაგრამ სასამართლომ მისი წინასწარი პატიმრობა ძალაში დატოვა.

„კოლიზი, თქვენი გეგმით სიკვდილი“

58 წლის ტარიელ ონიანს ქურდების ერთმა დაჯგუფებამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა იაპონიის მკვლელობის გამო. ეს უკვე აღვნიშნეთ. რატომ დაუპირისპირდა ერთმანეთს ქურდული სამყაროს ეს ორი ავტორიტეტი? სანამ ამ კითხვას გავცემთ პასუხს, ალბათ, უნდა ვთქვათ, რომ ონიანის „კარიერა“ ქურდული გაგების პრინციპებს სრულად შეესაბამებოდა და უზინჯოდ ვითარდებოდა.

ამისთვის ხაზგასმით უფრო საჭიროა, რომ 80-იანი წლების ბოლოსთვის საქართველოში საცხოვრებელი გახდა ქურდის „ტიტულის“ ყიდვა. საქმეში გარკვეული პირობების მონაწილეობა, „გვირგვინის დადგმა“ სამი „კოლიზი“ ფასი ღირდა. ხოლო 18-20 წლის ბიჭებისთვის, რომლებიც ციხეში არასდროს მსხდარიან, ქურდის „წოდების მინიჭების“ ჩვენთან გავრცელებული პრაქტიკა ქურდული მოძრაობის ახალი ეტაპის თავისებურ საფეხიკო ბარათად წარმოგვიდგა. სპეციალისტები თვლიან, რომ სწორედ ამიტომ ქართველი ქურდების რაოდენობა რუსეთში „კანონიერთა“ უმეტესობას შეადგენს. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ქურდული სამ-

ყაროს 1200 ლიდერთა შორის 60 პროცენტზე მეტი საქართველოს მკვიდრია. ქურდების საერთო რაოდენობა კი სსრკ-ში პერიოდთან შედარებით გაორმაგებულია.

ონიანი სხვა კატეგორიაა, მას არაფერი აქვს საერთო ქურდობასთან.

80-იანი წლების ბოლოს, როცა ტარიელ ონიანი მწვერვალზე იმყოფებოდა, აღზევებული იყო, ტულენის ციხეში ერთმანეთს შეხვდნენ ვიარჩესი ივანკოვი (იაპონიელი) და ონიანი უახლოესი კაცი, კანონიერი ქურდი ილია სიმონია (მახო). რა ვერ გაიყვეს, რაზე ვერ შეთანხმდნენ, დღეს არავის ახსოვს და არცაა საინტერესო. მთავარი ისაა, რომ ორი დაჯგუფება მას შემდეგ ერთმანეთს მტრად გადაეკიდა.

მოაზრული ხმების მიხედვით, იაპონიელმა მოახერხა, რომ სიმონიასთვის „გვირგვინი“ ჩამოერთმიათ. მაშინ ივანკოვის (იაპონიელი) მხარი დაუჭირეს ასლან უსოიანმა (დედ ხასან), სერგეი პოიკოვმა (ბოი) და რამდენიმე სხვა ავტორიტეტმა. ონიანმა ეს ამბავი პირად შეურაცხყოფად აღქვა, ისე აღშფოთდა, რომ უსოიანი და ივანკოვი საჯაროდ შეურაცხული იყვნენ კრიმინალთა ურთიერთობებში დაიწინაურა არ უნერია.

ტარიელ ონიანი პარიზში გადასახლდა... ქართული ავიაკომპანია „ორბის“ მფლობელი დავით სანიკიძე 1998 წლის 11 ივლისს ვენაში მოკლეს.

ავსტრიელებმა მთელი ევროპა ფეხზე დააყენეს და იპოვეს ეჭვმიტანილები. ერთ-ერთი მათგანი — აკაკი ჯავახიძე პოლიციელებმა მკვლელობის შემსრულებლად, ქილერად მიიჩნიეს.

სანიკიძის სახლში ჩხრეკის ჩატარებისას პოლიციელებმა იპოვეს დოკუმენტი — საფრანგეთის სასამართლოს 1995 წლით დათარიღებული დადგენილება საქართველოს რამდენიმე მოქალაქის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ. მათ ბრალად ედება ნარკოტიკებით ვაჭრობაში მონაწილეობა. ამ დოკუმენტის მიხედვით, ტარიელ ონიანი ერთ-ერთ ფიგურანტად იყო დასახელებული.

დაპატიმრების ბრძოლა

1994 წლის 23 აგვისტოს ანტერპენში დააპატიმრეს ისრაელის მოქალაქე, ქართველი ებრაელი რაფიელ მიქაელი. მას თან ჰქონდა ამანათი, რომელიც პარიზში ტარიელ ონიანისთვის ჰქონდა გამზადებული. ტარო მაშინ პარიზის სასტუმრო „ინტერკონტინენტალი“ 3077-ე ნომერში ცხოვრობდა. ამანათში პოლიციელებმა აღმოაჩინეს ყალბი ბელგიური პასპორტები, მათ შორის, ერთ-ერთი — ტარიელ ონიანის სახელით. ტაროს თვალთვალი დაუწყეს.

საფრანგეთის პოლიციის მონაცემებით, ტარიელ ონიანის ინტერესთა სფერო საქართველოში იყო: სივრცეები-სა და არაფის კონტრაბანდა, რეკეტი, ძარცვა, ყალბი პასპორტების სანარმოებისა და ბანკების კონტროლი, ერაყიდან არალეგალური ნავთობპროდუქტების მიწოდებები და კრიმინალური გარჩევები.

ფრანგმა გამოძიებლებმა ისიც დაადგინეს (სატელეფონო მოსმენებით), რომ ტარიელ ონიანი გარეული საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრ გიორგი ყარყარაშვილზე თავდასხმაში ვენაში მკვლელობის გასაღებიც ამ მოსმენების დახმარებით იპოვეს.

1994 წელს იაპონიელმა, რომელიც იმ დროს ნიუ იორკში იმყოფებოდა და დავით სანიკიძე ონიანს თითქოს „ახსია“ მისი კანონიერი ნადავლი — 15 მილიონი დოლარი, რომელიც ერთ-ერთ გაკორტებულ ქართულ ბანკს ეკუთვნოდა. სატელეფონო საუბარში, რომელსაც პოლიციამ მოუსმინა, ონიანი თავის „პარტნიორს“ მერაბ ჯანგელაძეს (მერაბ სუხუშისკის) ეუბნება: „იაპონიელი სადმოდან უნდა გაირიცხოს. თუ არ დათანხმდება, დაკლავენ“. ერთ-ერთ ჩანაწერში კი ასეთი მუქარაც ისმის: „არ მოვეშვენი! ისინი უკვე გვამებია — იაპონიელიც და სანიკიძეც!“ კიდევ ერთ ჩანაწერში ონიანი მოსაუბრეს ავალებს, გაარკვიოს, ბანაობს თუ არა იაპონიელი ოკეანეში...

ფრანგებმა ტარო და მერაბ სუხუშისკი 1995 წლის დასაწყისში დააპატიმრეს. ერთი წლის თავზე ნიცის სასამართლომ ონიანი გირაოთი გაათავისუფლა.

რამდენიმე თვეში ისე მოხდა, რომ ვენაში მოკლეს სანიკიძე. ტარო საფრანგეთიდან ესპანეთში გადასახლდა. აქ ბარსელონის უმდიდრეს რაიონში — ზუანდ ალოსის ქუჩის №42-ე სახლში, რომელიც ტარიელ ონიანის საკუთრებაა, ესპანეთის პოლიციის მტკიცე-

ბით, 2005 წლის ივნისამდე „რუსული მაფიის შტაბ-ბინა“ იყო განთავსებული.

გავლენიანი ესპანური გაზეთის El Pais-ის აზრით, რუსი კრიმინალების დაკავებაში ადგილობრივ სამართალდამცველებს დაეხმარა სსრკ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის გადამდგარი პოლიციელები ალექსანდრე ლიტვინენკო, რომელიც ლონდონში პოლინიუმით მონაშლამდე 6 თვითადრე ესპანელებს შეუთანხმდა დოსიეს გადაცემაზე, რომელშიც სრული მონაცემები იყო შეტანილი სსრკ ყოფილი რესპუბლიკებიდან ესპანეთში დამკვიდრებული კრიმინალური ავტორიტეტების, მათ შორის, ქართველების შესახებ.

ვინ მოამარაგა ლიტვინენკო აღნიშნული მასალებით, დღემდე გარკვეული არ არის. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ყოფილ პოლიციეს ყველა თავისი საინფორმაციო წყარო რუსეთში უკვე ამონურული ჰქონდა.

კიდევ ერთი საიდუმლო დარჩა ამოუცნობი. იმ ოპერაციის დროს, როცა ესპანელმა პოლიციელებმა დააპატიმრეს მისი შვილი გვანცა, უახლოესი თანამშენებელი ბესიკ ლიპარტიანი და ვიტალი იზგილოვი (ვიტალი-ზვერი), ასევე, შეძლეს არაბეთის გაერთიანებული ემირატებიდან ზაქარია კალაშოვის (მაქრო-მოლოდის) ექსტრადიცია, ტარიელ ონიანი სადაც გაქრა. ზუსტად ერთი საათით ადრე, სანამ შესაბამისი პოლიციის სპეცრაზმი მიადგებოდა, იგი შინიდან გავიდა...

ტარიელ ონიანი კიდევ ერთხელ დააპატიმრეს 2008 წელს, თბომავალზე გამართული „პროფესიული“ შეკრების დროს. მაგრამ მალევე გაათავისუფლეს სხვა „კანონიერებთან“ ერთად.

ამავე პერიოდში ტარო რუსეთის მოქალაქე ხდება. ამასთან დაკავშირებით, მიხეილ სააკაშვილმა მამინი განაცხადა: „არ ვიცი, რაში დასჭირდა რუსეთს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა მიეცა ადამიანისთვის, რომელიც გაქცეულია საქართველოდან და იძებნება ჩადენილ დანაშაულობათა გამო. შეიძლება, ონიანი და მისი მსგავსი ადამიანები პირადებიან რუსეთის მხარეს, რომ იბრძოლებენ საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ რატომ სჯერათ რუსეთის ფედერაციაში ამგვარი ადამიანების? ბანდიტები ხომ ბანდიტებად რჩებიან საქართველოში და რუსეთშიც“. ამ განცხადებებზე ერთგვარ პასუხად წარმოჩნდა ბნელით მოსილი, მაგრამ ფრიალდასახელებული ისტორია: ტარიელ ონიანმა ერთმანეთს შეახვედრა ან გარდაცვლილი ბადრი პატარკაციშვილი და საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გენერალი ირაკლი კოდუა.

ამ შეხვედრის შემდეგ განვითარებულ სკანდალურ ისტორიას ჩვენი მკითხველები კარგად იცნობენ. ტარიელ ონიანის უკანასკნელი დაპატიმრების შესახებ უკვე ვთქვით.

მოაზრება არამაზს სანაშლიძემ

P.S. 15 მარტს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სპეცოპერაციების შედეგად საქართველოს 69 მოქალაქე დააკავეს. როგორც „ბი-ბი-სი“ იუწყება, „ქართული მაფიოზური კლანის“ წარმომადგენელთაგან 24 ესპანეთის ქალაქებში — ბარსელონასა და ვალენსიასა დააპატიმრეს; დანარჩენი 45 — ავსტრიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთსა და იტალიაში. „ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, დაკავებულები ძარცვაში, მოქალაქეებისთვის ფულის გამოძალგებაში, იარაღის უკანონოდ შენახვასა და ტარებაში, ასევე, ნარკოვაჭრობასა და მთელ რიგ სხვა დანაშაულში არიან ეჭვმიტანილინი.



კანონიერი შურდები: თეიმურაზ ჯალაღანია, ტარიელ ონიანი, თამაზ კოროშიანი და გურამ ჩიკაბერიძე

კრიმინალური ავტორიტეტისთვის ესპანეთში ექსტრადიცია, როგორც ამბობენ, ერთგვარი შეება იქნება, რადგან ქურდულმა სამყარომ სხვა ავტორიტეტის — ვიარჩესი ივანკოვის მკვლელობის გამო მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, რომლის აღსრულება ესპანეთში უთუოდ გაჭირდება. ტარო ონიანი „მოსკოვსკაია ტიშინას“ სპეციალურ ბლოკშია მოთავსებული — პატიმრებისგან იზოლირებულია და ჯერჯერობით მისი უსაფრთხოება დაცულია. ასეა თუ ისე, ონიანის ექსტრადიცია ესპანეთში, როგორც მოსკოველი ყურნალისტები წერენ, რუსეთიდან ესპანეთისთვის ბრალდებულის გადაცემის პირველი შემთხვევა იქნება. და როგორც ჩვენთან ამბობენ, — პირველად საქართველოში!

«ნიტოლი კაკელებს» მუსიკა სტალინისთვის

გაგზიხიაროთ. დასაწყისი №9 (52)

კოროტკოვი და „სტარშინა“ ერთმანეთს „კორსიკელის“ ბინაში შეხვდნენ. ჰარომ მიახვედრა, რომ იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე და რომ მოხარულია რუსი მზვერავის გაცნობისა. ის კოროტკოვთან შეხვედრას დაყაბულდა, თუმცა თქვა, რომ პრაქტიკულად ამის განხორციელება მხოლოდ არვიდ ჰარნაკის მეშვეობითაა შესაძლებელი.

შემდეგ კოროტკოვმა უშუალო კონტაქტი აღადგინა კარლ ბერენსთან („ლუჩისტიანთან“), რომელიც პროფესიით ზეინკალ-მემონტაჟე იყო. ის ჯერ კიდევ 30-იანი წლების შუახანებში გადაიბირა ბ. გორდონმა მიღწერულ ჰარნაკის დახმარებით. ბერენსმა რთული პოლიტიკური გზა განვლო. „ლუჩისტიმ“ უამბო კოროტკოვს, რომ სამხედრო ქარხანა „АЕГ-ტურბინაში“ მუშაობდა, დეტალური ინფორმაცია მინაოდა ფირმის მდგომარეობასა და მუშა-მოსამსახურეთა განწყობაზე. ცენტრის ინფორმირებისას კოროტკოვმა მოსაზრება გამოთქვა, რომ წყაროს საინფორმაციო შესაძლებლობები იმჟამად შეიზღუდა, მაგრამ რაკი მას იატაკქვეშა მუშაობის გამოცდილება ჰქონდა, წესიერი და საიმედო იყო, ბერლინის ჯგუფის რადისტად გამოდგებოდა. ცენტრი კოროტკოვის მოსაზრებას დაეთანხმა.

მუშაების თაობაზე ცენტრში სასარგებლოდ ჩათვალეს, მაგრამ ამასთანავე შენიშნეს, რომ მზვერავები მეტისმეტად ჩქარობენ და ყველაფერში კარგად გარკვევა საჭირო. თუმცა უკვე ნათელი გახდა, რომ მას შემდეგ, რაც „სტარსიკი“ გრიმზე აუცილებელ ცნობებს შეკრებდა, შეიძლება მასთან უშუალო კონტაქტზე გასვლაც. არადა, „კორსიკელის“ ჯგუფის გაყოფამ და მის ქვეყნაროებითან უშუალო კონტაქტში ნაყოფი ვერ გამოიღო იმ თვალსაზრისით, რომ ცენტრს არ გაიოლებია ბერლინიდან მიღებული ცნობების გადამოწმება და მათი ობიექტურად შეფასება. ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ცნობებიც კი ვეჭვქვეშ დგებოდა, ხოლო დეზინფორმაცია ხშირად კრიტიკის გარეშე მიიღებოდა.

სსრკ-ში უმჯობესი წონი

„მოსალოდნელია უცნაური თავდასხმა, — გააფრთხილა „სტარშინამ“ კოროტკოვი, მან კი მოსკოვი, — გერმანული მხარე რაიმე მოთხოვნას წამოაყენებს თუ არა, უცნობია. გერმანული ავიაციის პირველი იერიში მურმანსკის, ვილნოს, ბელოსტოკის, კიშინიოვის, მოსკოვის ავიაციის ნებისა და მის გარეუბნებზე ბალტიისპირეთის პორტებზე, ბელომორ-ბალტიის არხზე, სარკინიგზო გზებზე და ხიდებზე განხორციელდება.“ „სტარშინას“ აზრით, ომის დაწყების შემთხვევაში, ფაშისტებისთვის კონტრიერითი უნდა ექაზებოდნენ. საბჭოთა ავიაციას კი შეუძლია დაბომბოს რუმინეთის ნავთობწარმოება, კენიგსბერგის, ბერლინის, შტეტინის სარკინიგზო კვანძები. უნგრეთზე დარტყმით კი გერმანიას ბალკანეთისგან მოწყვეტს. ამ ცნობამ ცენტრი ააფორიაქა. საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელობამ ვერ გაბედა ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობისთვის

ვინ გააფრთხილა გულადი



№	წარმომადგენელი	საინფორმაციო მნიშვნელობა
№-40	„კორსიკელი“	1. 3 არმია აღიჭურვა იაპონური სატანკო ტანკებით. 2. „სტარშინა“ მიახვედრა, რომ იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე და რომ მოხარულია რუსი მზვერავის გაცნობისა. ის კოროტკოვთან შეხვედრას დაყაბულდა, თუმცა თქვა, რომ პრაქტიკულად ამის განხორციელება მხოლოდ არვიდ ჰარნაკის მეშვეობითაა შესაძლებელი.
№-41	„კორსიკელი“	1. 3 არმია აღიჭურვა იაპონური სატანკო ტანკებით. 2. „სტარშინა“ მიახვედრა, რომ იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე და რომ მოხარულია რუსი მზვერავის გაცნობისა. ის კოროტკოვთან შეხვედრას დაყაბულდა, თუმცა თქვა, რომ პრაქტიკულად ამის განხორციელება მხოლოდ არვიდ ჰარნაკის მეშვეობითაა შესაძლებელი.
№-42	„კორსიკელი“	1. 3 არმია აღიჭურვა იაპონური სატანკო ტანკებით. 2. „სტარშინა“ მიახვედრა, რომ იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე და რომ მოხარულია რუსი მზვერავის გაცნობისა. ის კოროტკოვთან შეხვედრას დაყაბულდა, თუმცა თქვა, რომ პრაქტიკულად ამის განხორციელება მხოლოდ არვიდ ჰარნაკის მეშვეობითაა შესაძლებელი.

დოკუმენტი, რომლითაც „კორსიკელმა“ სტალინს ომის დაწყება შეატყობინა

ამის შეტყობინება და სსრკ-ის თავდაცვის სახალხო კომისარიატის გენერალური შტაბის სადაზვერვო სამმართველოს აცნობა. აპრილიდან ცენტრმა ბერლინიდან არაღიგალო რეზიდენტურები შექმნა დაიწყო, რომლებსაც პირდაპირი კავშირი ჰქონდათ მოსკოვთან. რადიოკავშირის საშუალებით იატაკქვეშა ანტიფაშისტურ მოსკოვის ინფორმირება უნდა მოეხდინათ და ასევე, გერმანიის სხვადასხვა რაიონსა და ქვეყნის მიღმაც წინააღმდეგობის მოძრაობის სხვა ჯგუფებთან კონტაქტები შეენარჩუნებინათ. 1941 წლის მაისის დასაწყისში გერმანული მიმართულების ხელმძღვანელმა პ. მ. ურავლიოვმა კოროტკოვს განკარგულება მისცა, მოეძებნა რადისტები და რადიოპარატურას დალოდებოდა. ჰარნაკმა მიზანშეწონილად მიიჩნია კარლ ბერენსის კანდიდატურა, მისი დიდი ოჯახის გამო, მეორე კანდიდატი კურტ შუმპანერი მოულოდნელად არმიამ გაიწვიეს. შედეგად, „სტარშინას“ შუამდგომ-

ლობით, არჩევანი კომუნისტ ჰანს კოპიზე შეჩერდა. ცენტრის მიერ შეპირებული ტექნიკა მაისის დასაწყისში ჩამოვიდა. კონტინენტ-ჩემოდნებში ბატარეებზე მომუშავე ორი პორტატული რაცია იყო მოთავსებული. გადასახლება რადიოგადამცემებს სახლების მაღალ სართულებზე, ტყეში, მინდორში, წყლის ზედაპირზე შეეძლოთ მუშაობა და მათი მიმდებარე რაიონის ათას კმ-ს აღწევდა. მიმდებარე რაიონის რაიონში იყო განთავსებული. ტვირთ-ვაგონის მიმდებარე და გადაცემის ალმონდა, რომელიც 110-220 ვოლტის ძაბვაზე მუშაობდა, აუცნაური ნივთია, — გაფიქრა კოროტკოვმა, — როგორ უნდა გამოიყენო? ინსტრუქციაც არ ახლავს. სიურპრიზიც ამას ჰქვია. რაც შეეხება მიმდებარე საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საზღვარზე, ეტყობა, ნითელი არმია უკან დახევას არ აპირებს და მტერს მისივე ტერიტორიაზე გაუმკლავდება. მაგრამ შეძლებს კი ბატარეებზე მომუშავე სუსტი რაცია ცენტრთან „კორსიკელის“

ჯგუფის მტკიცე კავშირის უზრუნველყოფას? თუმცა მოსკოვში უკეთ იცინა, რასაც აკეთებენ.“ რაცია „კორსიკელის“ ჯგუფს გადაეცა გრეტა კუკოვსკის მეშვეობით. რეზიდენტურას არც ერთი დღე არ შეუწყვეტია ინფორმაციის მოპოვება. ანტიფაშისტური ნინაღმდეგობის ჯგუფი სულ უფრო შემამოთხებელ ცნობებს აწვდიდა საბჭოთა კავშირზე ჰიტლერის თავდასხმისთვის მზადების დასრულებაზე. 1941 წლის 16 ივნისს ბერლინიდან მოსკოვში გაიგზავნა დეპეშა, რომელიც აფრთხილებდა, რომ გერმანიის აგრესია შეიძლებოდა წუთი-წუთზე დაწყებულიყო. ეს ამბავი მისივე მოახსენეს სტალინსა და მოლოტოვს. მასში ნათქვამი იყო: „გერმანული ავიაციის შტაბში მომუშავე წყარო იტყობინება: გერმანიის ყველა სამხედრო მზადება სსრკ-ის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლისთვის მთლიანად დასრულებულია და იერიში ყოველ წუთსა მოსალოდნელია... გერმანული ავიაციის იერიშის ობიექტები, უპირველესად, გახლავთ: ელექტროსადგური „სერ-3“, მოსკოვის ქარხნები და ავტოსარემონტო საამქროები. გერმანიის მხარეზე აქტიურ მონაწილეობას მიიღებს უნგრეთი. გერმანული თვითმფრინავების ნაწილი, ძირითადად, განადგურებული, უკვე უნგრეთის აეროდრომებზე იმყოფება... სსრკ-ის ოკუპირებული ტერიტორიების „მომავალი ოლქების“ სამხედრო-სამეურნეო სამმართველოების უფროსთა დანიშვნაც განხორციელდა, ხოლო მათ თათბირზე სიტყვით გამოვიდა როზენბერგი, რომელმაც გააცხადა, რომ ცნება „საბჭოთა კავშირი“ გეოგრაფიული რუკიდან უნდა წაიშალოს. მეორე დღეს სტალინმა საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელი პ. მ. ფიტინი და სსრკ-

ის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი მერკული თავისთან გამოიძახა და გამოუცხადა: — საიდან და როგორ იღებს თქვენი წყარო ინფორმაციას? ენდობთ თუ არა მას და რატომ? ფიტინმა შინაგანი მღელვარება დაიოკა და აღუწა, რომ წყარო მტკიცე ანტიფაშისტურ და ამიტომაც მოპოვებულ ცნობებს რეზიდენტურას აწვდის. მისი ინფორმაციები, ჩვეულებრივ, დასტურდება და დაზვერვას მასში ეჭვია არ ეპარება. სტალინმა ჩიზუხი მოქაჩა და ჩაილაპარაკა: — არის მხოლოდ ერთი გერმანელი, ვისაც შეიძლება ენო — ამხანაგი ვილჰელმ პიკი. ყველაფერი ხელახლა გადაამოწმეთ და მოახსენეთ. უკანა გზაზე მერკული დანიტერესდა, რას ფიქრობდა ფიტინი სტალინის ნათქვამზე. ფიტინი პასუხისმგებარ არ ჩქარობდა და მერკულითა თვად უპასუხა საკუთარ კითხვას: — ეტყობა, ამხანაგი სტალინი გულისხმობდა, რომ სანდონი მხოლოდ გერმანული კომუნისტები არიან. სტალინის შენიშვნაზე დაუყოვნებლივ რეაგირება და შესაბამისი ზომების მიღება იყო საჭირო. მერკულითა განკარგულება გასცა, რომ დაზვერვას სასწრაფოდ შეედგინა „კორსიკელისა“ და „სტარშინას“ მიერ მოწოდებული ცნობების სია, სადაც გერმანიის მხრიდან აგრესიისთვის მზადების შესახებ იყო ლაპარაკი. 1941 წლის დასაწყისიდან ასეთი დეპეშები ასობით დაგროვდა ცენტრში. ისა დაარჩა, რომ დოკუმენტი ბერლინიდან გაეგზავნათ და დასტურება მოეთხოვათ. მაგრამ მოვლენებმა დაზვერვის ხელმძღვანელობის ზრახვებს დაასწრო.



ადოლფ ჰიტლერი და კერან ბერინგი

რეზიდენტურის ცნობა ა. გრიმზე გასვლისა და მისი მეშვეობით გერმანიის და-

დასასრული შედეგად ნომერი

ჩისი უზინოდა ევა ბრაუნის გეგობარ ოლგა ჩხოვას?

დიდი რუსი მწერლის მეუღლის ნათესავი
ოლგა ჩხოვა ცნობილი მსახიობი გახლდათ
გერმანიაში. ორივემ დაახლოებით ერთსა
და იმავე დროს გაითქვა სახელი, ოღონდ
ერთმა საპატიო რეგალიები სტალინისგან,
მეორემ კი ჰიტლერისგან მიიღეს.

ოლგა 1897 წელს რუსეთში, მხატვრული თეატრის ცნობილი მსახიობის — ოლგა კნიპერ-ჩხოვას ღვიძლი ძმის — კონსტანტინ ლეონარდის ძე კნიპერის ოჯახში დაიბადა. ბავშვობიდან მსახიობობაზე ოცნებობდა, მტკიცე ხასიათი და მშვენიერი გარეგნობა ჰქონდა. პეტროგრადში მშობლებთან ცხოვრობდა და 1914 წლის ზაფხულში მათივე დაფინანსებით დედა ოლგასთან გაემგზავრა მოსკოვში. მომზიბლავი გოგონა მაშინვე შეუყვარდათ ძმებს: ვლადიმერსა და მიხაილ ჩხოვებს. ოლგას გული სწორედ ამ უკანასკნელმა დაიპყრო. ახალგაზრდებმა მალულად იქორწინეს კიდევ. 1916 წელს ქალიშვილი შეეძინათ, რომელსაც ადა დაარქვეს.

1923 წლის ზაფხულში, გერმანიაში გასტროლების შემდეგ თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო არტისტი მიხაილ ჩხოვი სსრკ-ში აღარ დაბრუნდა. მასთან ერთად დარჩა მისი მეუღლეც, თუმცა ამბობდნენ, რომ ოლგა ისტორიულ სამშობლოში ქმარზე ადრე დაბრუნდა. მოკლე ხანში ის ქმარს გაეყარა და ვინმე ფრიდრიხ იანოშთან, ყოფილ ავსტრო-უნგრულ ტყვესთან წავიდა. მოგვიანებით ოლგა მასაც დაშორდა და მსახიობის კარიერით დაკავდა. მალე ყურადღება მიიქცია და 1924 წელს ოლგა ჩხოვას სახელი და გვარი დიდი ასოებით ეწერა ბერლინის ცნობილი თეატრების აფიშებზე. ერთხელ ბორმანმა ჰიტ-



ოლგა ჩხოვა

ლერს მსახიობ ოლგა ჩხოვას გაცნობა შესთავაზა. ფიურერი შეფიქრებდა: ღირდა კი საქმის დაჭერა სლავ ქალთან? მაგრამ მშვენიერი ოლგას დანახვაზე გუნება გამოუკეთდა და ბორმანს თითქმის



ოლგა ჩხოვა და მისი ქალიშვილი ადა

კი დაუქვია: „მატყუებ, მარტინ, რუსი ქალები მსუქნები და ჯანიანები არიან. ეს კი ნამდვილი არიელია!“

მას შემდეგ ჰიტლერი პირადად პატივებდა ოლგა კონსტანტინეს ასულს ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფო ღონისძიებაზე და თანაც გვერდით მოისვამდა ხოლმე. გერმანიაში მოლოტოვის ვიზიტისას მან სტუმარს პირველად ოლგა წარუდგინა, რომლის ავტორიტეტი ქვეყანაში ერთობ მაღალი იყო. ის კი არა, დახმარებისთვის მალაჩინოსნები და სამხედროები მიმართავდნენ ხოლმე. ოლგა ევა ბრაუნთანაც მეგობრობდა. ისინი ხშირად ერთად ესწრებოდნენ პრემიერებს, აწყობდნენ პიკნიკებს და ერთმანეთს პატარ-პატარა ქალურ საიდუმლოებებსაც უზიარებდნენ. ოლგას მეორე ახლო მეგობარი გერინგის მეუღლე ემა ზონემანი გახლდათ.

არადა, სწორედ ოლგა ჩხოვა იყო ის იდეალური, ჩინებულად ინფორმირებული

წყარო, რომელთანაც მთელი ომის განმავლობაში კავშირი ჰქონდა შეიცარიაში დამკვიდრებულ საბჭოთა დაზვერვის სახელგანთქმულ რეზიდენტ მანდორ რადოს.

ოლგას საყვარელი იყო ახალგაზრდა, ათლეტური აღნაგობის მფრინავ-გამანადგურებელი ვალტერ იეპი, რომელიც რეისსმარშალ გერინგის კეთილგანწყობით სარგებლობდა. ჩხოვამ მოხიბლა მუსოლინიც, როცა ის გერმანიაში ვიზიტად იმყოფებოდა. მსახიობი ოსტატურად არიდებდა თავს მისი სილამაზით დატყვევებულ ჰებელსს, თუმცა როცა ჰიტლერის ჯარულ სთხოვა ა. ჩხოვის მეგობრად დასახლება, ის უარს უთხრა.

ომის დასრულებიდან მოკლე ხანში ინგლისისა და გერმანიის პრესამ პირველ გვერდზე დაბეჭდა სენსაციური სტატიები: „ოლგა ჩხოვა საბჭოთა დაზვერვაზე მუშაობდა, ჯაშუშობდა, ჩადიოდა

რუსეთში, სადაც დავალებებს აძლევდნენ. დამსახურებისთვის სტალინისგან ლენინის ორდენიც კი მიიღო.“ იმასაც ამბობდნენ, რომ ბერიაში ჰიტლერის ლიკვიდაციის გეგმის შემუშავებისას ოლგა დაიხმარა, როგორც მასთან ძალზე დაახლოებული პირი.

ლავრენტი ბერიას ვაჟი, სერგო ბერია თავის წიგნში: „მამაჩემი — ლავრენტი ბერია“ წერდა, რომ მსახიობი ოლგა ჩხოვა უმალესი კლასის საბჭოთა მშვერავი იყო.

ომის დასრულების შემდეგ სემრემა ოლგა ბერლინიდან გაიყვანა და მოსკოვიდან საგანგებოდ გამოგზავნილი თვითმფრინავით სამშობლოში დააბრუნა. იქ დედაქალაქში მსახიობი პირველად შეხვდა ენ-კა-ვე-დეს კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსს, სახელმწიფო უშიშროების კომისარს — ვიქტორ აბაკუშოვს. ოლგა მეფურად მიიღეს, მაგრამ ნათესავებთან ურთიერთობა აუკრძალეს. მისი ვიზიტი მოსკოვში საიდუმლოებით იყო მოცული, უფრო მეტიც, მისმა ქალიშვილმა ადამაც კი არ იცოდა, რომ დედამისი დედაქალაქში იმყოფებოდა.

დასავლეთ გერმანიაში ოლგა 1950 წელს დაბრუნდა და მსახიობის კონკარიერაც აღიდგინა. 1983 წლის შემოდგომაზე 83 წლის ოლგა კონსტანტინეს ასული ჩხოვი ტვინის სიმსივნით გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლო წლებში მას ძალზე უეწინოდა რუსეთის და არასდროს ლაპარაკობდა ამ თემაზე...



ადოლფ ჰიტლერი და ოლგა ჩხოვა

მინისკაპეა გაზა წყალკაპეა სოპალდისტვის

სევასტოპოლიდან 15 კმ-ში, ფილონტისა და აიას კონცხებს შორის ყირიმის ერთ-ერთი უძველესი დასახლება — ბალაკლავა გადაჭიმულა.

50-იან წლებში სტალინმა ბერიას საიდუმლოდ უბრძანა, გამოეძებნა ისეთი ადგილი, სადაც წყალქვეშა ხომალდების ბაზირება იქნებოდა შესაძლებელი. არჩევანი წყნარ ბალაკლავაზე შეჩერდა: ქალაქი მაშინვე გაასაიდუმლოეს და მისი დასახლება ყირიმის რუკაზე წაშლიეს. ობიექტი-825 FTC ცივი ომისდროინდელი საიდუმლო სამხედრო ობიექტია. მისი მშენებლობა ბალაკლავაში 1967 წელს დაიწყო და 1961

წელს დასრულეს. ჯერ სამხედროები აგებდნენ, შემდეგ მათ მოსკოველი, თბილისელი და ხარკოველი მეტრომშენებლები შეუერთდნენ. ეს ქარხანა, არსენალი და პირველი კატეგორიის ატომსანიწაღმდეგო თავშესაფარია, რომელიც 3000 კაცს იტევს და 30-დღიანი ავტონომია აქვს. ობიექტის ქვეშ გრუნტის სისქე 126 მეტრია. თავშესაფრის რეჟიმში არხში ბაზირებული იყო 613 და 633 პროექტის წყალქვეშა ხომ-

ალდები. არხის სიგრძე 505 მ-ია, წყლის ზედაპირის ფართობი — 6-8.5 მ, სიღრმეც — ამდენივე. კომპლექსი მიტოვებულია 1995 წელს. ქარხანა და მინიტროპედული ნაწილი ამჟამადც დახურულია ცნობისმოყვარე თვალისთვის.

არსენალში ინახებოდა, აღიჭურვებოდა და საბრძოლო მორიგეობისთვის მზადდებოდა ბირთვული იარაღი. ამ ბაზაში მოხვედრა მინისკაპე 5 შესასვლელით იყო შესაძლებელი. ობიექტის პირველ დონეზე განთავსებული იყო ვენტილაციის ფილტრები, სატუმბო სადგურები, სანავის მიღების ქსელი. მეორე დონეზე — ტრანსფორმატორული ქვესადგური და გადა-

საქაჩი სადგური, რომლის მეშვეობითაც სანავი ხომალდების ბორტსა და ტანკერებზე გადაქონდათ.



არსენალი



შესასვლელი ქარხანაში



ბირთვული რაკეტებისა და ტორპედოების ასანაყობი ნაკვეთური

51-ე ზონა გაზე-ლეიქის ტაზე



51-ე ზონაში, გრუმ ლეიქის ტბის მახლობლად ამერიკულმა სამხედრო-საჰაერო ძალებმა საიდუმლო ავიაპოლიგონი ააგეს, სადაც პირველად გამოიცადა თვითმფრინავები U 2 U-12 SR-71 F-11, მანამდე, სანამ საზოგადოება მათი არსებობის შესახებ შეიტყოდა.

51 ზონაში შესასვლელს სპეციალური სამხედრო რაზმები აკონტროლებენ, რომლებიც სამთავრობო ნომრებიანი თეთრი ჯიპ-ჩეროკებით დაქრან და მოსახლეობასთან კონტაქტს ელოდებიან. საიდუმლო ტერიტორიაზე შესვლა 6000 დოლარით ჯარიმდება, თუმცა იქ შეღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია. შენობების მისაღვრებთან შენიღბული ტელეკამერები, მოძრაობისა და თბოგამოსხივების დეტექტორები, ლაზერული სიგნალიზაცია დგას. ლამით ტერიტორიაზე პროექტორებით აღჭურვილი შავი შეუღებულნი პატრულირებენ. საიდუმლო ბაზას 14 მინისკაპეა დონე აქვს, სადაც ყრუდ დაკეტილ და საზოგადოებისგან სრულყოფილი იზოლირებულ კარებს მიღმა უცნობი სამუშაოები მიმდინარეობს. სავარაუდოდ, აქ შესაიდუმლო ახალი ტიპის საფრენი აპარატების აგება მიმდინარეობს „მფრინავი თევზების“ ტექნოლოგიების გამოყენებით. თვითმფრინავები ირწმუნებიან, რომ ამ ადგილებში ხშირად შეუნიშნავი უცნაური ობიექტები, რომლებიც ჰაერში ისე მანევრირებენ და უმალესი პილოტაჟის ისეთ ფიგურებს ასრულებენ, აქამდე არსებულ ტექნიკას რომ არ ძალუძს.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დასავლეთში დემოკრატიული ღირებულებებისათვის მებრძოლ რაინდად მიაჩნიათ, საქართველოში კი მას დიქტატორად ნათლავენ, რომლის მიზნებისკენ მიმავალი გზა ხშირად გვაშეშებდა მოფენილი. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ახალ რუბრიკაში „დიქტატორები“ მსოფლიოს ყველა ცნობილ დიქტატორს წარმოგიდგენთ. პარალელების გავლება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა კი თქვენთვის მოგვიწევია...

ანასტასიო სომოსა-ნაძირალა დიქტატორი

ისტორია გვასწავლის, რომ მმართველი კლასი არასდროს თმობს ხელისუფლებას უბრძოლველად. ასე მოხდა ნიკარაგუაშიც. 1979 წლის ივლისში ნიკარაგუის რევოლუციის შედეგად დაემხო ანასტასიო სომოსა დეზაილეს 40-წლიანი დიქტატურა და პირველად ამ ქვეყნის ისტორიაში ამერიკულ იმპერიალიზმს საშუალება არ მიეცა, გათავისუფლებულ ქვეყანაში თავისი ჯარები შეეყვანა.



ანი სასმელებით, ნარკოტიკებითა და წამლებით ვაჭრობას. სომოსამ თავისი ინტერესების შესაბამისად 4-ჯერ შეცვალა ნიკარაგუის კონსტიტუცია, მინისტრებს კი ხელთათმანებით იცვლიდა. თავის დროზე ჰიტლერის, მუსოლინისა და ჰიროჰიტოს მიმდევარი, რომელთაგანაც საჩუქრად გულის ამარყუებელი წარწერებით დამშვენებულ პორტრეტებს იღებდა, მეორე მსოფლიო ომში აშშ-ის ჩართვისთანავე უმაღლესი „დემოკრატად“ გადაიქცა, რის შემდეგაც კავშირი დაამყარა სიონისტებთან და მათი კაცი — ი. არაზი დასავლეთ ევროპაში თავის საგანგებო ელჩად დანიშნა. 1954 წლის აპრილის დასაწყისში გვარდიელების ჯგუფი მანაგუაში გადატრიალების მოწყობას შეეცადა სომოსას ფიზიკური განადგურების განზრახვით. დიქტატორმა დროულად შეიტყო ამის შესახებ და ჯანყი სისხლის მდინარეებში ჩაახშო — ათასობით კაცი იმსხვერპლა, თუმცა მას შემკვიდრებმა აჯობეს, როცა ათი ათასობით კაცის სიცოცხლე შეინირეს. 1956 წლის 21 სექტემბერს ნიკარაგუის ქალაქ ლეონში, ადგილობრივ კლუბში ფიესტა გაიმართა დიქტატორის ახალი ვადით პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენების აღსანიშნავად. წვეულებისას, როცა ტაროს სუფრასთან კანდიდატის მოსალოდნელი წარმატების სადღეგრძელოს წარმოთქვამდნენ, სოლო ორკესტრი მამბოს პოპულარულ მელოდის — „კაბალიო ნეგროს“ (შავი რაში) უკრავდა, ერთ-ერთი მოცეკვავე — რიგობერტო შეუმწნეველად მიუხსლოვდა პრეზიდენტის მაგიდას და ოთხი გასროლით სასიკვდილოდ დაჭრა. თავდასხმის შემდეგ სომოსა შეუღლებულად გადაიყვანეს პანამის არხის ამერიკული ზონის პოსტიტალში, სადაც დ. ეიზენჰაუერმა ქირურგები გაუგზავნა, მათი მცდელობის მიუხედავად, 29 სექტემბერს დიქტატორი გარდაიცვალა. ასე უსახელოდ დაასრულა თავისი დღეები 60 წლის ტარომ, რომელიც სიცოცხლეში ამბობდა: „ხელისუფლებაში ყოფნას 40 წელი ვაპირებ, მაგრამ, თუ აშშ სხვაგვარად გადაწყვეტს, პრეზიდენტის სასახლეს თუნდაც ხვალ დავტოვებ!“ ტარო 20 წელი იწარჩუნებდა ძალაუფლებას და საიქიოში არა ამერიკელების, არამედ მათი მოწინააღმდეგეების სურვილით გადასახლდა. 1956 წელს პრეზიდენტის პოსტი მისმა უფროსმა ვაჟმა ლუის სამოსა დეზაილემ დაიკავა, რომელიც ქვეყანას 1963 წლამდე მართავდა. ის რენე შიკ გუტიერესმა შეცვალა, ხოლო 1967 წელს პრეზიდენტი გახდა მისი ძმა ანასტასიო სომოსა დეზაილე, რომელიც 1979 წელს დაამხეს და ამით დასრულდა სომოსების დინასტიის დიქტატურა ნიკარაგუაში...

მამამისი — ანასტასიო გარსია სომოსა კი, ანუ როგორც მას ბავშვობაში უწოდებდნენ, ტარო (ქართულად „ნაძირალა“ ნიშნავს), 1896 წლის 1 თებერვალს დაიბადა. ის ადრედაწვე გაიტაცა აზარტულმა თამაშებმა, ქალებმა და დარტყმებმა. ამიტომ მამამისმა — ყავის პლანტაციების მფლობელმა ფილადელფიის ბიზნეს-სკოლაში გაგზავნა, მაგრამ ამერიკაში, სწავლის ნაცვლად, მეორადი ავტომანქანების ყიდვა-გაყიდვით დაკავდა, ხოლო მიღებულ შემოსავალს სათამაშო სახლებში ხარჯავდა. მამის უფროსმა სომოსამ ვაჟი ნიკარაგუაში დააბრუნა, ტრაქტორი უყიდა და ექიმ ლუის დეზაილესა და ნიკარაგუის მომავალი პრეზიდენტის ზუან საკასის დის — კასიმირა საკასის ქალიშვილი სალვადორი შერთო ცოლად. დაქორწინებამ ვერ დაამოშშინა ტარო. მოკლე ხანში ტრაქტორი აუქციონზე გაიყიდა ბანქოში წაგებული თანხების გამო, იგივე ბედი ეწია სანმარკოსის მამულსაც, რომელიც ანასტასიოს მამისგან მემკვიდრეობით ერგო. ფინანსური მდგომარეობის გამოსაკეთებლად სომოსამ ყალბი ფულის ტრა დაიწყო. 1921 წელს ის თანამზრახველთან, ნაციონალური გვარდიის მტაბის მომავალ უფროსთან, კამილო გონსალესთან ერთად დაკავეს. 1926 წელს ლიბერალური პარტიის სამხედრო ფორმირებებმა პრეზიდენტი ადოლფ დიასი დაამხეს. დეზაილები გავლენიანი ფიგურები იყვნენ ლიბერალურ პარტიაში და სიძეს — სომოსას წინსვლაში დაეხმარნენ. პრეზიდენტ ხოსე მარია მონკადას მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მოვალეობის შესრულებას სომოსა ნიკარაგუაში აშშ-ის საზღვაო ქვეით ჯართან არსებულ საექსპედიციო კორპუსში თარჯიმნად მუშაობას უთავსებდა. გენერალმა კალვინ ბ. მეიფისმა, ნიკარაგუის ნაციონალური გვარდიის უკანასკნელმა ამერიკელმა შეფ-დირექტორმა, რეკომენდაცია გაუწია სომოსას თავის პოსტზე.

აბაუსის სრული ნდობაც მოიპოვა. 1934 წლის 16 თებერვალს სანდინო მანაგუაში ჩავიდა და 19 თებერვალს მოლაპარაკებები გამართა პრეზიდენტთან. მოლაპარაკებების მეორედღეს პრესაში პრეზიდენტ საკასის წერილის ტექსტი გამოქვეყნდა, ის სანდინოს ატყობინებდა, რომ სეფოვის ოთხი დეპარტამენტის სამოქალაქო და სამხედრო უფროსად სანდინოს მეგობრის, გენერალ ო. პორტოკარეროს დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღო.

მთავრობის მეთაურის ამ გადაწყვეტილების შეტყობისთანავე სომოსამ რჩევისთვის ნიკარაგუაში აშშ-ის წარმომადგენელი ტერორის დასაწყისად იქცა. თავისი არც თუ ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ნაციონალურმა გვარდიამ 300.000 ნიკარაგუელი გაჟლიტა. სომოსას ძალზე აწუხებდა ის გარემოება, რომ ლეონში აკოსასკოს ციხესიმაგრის მეთაურად საკასას ნათესავი რამონი რჩებოდა. ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად რამონის თავიდან მოშორება იყო საჭირო, თანაც სწრაფად, რადგან საკასამ უკვე წამოაყენა თავისი კანდიდატები, რომლებსაც მხარს უჭერდა კონსერვატორების ლიდერი ჩამორო (ჩამორო ვარგას ემილიანო — ნიკარაგუის პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი,

აშშ პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი: ის, რა თქმა უნდა, კუკნიუვილია, მაგრამ — ჩვენი კუკნიუვილი!



მემორაბი — ანასტასიო სომოსა და ფრანკლინ დელანო რუზველტი

გენერალი სანდინო (სანდინო აუგუსტო სესარი (1893-1934 წ.წ.) ნიკარაგუის ნაციონალური გმირი იყო, რომელიც 1926 წლიდან სათავეში ჩაუდგა აშშ-ის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლას, რომლებმაც 1912 წელს ნიკარაგუის ოკუპაცია მოახდინეს) ამერიკელ ოკუპანტებთან პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდა 7 წლის მანძილზე და აიძულა ისინი, ქვეყანა დაეტოვებინათ. იმ დროისათვის სომოსამ გვარდია დაიმორჩილა და გენშტაბის უფროსის, გენერალ გ.

მაღვანელს მიმართა. ამერიკის ელჩმა განაცხადა, რომ აშშ-ის მთავრობას სანდინოს თავიდან მოშორება სურს. 1934 წლის 21 თებერვალს ნიკარაგუის ნაციონალური გმირი მოკლეს. იმავე ღამეს უიარაღო სანდინისტების ყლელა დაიწყო; დაიღუპა სამასამდე კაცი, ძირითადად, ქალები და ბავშვები. ახლა უკვე ხელისუფლებისკენ მიმავალ გზაზე სომოსას აღარავინ ელოებოდა.

კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, 1910-1916 წლებში — ნიკარაგუის ელჩი აშშ-ში). ამასთან, სომოსა მეუღლის ბიძასთან, პრეზიდენტ საკასასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა. ტარო თანახმა იყო, პრეზიდენტის პოსტზე პრეტენზია არ განეცხადებინა, თუკი ამ თანამდებობაზე მისი კანდიდატი დაინიშნებოდა. საკასამ სომოსას სამივე კანდიდატი უფლებდებოდა. მაშინ ტარომ რამონ საკასა ურჩობაში დაადანაშაულა, გვარ-

არჩევნები გაიმართა. თავდაპირველად საარჩევნო კომისიამ ვინცდაცა, რომ სომოსამ 79.000 ხმა მიიღო, მისმა მეტოქემ ლეონარდო არგუელი კი — 1200, მაგრამ ეს ციფრები გამარჯვებულს არასანდოდ მოეჩვენა, რის შემდეგაც საბოლოო „ანგარიშმა“ უჩვენა, რომ არგუელის ხმა მისცა მხოლოდ 169 კაცმა, ხოლო სომოსას — 107.000-მა. 1937 წლის 1 იანვარს სომოსა ნიკარაგუის პრეზიდენტი გახდა და დაუყოვნებლივ აკრძალა ოპოზიციური პარტიების მოღვაწეობა. ნიკარაგუაში შეუზღუდავი ძალაუფლების მიღებისთანავე სომოსამ მთელი თავისი ენერჯია პირადი გამდიდრებისკენ მიმართა. 1939 წელს მისმა კაპიტალმა 4 მლნ დოლარი შეადგინა, ხოლო 1944 წელს ის უკვე ფლობდა: 51 სასაქონლო, 46 ყავისა და 400 თამბაქოს მეურნეობას; სანდინისტების ოქროს შახტებს, ნიკარაგუაში ერთადერთი ცემენტის ქარხნის აქციათა 50 პროცენტს, „მომოტომბოს“ ასანთის ფაბრიკის აქციათა 50 პროცენტს (კონკურენციის თავიდან ასაცილებლად დიქტატორმა სანდინისტების იმპორტი აკრძალა); გაზეთ „ნოვედა-დეს“, ხის დამამუშავებელი ქარხნების ნახევარზე მეტს, 4 ელექტროსადგურს, სახლებს მექსიკაში, მიაიმსა და კოსტა-რიკაში; ქვეყანაში უდიდეს რძის კომბინატებს „სალუდსა“ და „პოლაკასს“, 4 ხორცის კომბინატს. გარდა ამისა, სომოსა ყოველწლიურად ითვისებდა 175.000 დოლარს, რომელსაც ქვეყანაში მოქმედი უცხოური ფირმები ნიკარაგუას გადასახადის სახით უხდიდნენ. სომოსას დროს ნიკარაგუაში ქვეყნის ბედს გვარდია განაგებდა: აკონტროლებდა ქვეყანაში იარაღით, სპირტი-

იმ ღამეს დაღვრილი სისხ-

სოფია პეროვსკაია —

ისინი ერთ დღეს დაიღუპნენ, როგორც ეს ნამდვილ შეყვარებულებს შეეფერებათ: არისტოკრატი ტეროვისტი სოფია პეროვსკაია და გლეხი ანდრეი ჟელიაზოვი. აპრილის მზიან დღეს ორივემ სასწრაფოა დაამთავრა სიცოცხლე მონარქის მკვლელობისათვის.

პრისბოკრაში გეროვისტი

სანკტ-პეტერბურგის სამხედრო გუბერნატორის — ლევ პეროვსკის ოჯახში 1853 წლის 1 (13) სექტემბერს დაიბადა გოგონა, რომელსაც ნათლობისას სოფია დაარქვეს. ვინ იყო ეს გოგონა, რომ იმპერატრიცა ელიზავეტას ფავორიტის, ფელდმარშალ კირილ რაზუვოვსკის შვილიშვილი ტეროვისტი გახდებოდა და რუსეთის მონარქზე ხელს აღმართავდა?

სოფიას ბავშვობა, ისევე, როგორც სხვა რუს არისტოკრატთა შვილებისა, უღრუბლო იყო. მშობლებისა და გუბერნატორების სიყვარულით გარემოცულმა ჩინებული განათლება მიიღო, მაგრამ გონას უფრო მეტი სურდა. მან უარი განაცხადა სმონის უნივერსიტეტში ჩაბარებაზე და ვაჟთა გიმნაზიასთან არსებულ ალარჩინსკის ქალთა კურსებზე მოეწყო. მამის მცდელობამ, ასული ქვეშაირების გზაზე დაეყენებინა, შედეგი ვერ გამოიღო. სოფია ბავშვობიდან თავნება გახლდათ, გამოირჩეოდა ძლიერი ნებისყოფითაც და სასურველის მიღწევასაც მიჩვეული იყო.

კურსებზე, სადაც წვრილ ჩინოვნიკთა და მემჩანთა ქალიშვილები სწავლობდნენ, სოფიამ ხალხოსანთა იდეები გაიზიარა და გადაწყვიტა, თავისი ცხოვრება უბრალო ხალხის განათლებისა და მისი უკეთესი მომავლისთვის მიეძღვნა. ცხადია, მამამისს მასწავლებელს მოახსენეს ქალიშვილის საეჭყო ნაცნობობის შესახებ, მაგრამ მამის მცდელობანი, როგორმე შეეგუებინა მოეხდინა თავნება სოფიაზე, კვლავ უშედეგო გამოდგა. ქალიშვილი სახლიდან გაიქცა, როცა პოლიციამ ძებნა დაუწყო, კიევში გადასახლდა. მის მხოლოდ მამის დაბრუნება, როცა მამამ შეპირდა, რომ პასპორტსა და დამოუკიდებლად ცხოვრების უფლებას მისცემდა.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სოფიამ პედაგოგიურ კურსებზე ჩააბარა, რათა სახალხო მასწავლებელი გამხდარიყო. მის გარშემო კვლავაც შეიკრიბა ხალხური იდეების მომხრე ახალგაზრდების ჯგუფი. მიუხედავად მამის მალალი მდგომარეობისა, სოფია „პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პირთა“ სიაში მოხვდა, კურსების დასრულების შემდეგ მასწავლებლის დიპლომიც კი არ მისცეს, მაგრამ დიდად არ უნაღვლია და ტვერის გუბერნიის სოფელ ედიმენოვოში მასწავლებლის თანამშემუნედ სამუშაოდ ჩავიდა. 1873 წლის გაზაფხულზე მანაც მიიღო სასწავლო დიპლომი და ჯერ სამარის, შემდეგ კი ციმბირის გუბერნიის მკვლევარად პედაგოგიური მოღვაწეობისთვის.

თუმცა გლეხების განათლების იდეამ მალევე განხიზხა და პეტერბურგში დაბრუნდა,

სადაც მუშების განათლებას მიჰყო ხელი და იმავდროულად, კონსპირაციული ბინა მოაწყო, სადაც რევოლუციონერული წრეების შეკრებებს ატარებდა. 1874 წლის იანვარში პეტერბურგის რამდენიმე რევოლუციური წრის კონსპირაციულ ბინას თავს დაესხა პოლიცია, სოფია დააპატიმრეს და პეტრე-პავლეს სატუსალოში უკრეს თავი. იქ მან რამდენიმე თვე დაჰყო. მამამისმა ძალისხმევა არ დაიშურა გზასაცდენილი ქალიშვილის გასათავისუფლებად, მაგრამ პედაგოგობა აუკრძალა. მშობლებზე დამოკიდებული რომ არ ყოფილიყო, სოფიამ საფერშლო კურსები დაამთავრა და სამუშაოდ სიმფეროპოლის საავადმყოფოში გაემგზავრა, სადაც კვლავ დაიწყო რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდების შემოკრება.

1877 წელს ის ხელახლა დააპატიმრეს, როცა დედასთან ყირიმში ჩავიდა და გაასამართლეს კიდეც, მაინცდამაინც მკაცრად არ მოჰქცევდნენ და ოლონციის გუბერნიის ადმინისტრაციული გადასახლება აკმარეს. გზაში სოფიამ თანმხლებ ჟანდარმებს ჩაიში ძილის წამალი ჩაუყარა და, სანამ მათ ღრმად ეძინათ, გაიქცა, რის შემდეგაც არაუღვალოური ცხოვრება დაიწყო.

1870-იანი წლების ბოლო ხანებში რუსეთში რევოლუციური ბრძოლის ტაქტიკაში დიდი ცვლილებები შეიტანა — მკაფიოდ გამოიკვეთა საგანმანათლებლო მოღვაწეობიდან ტეროვისტულ მოქმედებებზე გადასვლის მიმდინარეობა. საბოლოო განხეთქილება 1879 წელს ვორონეჟში გამართულ ხალხოსანების ყრილობაზე მოხდა, სადაც სოფიამ მხარი დაუჭირა პარტიის იმ ნაწილს, რომელიც ინდივიდუალური ტეროვისტის მომხრე იყო, როგორც პოლიტიკური ბრძოლის მეთოდისა. ქალიშვილი ამჟამად გამეფანა ხალხოსნურ იდეებს, რადგან გულწრფელად სწამდა, რომ მეფისა და რამდენიმე დიდგვაროვნის მკვლელობით შესაძლებელი იქნებოდა ხალხის რევოლუციამდე მიყვანა, ხოლო ცარიული მტკბრძოლი თითოეული ადამიანის სიკვდილით დასჯას უთუოდ უნდა მოჰყოლოდა ტეროვისტული აქტი.

მოკლე ხანში პეროვსკაია „ნაროდნაია ვოლია“ აღმასრულებელ კომიტეტში გაწევრდა და რიგი თავდასხმების მზადების აქტიური მონაწილე გახდა. სულაც არ ანაღვლებდა, რომ „მეფის სატრაპებთან“ ერთად ხალხოსან მუერისმადიებელთა ბომბებისა და ტყვიებისგან სრულებით უდანაშაულო ხალხი იღუპებოდა.

ტეროვისტთა შორის პეროვსკაიას ავტორიტეტი ძალზე მაღალი იყო. მას უსმენდნენ და ემორჩილებოდნენ. ჯერ კიდევ 1979 წელს ლიპეც-



სოფია პეროვსკაია და ანდრეი ჟელიაზოვი „პირველმარტოების“ სასამართლო პროცესზე


კის ყრილობაზე, სადაც „ნაროდნაია ვოლია“ ჩამოყალიბდა, მკაფიოდ დაისვა მონარქის მკვლელობის საკითხი, რაც ხალხოსნებს გარდაუვალ აუცილებლობად მიაჩნდათ. სოფია ალექსანდრე II-ზე ორივე თავდასხმის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ 1879 და 1880 წლებში. თუმცა მამის იმპერატორის მოკვლა ვერ მოახერხეს. მომდევნო წელს, ანდრეი ჟელიაზოვის დაპატიმრების შემდეგ, სოფია სათავეში ჩაუდგა ტე-

როვისტთა ჯგუფს, რომელმაც 1881 წელს 1 მარტს იმპერატორი ალექსანდრე II სიციცხლეს გამოასალმა.

ხალხოსანი ა. ტირკოვი იხსენებდა, რომ რევოლუციურად განწყობილ მამაკაცებთან შედარებით, პეროვსკაიას წმინდა ქალური, მწვავე და ღრმა სიძულვილი ამომრავებდა, თითქოს სამაგიეროს მიზლვა სურდა მეფისთვის იმის გამო, რომ მან მშვიდი პროპაგანდისტული მუშაობა არ აცალა...



პეროვსკაია ქ. ვსკოვში, ამ სახლში ცხოვრობდა 1857-59 წლებში



სოფია პეროვსკაიას მემორიული სვესტოაოლში, მისივე სახელობის სკვერში

პრილის იმ მშვენიერ დღეს, როცა იმპერატორი ეტლით ქალაქის ქუჩებში მიემართებოდა, პეროვსკაიამ სიგნალი მისცა ამხანაგებს — თეთრი ცხვირსახოცი ააფრიალა და ი. გრინვიციკიმაც ალექსანდრე II-ის ეტლს ბომბი ესროლა. მონარქი მხოლოდ იმან დაღუპა, რომ თანმხლებთა ხვედრით შეწუხებული ეტლიდან გადმოვიდა...

ამხანაგების დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, ტეროვისტული აქტის შემდეგ პეროვსკაიამ პეტერბურგი არ დატოვა და ქმრის — ჟელიაზოვის გათავისუფლებისთვის მზადებას შეუდგა. 10 მარტს პეროვსკაია დააპატიმრეს და ხუთ თანამზრახველთან ერთად, იმპერატორის მკვლელობისათვის მართლმსაჯულებას გადასცეს. ის მაინც ვერ მიხვდა, რომ მკვლელობა მონარქისა, რომელიც ქვეყნისათვის უკიდურესად მნიშვნელოვან რეფორმებს ატარებდა, სახელმწიფოსათვის ერთობ საზიანო იყო. და რაც მთავარია, ამ ტეროვისტულმა აქტმა უაღრესად ნეგატიური გამოძახილი ჰპოვა რუს მოსახლეობაში. ალექსანდრე II-ს ხომ „მეფე-გამათავისუფლებელს“ უწოდებდნენ იმის გამო, რომ 1861 წელს ბატონყმობა გააუქმა.

სასამართლო სწრაფად ჩატარდა, მეფის მკვლელებს შეწყნარების იმედი არ უნდა ჰქონოდათ. ჯერ კიდევ მარტში პოზედნოსცოვის წერილზე, დამნაშავეთა მიმართ სიბრალული არ გამოეჩინათ, ალექსანდრე III-მ უპასუხა: „გული დაიმშვიდეთ, ამგვარი წინადადებით ჩემთან მოსვლას ვერავინ გაბედავს. სი-

ტყვას გაძლევთ, ექვსივეს ჩამოახრჩობენ!“

ექვსივე ტეროვისტს ჩამოხრჩობა მიესაჯა, თუმცა ფეხშიძე ჰესი ჰელფმანის დასჯა გადაიდო, მოგვიანებით ის ციხეში გარდაიცვალა. სოფია პეროვსკაია, იმპერატორის მკვლელობის თანამონაწილეებთან ერთად 1881 წლის 3 აპრილს სემიონოვის პოლკის მოედანზე ჩამოახრჩეს.

შემორჩენილია საქმის მასალები, სადაც დეტალურადაა აღწერილი მსჯავრდადებულთა სიციცხლის ბოლო საათები. გასაოცარია, მაგრამ სიკვდილით დასჯის წინა დღესაც კი „არისტოკრატი ტეროვისტი“ პეროვსკაია სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ამონაწერი ოქმიდან: „სოფია პეროვსკაიამ კატეგორიული უარი თქვა სულიერი მოძღვრის მიღებაზე... და ღამის 11 საათისთვის დასაძინებლად დანვა... მასავით მშვიდი იყო კიბაღრჩი.“

მეორე დღეს პეტერბურგის გაზეთში გამოქვეყნდა სამთავროვო ცნობა: „დღეს, 3 აპრილს, დილის 9 საათზე სიკვდილით დასჯებიან სახელმწიფო დამნაშავეები: თავადის ქალი სოფია პეროვსკაია, მღვდლის ვაჟი ნიკოლაი კიბაღრჩი, მემჩანთა ნიკოლაი რისაკოვი, გლეხები ანდრეი ჟელიაზოვი და ტიმოფეი მისაილოვი. რაც შეეხება დამნაშავე ჰელფმანს, მისი ფეხშიძეობის გამო, განაჩენის აღსრულების ვადა გადაინდეს.“

სიკვდილით დასჯის საყურებლად უამრავი ხალხი შეიკრიბა. პეროვსკაია უწინდებულად სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ამ სამაგალითო დასჯამ ვერ შეაჩერა ტეროვი ქვეყანაში, რომელიც რუსეთის ისტორიას შავ ფურცლად შემორჩა.

მამა პეტრე კვარაცხელია:

რწმუნა — ეს უკვე ძალიან დიდი სასწაულია

საღმრთო სწავლების მიხედვით, ადამიანს სასწაულის ქმნა არ შეუძლია. მხოლოდ ღმერთს და მისი ძალით იმ კაცს, რომელიც უფალთან ახლოა და უფლისთვის სათნოა, ხელენიფება მსგავსი რამ, თუმცა ბოლო პერიოდში არაერთი სასწაულის მომსწრენი გავეხდით. მრავალ ხატს მირონი სდის, ადამიანებს სხვადასხვა საგნებსა და თვით სხეულზე ესახებათ ჯვრები და ა.შ. რატომ მომრავლდა სასწაულები და ყველა მათგანი არის თუ არა ღვთის ჭეშმარიტების გამოვლინება? ამის შესახებ ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძრის დეკანოზი მამა პეტრე კვარაცხელია გვესაუბრება.



— მამო, ადამიანები გაჭირვების ფაშა უფლისგან რატომ თხოულობენ სასწაულებს ნიშნად მისი გულმონწყალებისა?

— ისტორიიდან კიდევ ერთი მაგალითი მახსენდება, როდესაც ბიზანტიის იმპერატორი კოსტანტინე დიდი (მან ალაღვინა მოხრეხული გოლგოთის ადგილები და მის სახელთანაა დაკავშირებული ჯვართამაღლების დღესასწაული, რომელიც 27 სექტემბერს აღინიშნება) აღმოაჩინა ღმერთი და მისი მოხრეხობა და მადლით სძლია მტერს. უძლიერესი ბიზანტიის იმპერია შექმნა, მაგრამ ღმერთი მიანერგა და არა — ღმერთს. მისი აზრით, ის იმდენს ლოცულობს, რომ უკვე სასწაულებს ახდენს. წმიდა მამები პატრიარქებში გვეუბნებიან, რომ უკეთესია, სასწაულების არ ვირწმუნოთ, ვიდრე ვირწმუნოთ და შემდეგ ხიბლში ჩავვარდეთ. სასწაულის მოხდენას ხომ ემშაკსაც შეუძლია. აქედან გამომდინარე, ჩვენ თუ ღმერთის გვენამს, განა იმიტირებ, რომ მისი სასწაულები სასწაული არ უნდა ვეძებოთ, რადგან სასწაულები იმ ადამიანებისთვისაა, ვინც მცირედ მორწმუნენი არიან. მაცხოვარი სახარებაში ბრძანებს, რომ იმერს, იმ მოდგმას, რომელიც სასწაულებს ეძებს, სასწაული არასდროს მიეცემა.

ლიან ცუდი ზნის ადამიანი იყო, მთელი ცხოვრება სცოდავდა და, როდესაც გადაწყვიტა, ერთ-ერთ ტაძარში შესულიყო, ტაძრის კარიბჭესთან დაბრძანებულმა ღვთისმშობლის ხატმა შეგინა არ შეუშვა. მან როგორც კი შენიშნა ღვთისმშობლის ხატი, ტაძრის ზღურბლს ვერ გადააბიჯა, ცოდვების მონანიება გადაწყვიტა და ღმერთს შესთხოვა, ოღონდ ახლა შემიძღე და ჩემს ცხოვრებას მთლიანად შეეცვლიო. ის ნაივი და ეგვიპტის უდაბნოში, მოინანიო თავისი ცოდვები და, როგორც მართლმადიდებელი მორწმუნე, ისე აღესრულა. მას გააჩნია კადნიერება, დადგეს უფლის გვერდით და ჩვენი სულის საოხად ღვთის ნიშნად ილოცოს. ეს ყველაზე დიდი სასწაულია. ის ისეთი დაცემული იყო, რომ, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, არ შეეძლო, ღმერთთან ახლოს მისულიყო, მაგრამ, როგორც კი სასწაული მოხდა, ამ სასწაულის მეშვეობით ის მივიდა უფალთან და გადაწყვიტა, ქრისტეს ტარიფი გამხდარიყო, წმიდა შესანიერი, რომელმაც მთელი მისი დარჩენილი ცხოვრება სინანულში გაატარა.

— ცრუ სასწაულების შესახებ მინდა გკითხოთ, როგორ უნდა გავარჩიოთ ღვთის ჭეშმარიტი ნების გამოვლინება ბოროტის საცდურისაგან?

— წმიდა მამები ამბობდნენ, რომ უმჯობესია, სასწაულების არ ვირწმუნოთ, ვიდრე ვირწმუნოთ და ცოდვაში ჩავვარდეთ, ვინაიდან ადამიანის თავის დასაბრძანებლად თვით ემშაკსაც შეუძლია სასწაულებების მოხდენა. მით უმეტეს, ბოტიქის სასწაულები ემშაკის სული იქნება, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ბოლო ფაშის სუნთქვა კარს არის მომდგარი. ანტიქრისტიკული თეოლოგია სასწაულებს წესითა და გარდასახვით არაერთ ცრუ სასწაულს მოახდენს და მრავალი მიმდევარი ყოვლდება. ისინი, ვინც ანტიქრისტიკულ მიმდევრებიან, განუპირობებლად ღმერთს, განიძარცვებიან მადლით და შესაბამისად, დაკარგავენ ღვთის წყალობას. სასწაულები არ უნდა ვეძებოთ. ფეხზე რომ ვდგავართ და ვლოცულობთ, ეს უკვე სასწაულია. ჩვენს ცოდვებს უფალი რომ უძლებს, ესეც სასწაულია.

— მამა პეტრე, სტიგმატებს

მართლმადიდებელი ეკლესია არ აღიარებს, რა ფენომენთან გვაქვს საქმე?

— ეს ყველაფერი ცოდვიდან გამომდინარეობს. ადამიანი, რომელიც ეკლესიაში არ დადის, მოძღვარი არ ყავს, არ ლოცულობს, არ მარხულობს, არ ცდილობს კეთილი საქმეები ჩაიდინოს, როგორ შეიძლება მან ღვთისმშობლის სასწაულები ჩაიდინოს, ეს ხომ წარმოუდგენელია?! სახარებაში წერია, ხე ნაყოფით შეიცნობაო, ხემა ხეზემანა ნაყოფი ხეზე გამოიჩლოს, ხემა კეთილმან კი — ნაყოფი კეთილი. ის ადამიანები, რომლებსაც ქრისტეობა გაუჩნდათ სხეულზე, ალბათ, საზოგადოებისგან აღიარებას ელოდებიან. მაცხოვარი ბრძანებს, რომ შენმა მარჯვენამ არ უნდა იცოდეს, მარცხენა რას აკეთებსო, ამიტომ, თუ რაღაც სასწაული მოგეცა, თუ სხვა დანარჩენი ადამიანებისგან გამოჩნდი ხარ, უფლება არ გაქვს, იყვირო. თუ ამით გინდა, ვილცას ე. წ. შენი სულიერება დაუმტკიცო, არ შეიძლება, ეს კეთილი სასწაული იყოს. წმიდა მამები უდაბნოში ცხოვრობდნენ და მოსაგრეობდნენ, რათა ამის შესახებ არ არ სცოდნოდა, ერი ხიბლში არ ჩაეგდოთ და პირიქით. ისინი გაუბრუნდნენ ყოველგვარ პატივს და დიდებას. თუ შენ უფალმა მოგცა იმის ძალა და ნიჭი რაღაც სასწაული მოხდეს შენს ცხოვრებაში, ხომ შეგიძლია ეს მორჩილებით, მოთმინებით მიიღო, არ იყვირო და ამით მადლს არ განეძარცვო, არ განეძორო. ეს სასწაული არ შეიძლება ღმერთს დაუკავშირო, იგი პირდაპირ ემშაკისგან მოდის.

— საღმრთო სწავლების მიხედვით, რა არის ნინასწარმეტყველება?

— ქრისტემდე ჩვენ გვყავდა ილია, ესაია და ენუქ ნინასწარმეტყველები, ძველი და ახალი აღთქმის მიჯნაზე კი — იოანე ნათლისმცემელი, რომელიც ნინასწარმეტყველებდა მაცხოვრის მობრძანებას. ის ამბობდა: „ჩემს შემდეგ მოვალის ჩემზე დიდი და ძლიერი. მე არ ვარ ღირსი მის ფეხთა სამლის შეხსნისა“ და ებრაელ ერსა და მორწმუნე ადამიანებს მოუწოდებდა: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულია არს სახარებელი ცაოა“. ნინასწარმეტყველებმა რაც იწინასწარმეტყველეს, ყველაფერი ახდა. ახალი აღთქმა ძველი აღთქმის ლოგიკური გაგრძელებაა და, შესაბამისად, ბიბლიაში რა ნინასწარმეტყველებაც წერია, აბსოლუტურად, როგორც სახარებაში მაცხოვარი ბრძანებს, მთები და მდინარეები გადავლენ, მაგრამ ჩემი სიტყვები არასოდეს არ გადავლენო, აღსრულდება. ეს არის ის სიტყვა, რომელიც ჭეშმარიტია და ყოველთვის მას უნდა მივყვეთ. რაც შეეხება ცრუ ნინასწარმეტყველებებსა და ცრუ სასწაულებს, ეს ყველაფერი ემშაკისეულია, ბოლო დროს ყველაზე მეტად ცრუ სასწაულებს ნინასწარმეტყველებმა გავრცელებული, არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ადამიანი, რომელიც განათლებულია, ნიგნირია, ეკლესიაში დადის, როგორ შეიძლება, მსგავსი ნინასწარმეტყველების სჯეროდეს.

— შეუძლებელია, მისი ნინასწარმეტყველებები სიმართლე იყოს?

— არავითარ შემთხვევაში. ნინასწარმეტყველებები ვიცით წმიდა წერილებიდან: ბიბლიიდან და სახარებიდან. სხვა ნინასწარმეტყველება არ არსებობს. როგორ შეიძლება, ადამიანი, რომელიც ეკლესიურად არ ცხოვრობს და ღმერთთან არ არის წილნაყარი მისი ნინასწარმეტყველება ვინმემუნოთ და მომავალი პროგნოზირებას სწორედ მის ნინასწარმეტყველებზე დაყრდნობით ვაკეთებდეთ.

— იოანეს გამოცხადების შემდეგ ნინასწარმეტყველები დასრულდა?

— ეს არავინ უწყის. მე-11 საუკუნეში გვყავდა ნინასწარმეტყველი ნილოს მირონმდინარე, რომელიც ათონის მთაზე მოღვაწეობდა, მე-19 მე-20 საუკუნის მიჯნაზე გვყავდა დიდი რუსი წმინდანი სერაფიმ საროველი, რომელიც ამბობდა, რომ ივერი გაბრწყინდება, მსგავსი ნინასწარმეტყველებები ყოველთვის მისაღებია. სულიერი ადამიანები ნინასწარმეტყველებს, რა მომავალი აქვს ქვეყნიერებას.

— მამო, თუნდაც ლელა კაკულია თავის საქმიანობაში ხატებსა და ჯვარს იყენებს, ეს არ მიუთითებს მის რწმუნასა და უფლის სიყვარულზე?

— ანტიქრისტიკული როდესაც დედაჩვენზე გაბეჭდვდა, შეეცდებოდა ნაკლებად მორწმუნე ადამიანები მოკში ჩააგდოს, ნებისმიერი მეთოდი გამოიყენოს, რათა მიმდევრები გამოეშინებინა. შესაბამისად, მის ძალას მრავალი ირწმუნებს, მაგრამ, როგორც კი დედაჩვენზე მისი ბატონობის ფაში დასრულდება, ნახავენ, რომ ეს იყო ანტიქრისტიკული იმ ადამიანებზე, რომელიც შეეცდებოდა ანტიქრისტიკულ მიმდევრებს გახდებოდა, მაცხოვრის სახარებაში თქვა, „ვინ ხართ, მე არ გიცნობთ.“ ისინი მიუგებენ: „განა თქვენი სახელით არ ვდევნიდით ემშაკებს?“ თუმცა იქ ჩაგვარდებიან, სადაც იქნება „ტირითი და კბილთა ღრჭენა“. ჩვენ გვმართებს გონიერება, უნდა გვყავდეს მოძღვარი, უნდა ვიცხოვროთ მორჩილებითა და კურთხევით.

— და არ ვეძიოთ სასწაულები?

— არა. რწმუნა ეს უკვე ძალიან დიდი სასწაულია.

— მამო, გთხოვთ, ჩვენი გახეილ დალოცოთ.

— „პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთი.“ უფალმა ნიბოს, თქვენს სიტყვას ღვთაებრივი დანიშნულება შექმნა და თქვენს სიტყვას მემშვეობით მრავალი ადამიანი მოექცეს. სიტყვა იარაღია, გასროლილი ისარია, რომელსაც ვერ დაიჭერ და მინდა, ეს თქვენი გასროლილი ისარი მიკაკულიას ნინასწარმეტყველებმა გავრცელებული, არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ადამიანი, რომელიც განათლებულია, ნიგნირია, ეკლესიაში დადის, როგორ შეიძლება, მსგავსი ნინასწარმეტყველების სჯეროდეს.

ქვირის კალენდარი 17 მარტიდან 23 მარტამდე

- 4/17 ოთხშაბათი. ღირსი გერასიმე იორდანელი-სა (475).
- 5/18 ხუთშაბათი. მონ. კონონ ისავრიელისა (I); ღირსი დოსითეოს ქუთათელისა (1820); იკითხება ღირსი მარია მეგვიპტელის ცხოვრება.
- 6/19 პარასკევი. წმ. ელენე დედოფლის მიერ ჭეშმარიტი ძეღისა და სამსჭვალთა პოვნა იერუსალიმში (326).
- 7/20 დაუჯდომლის შაბათი. ღვთისმშობლის დაუჯდომლის გალობა; ორმოცდარი ამორეველი მონაწიე: კონსტანტინე, აეტი, თეოფილე, თეოდორე, მილისენე, კალისტე, ვასოი და სხვანი.
- 8/21 დედმარხვის მე-5 კვირა. მოც. ერმისა (I).
- 9/22 ორშაბათი. ორმეოცთა მონაწიე, სებასტიის ტბასა შინა წამებულთა (320).
- 10/23 სამშაბათი. ღირსი იოანე ხახუელისა, ოქროპირად წოდებულისა (X-XI); მონ. კოდრატესი და მისთანა სხვათა მრავალთა დედათა და მამათა (III); ღირ. ანასტასისი (568).

ღირსი ანასტასია

ანასტასია არისტოკრატიული ოჯახის შვილი იყო და კოსტანტინოპოლში მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა. კეთილმსახური პატრიცია ყველასთვის მისაბაძი იყო და იმპერატორი იუსტინიანე დიდ პატივს სცემდა. დაქვრივების შემდეგ ანასტასიამ კოსტანტინოპოლი დატოვა და ალექსანდრიის ახლოს პატარა მონასტერი დააარსა. რამდენიმე წლის შემდეგ იუსტინიანე დაქვრივდა და გადაწყვიტა, ანასტასიაზე დაქორწინებულიყო. ღირსი ანასტასია შორეულ მონასტერში ბერ დანიელთან დახმარების სათხოვნელად წავიდა. ბერმა ნეტარი დედა მამაკაცის სამოსით შემოსა და ევენუქი უწოდა. მოძღვრის კურთხევით, ანასტასია მივარდნილ გამოქვაბულში დასახლდა. ის არასოდეს გამოდიოდა საცხოვრებლიდან, არც არავის ლებულობდა. ეს ადგილი მხოლოდ ერთმა ბერმა იცოდა, რომელსაც კვირამი ერთხელ წმინდანთან პური და წყალი მიჰქონდა და გამოქვაბულის შესასვლელთან ტოვებდა. ასეთ მკაცრ პირობებში ის 28 წლის განმავლობაში ცხოვრობდა. უფალმა წმინდანს ნინასწარმეტყველება გარდაცვალების დღე. ბერმა დანიელმა აზიარა წმიდა ანასტასია და მან მშვიდობით მიისვენა. როცა სამარე გაამზადეს, მამა დანიელმა მორჩილს უბრძანა, თავისი ანაფორით შეემოსა მიცვალებული. შემოსვისას მორჩილი მიხვდა, რომ მის წინ ქალი ესვენა, მაგრამ ხმის ამოღება ვერ გაბედა. დაკრძალვის შემდეგ ბერმა ახალგაზრდა მორჩილს წმინდანის ცხოვრებაზე მოუთხრო. 1200 წელს მისი წმიდა ნაწილები კოსტანტინოპოლში წმიდა სოფის ტაძარში დაასვენეს.

როგორ ჩააბღო ხელისუფლებამ ნატურალური პროდუქციის წარმოების გეგმას საქართველოში

არჩევნების წინ სახელისუფლო წრეებში კვლავ ალაპარაკდნენ ქვეყანაში გენმოდფიცირებული პროდუქციის აკრძალვის თაობაზე. საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გარკვეულწილად წინასაარჩევნო პროგრამადაც გაიხადა ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ. თითქოს არავის არ სურს ასეთი პროდუქტების არსებობა ქვეყანაში, მაგრამ მაინც ხელს უწყობენ მის შემოტანას-გასაღებას, ალბათ, იმ იმედით, რომ, ვისაც ფული აქვს, ის მაინც არ იყიდის.

2009 წელს სახელმწიფომ მოსახლეობას სპეციალური პროგრამა — „იაფი კრედიტი“ შესთავაზა, რომელსაც განახორციელებდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად. ამ პროგრამით მცირე და ადგილობრივ მენარმეებს საშუალება მიეცემოდათ, ბანკის კრედიტის საშუალებით თავიანთი პროდუქცია ეწარმოებინათ.


შესარჩევნო კონკურსიც გაიმართა და დაინტერესებულმა პირებმა მასში მონაწილეობა მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გარკვეულ ხარჯვებთან იყო დაკავშირებული, ყველამ წარმოადგინა თავისი ბიზნეს-გეგმა. ხალხს იმედი მიეცა, რომ მცირე მენარმეებს სახელმწიფო ხელს შეწყობდა და, რაც მთავარია, ქართულ პროდუქციას აწარმოებდნენ. ვესაუბრებოდა პროგრამაში მონაწილე მოსახლეობას მენარმეებს, ქალბატონ ცილა ბექურაძისადმი:

— მოგახსენებთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის 1985 წლის რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ითვალისწინებს რა ყველა ქვეყნისა და, განსაკუთრებით, განვითარებადი ქვეყნების მომხმარებელთა ინტერესებსა და მოთხოვნებს, ამასთან, მხედველობაში იღებს რა მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროში ხალხის გაუთვითცნობიერებულობას, ასევე იმ გარემოებას, რომ მომხმარებელს უნდა ჰქონდეს საშუალება, მიიღოს უსაფრთხო (ურისკო) ნაწარმი, ისარგებლოს სამართლიანი, მიუკერძოებელი და მისთვის ხელშემწყობი ეკონომიკური და სოციალური პირობებით, განახორციელოს ისეთი საქონლის რეალიზაცია და განაწილების ხელშეწყობა, რომელიც მომხმარებელთა მოთხოვნებსა და სურვილებს პასუხობს“.

გაეროს იმავე რეზოლუციაში ვკითხულობთ: „მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ისეთი ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც სპეციალური ზრუნვის საგანი გახდება, ასევე, მომხმარებელთა და მენარმეთა დასაცავად შემუშავებული ზომები შესრულდეს ყველაგან, განსაკუთრებით სოფლად“.

დავუბრუნდეთ ისევ სახელმწიფო პროგრამა „იაფ-კრედიტს“ რომელიც დამთავრდა 2009 წლის 15 აგვისტოს და მსურს, მოგიყვებოთ, თუ რა უგუნური შედეგებით დამთავრდა იგი. რამდენიმე თვის განმავლობაში მასში მონაწილე მენარმეები დაუსრულებლად ველოდით ამ პროგრამის შედეგებს, რომელიც ავალებდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სხვადასხვა სფეროში მომუშავე მენარმეებისთვის (განსაკუთრებით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მენარმეთ) პარტნიორი კომერციული ბანკების მეშვეობით საკრედიტო რესურსის გამოყოფას, მცირე ბიზნესის განვითარებისათვის.

ამასთანავე, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 მარტის №55 დადგენილებით, საკრედიტო რესურსის გაცემის წესის №2 მუხლის საფუძველზე, პროგრამის ბენეფიციარები იყვნენ სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ხალხური რენესის და სხვა სფეროებში სამენარმეო საქმიანობით დაკავებული ასევე ბიზნესის დაწყების მსურველი მენარმეები.



ბის, ტურიზმის, ხალხური რენესის და სხვა სფეროებში სამენარმეო საქმიანობით დაკავებული ასევე ბიზნესის დაწყების მსურველი მენარმეები — როგორც ეწერა პროგრამაში.

— თქვენ რა პროგრამით წარდგინეთ ამ კონკურსზე?

— ხელისუფლებას წარვუდგინე უნიკალური, ქართული, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ბიზნეს-გეგმა-პროექტი, რომელსაც შევკვია:

„ნატურალური პროდუქტი — ტრადიციის გვირგვინი“. იგი მიზნად ისახავს ეროვნულ-ტრადიციული, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებას, ტრადიციული მეურნეობის აღდგენას, ასევე, რაც სიასხლეს წარმოადგენს ქართულ ეკონომიკაში და მნიშვნელოვანია მთიანი რეგიონების მოსახლეობის დასაქმებისა და ადგილზე დამატარებისათვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ პროექტით გათვალისწინებული პროდუქტების წარმოება ადგილობრივი, ეკოლოგიურად სუფთა და ნატურალური ნედლეულით გაცილებით იაფად დაჯდება; შედეგად, ფასებიც დაბალი იქნება იმპორტირებულ პროდუქტებთან შედარებით.

წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია:
1. ჩვილი და პატარა ასაკის ბავშვთა ეკოლოგიურად სუფთა საკვების — „ქუმელის“ წარმოება მთის ქერისაგან;
2. იგივე ქერისაგან ქართული ყავის დამზადება;
3. „ალპური (დეკის) ჩაის“ წარმოება;
4. მეცხოველეობის საკვების „ტოპინამბური მინის ვაშლას“ მოყვანის დანერგვა, რის ბაზაზეც გაფართოვდება მეცხოველეობა;
5. რძის მინიქარხნის მოწყობა და დედაქალაქის მომარაგება ეკოლოგიურად სუფთა

რძის პროდუქტებით. რძის პროდუქციის წარმოებაში ვგეგმავდით დოს წარმოებას, რომელსაც მთიელთა მენიუში დიდი ადგილი ეთმობა. მას არა მარტო საკვების დანიშნულება აქვს, არამედ წარმოადგენს ადამიანის შინაგანი ორგანოების სამკურნალო-გამაჯანსაღებელ საშუალებას, მედიცინაში კი მას „გამაახალგაზრდაველ“ პროდუქტად თვლიან;
5. ტურისტული მეურნეობების განვითარება (თუშეთში, ფშავში, ხევსურეთში, ხევში);
6. ტრადიციული შინამრეწველობის დარგის: ფარდაგების, ნაბდების, ნაქსოვ-ნაქარგი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისა და ა.შ. წარმოება;

პროექტის განხორციელება, ვფიქრობთ, მნიშვნელოვნად წაადგება მოსახლეობას ამჟამინდელი კრიზისის პირობებში; რაც მთავარია, დასაქმდება უამრავი ადამიანი.
ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროექტიდან უმეტესობა სიახლეს წარმოადგენს, კერძოდ:

1. ტოპინამბურის მოყვანა, რომელიც მრავალწლიანი მცენარეა და მცირე შრომას მოითხოვს, შემდგომში მთელ საქართველოში შეიძლება გავრცელდეს და თითოეულ ოჯახს მეცხოველეობის საკვები პროდუქტი შეუქმნას, რის ბაზაზეც განვითარდება მესაქონლეობისა და მეღორეობის მეურნეობები;

2. ჩვილი ბავშვის ნატურალური საკვები „ქუმელი“, იმპორტულ ხელოვნურ საკვებთან შედარებით 5-6-ჯერ იაფი იქნება;
3. სამკურნალო თვისებების მქონე ქართული ყავის დამზადება;
4. სამკურნალო თვისებების მქონე ალპური (დეკის) ჩაის დამზადება;

პროექტი საკმაოდ მრავალდარგოვანია და ითვალისწინებს 300-მდე ადამიანის დასაქმებას, რომლის დასაბუთებაც პროექტის დაფინანსების შემთხვევაში წარმოგეგმავთ.

— რა თანხა იყო გამოყოფილი ხელისუფლების მიერ ამ პროგრამა „იაფი კრედიტის“ განხორციელებისათვის?

— პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი იყო 20 მილიონი ლარი. მთელი ამ ხნის განმავლობაში წერილობით მიმართავდით პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, წერილი მივწერეთ თავად პრეზიდენტ სააკაშვილსაც, სოფლის მეურნეობის მინისტრსაც. თითქმის ყველა საქმის კურსში იყო დიკოდნენ ისიც, რომ ამ პროექტის კრედიტით, ანუ სესხად გვჭირდებოდა საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების სანარმოებლად, რაზეც დღეს მთელი მსოფლიო ოცნებობს და ლაპარაკობს.

— რატომ ნაციონალურ პარტიას არ მიმართეთ, ქვეყანაში ხელისუფლების წარმო-

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
0159, თბილისი, მარშალ გელაშვილის გამზ. 6, ტელ: 37-80-37, ფაქსი: 37-80-13
23.03.2010 2-1-10/3 037
სახოვალეობა „მთიანეთი“ თავმჯდომარეს ქალბატონ ცილა ბექურაძეს (ქ.თბილისი 0107, ქ.წმინა ქ.წმინა 615)
ქალბატონო ცილა,
საქართველოს პარლამენტიდან სამინისტროში შემოვიდა (№10197/6-1, 08.10.09) თქვენს მიერ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის თავმჯდომარის ბატონი პეტრე ცისკარიძის სახელზე გაგზავნილი წერილი, რომელიც შეეხება გარკვეული პროექტების განხორციელების მიზნით იაფი კრედიტის ან გრანტის გამოყოფის საკითხს.
ამასთან დაკავშირებით გაცნობთ, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფო-საბიუჯეტო ორგანიზაციას და პროექტების დაფინანსება ხორციელდება მხოლოდ მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში. კრედიტების და გრანტების გაცემა არ შედის სამინისტროს კომპეტენციაში.
რაც შეეხება სახელმწიფო პროგრამას „იაფი კრედიტი“, მას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ორი მიმართულების პროექტების შერჩევაში: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სასაჯლო მეურნეობების და ხილ-ბოსტნის შესახებ სამაგიერო მეურნეობების მოწყობა. შესარჩევი კონკურსი დამთავრდა 2009 წლის 15 აგვისტოს.
დაფინანსების საკითხი წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და მნიშვნელოვანი განვითარების ფონდის კომპეტენციას. დამატებით ინფორმაციისათვის გთხოვთ, მიმართოთ აღნიშნულ სტრუქტურებს.
პატივისცემით,
ლევან ჭოლაძე
მინისტრის პირველი მოადგილე

მადგენლები ეგენი არიან, იქნებ, დაგხმარებოდნენ?

— როგორ არ მივმართეთ, პირადად მათი პარტიის უმრავლესობის ლიდერს, ახმეტის რაიონის წარმომადგენელს — პეტრე ცისკარიძეს ვივლით. ვიფიქრე, თუ-ში კაცია, მეც თუში ვარ, იცის ჩვენი კუთხის პრობლემები და დაგვეხმარება, ხალხმა საარსებოდ ფული რომ იშოვოს და თანაც ასეთი კარგი საქმე გააკეთოს — ეკოლოგიურად სუფთა გარემოში საუკეთესო ხარისხის პროდუქცია აწარმოოს-მეთქი. ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტს, რომელიც შეგვიძლია ვანარმოოთ, მსოფლიოში ანალოგი არ აქვს! სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხომ დღეს სოფელი არ აინტერესებს.
— ბანკებს თუ მიმართეთ, ვისაც „იაფი კრედიტი“ უნდა გამოეყო თქვენთვის?
— რასაკვირველია, ბანკსაც მივმართეთ, მაგრამ ისინი ჩვენი საბანკო ისტორიებით დაინტერესდნენ, გადამხდებები თუ ვიყავით. საინტერესოა, როდესაც პროექტი ითვალისწინებდა დამსყვები ბიზნესმენებისათვის ხელის შეწყობას, ვისაც არასოდეს ბანკის ვალი არ ჰქონია და თავისით რაღაცას ახერხებდა, რა ისტორია უნდა ჰქონოდა ბანკში, ნუთუ ბანკში სახლის „ჩაღება“ აუცილებელია, მენარმით რომ დაინტერესდნენ? ჩვენ ისეთი ისტორიებიც ბევრი ვიცით, ბანკები ბოლოს ბიზნეს როგორ ისაკუთრებენ. მოკლედ, ბანკებმა უარით გამოგვისტუმრეს, რადგან ჩვენ ნასართმევი არაფერი გვქონდა.

— საბოლოოდ ვის გადაეცა ის ერთი მილიარდი, რომლითაც მცირე მენარმეები არ დაგვიანდნენ?
— გვითხრეს, რომ მთავრობა ვერ დაგვიფინანსებდა იმიტომ, რომ ეს ერთი მილიარდი მათ „რთველი 2009“-ს დასაფინანსებლად და განმუხურის ღირსეულობა დასახმარებლად სჭირდებოდათ. ეს ხომ სასაცილოა! ყველამ კარგად იცის, რომ „რთველი-2009“-სთვის თანხა უკვე იყო გამოყოფილი, ისევე, როგორც ადრე განმუხურული ღირსეულობებისათვის. ხელისუფლებამ მოგვატყუა და თვეების მანძილზე ამაოდ გვალოდინა.
ხელისუფლებამ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების გეგმა, ალბათ, იმიტომ ჩააგდო, რომ კონტრაბანდული გზით ქვეყნის გარედან შემოტანა გენმოდფიცირებული პროდუქტები, მაგალითად:
1. სოსისი — „მადიანი კლასიკური“ (მოსკოვის გამოშვება);
2. სოსისი — „პარმანანი“, „ვენური“, „რძიანი“, „საბავშვო“ (ირკუტსკის ოლქში წარმოებული);
3. ძეხვები — „მომხარული“, „იუვესკი“, „პელმენი“ და „არაი“ — კლასიკური, პელმენი — ტრადიციული (ვოლგოგრადის გამოშვება);
4. პაშტეტი „გურმანი“ (ნოვოსიბირსკში წარმოებული), პაშტეტი „ფრანგული“ (ძეხვის კომბინატ „ბაგატირში“ წარმოებული);
5. კოტლეტი „დომამნი“ (კლინსკის ხორცკომბინატის ნაწარმი);
6. თევზის ბურგერი (კომპანია VICI-ს წარმოების);
7. შაშვი ქათმის „ექსტრა“ (ქ. ვლადიმირის წარმოების);
8. პიურე „როლტონი“ (მწარმოებელი „დი ეი ვიც“ კომპანია).
ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება.

ეთიარ კასრალიძე

პროექტი „ნატურალური პროდუქტი — ტრადიციის გვირგვინი“ მიზნად ისახავს ეროვნულ-ტრადიციული, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებას, ტრადიციული მეურნეობის აღდგენას, ასევე, რაც სიასხლეს წარმოადგენს ქართულ ეკონომიკაში და მნიშვნელოვანია მთიანი რეგიონების მოსახლეობის დასაქმებისა და ადგილზე დამატარებისათვის.

წყნარი მიღაპო

„ქციის მონასტრის ქვემოთ არს მონასტერი ფიტარეთისა“, — წერს ვახუშტი ბატონიშვილი და ამ ორ პუნქტს შორის სხვა რომელიმე მნიშვნელოვან ეკლესიას არ ასახელებს (ქციის მონასტერში ბატონიშვილი ფულისხმობს მდინარის შედარებით ზედა დინებაში, დღევანდელ დმანისის რაიონში მდებარე ქციის და, ალბათ, ლიპარიტის უბნის კომპლექსებს), არადა, მისსავე რუკაზე ქციის ხრამის, ანუ ყოველი სამშვილდის ამ მონაკვეთში მონიშნულია რამდენიმე სოფელი: ლიყურეთი, საკეცე, ცხნარი. როგორც ჩანს, ვახუშტი ბატონიშვილი სხენებულ ადგილებში არსებულ ეკლესიებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

ქციის ხრამი



მართალია, გვიანი შემოდგომა და მზეს ძალა აქვს დაკარგული, მაგრამ გადაყვითლებულ ტყეში მაინც თბილა. სიჩუმეს, მდინარესთან მიახლოებისას, მისი ყრუ ხმა არღვევს და უფრო იშვიათად — ჩვენი ცხენების ფრუტუნის. მორიგი მოსახვევიც და კლდის თავზე აღმართული ციხის ნანგრევები გამოჩნდება. ოდნავ მოშორებით და ქვევით სხვა ნაშალია, იქვეა ქოხი და მრონლე. საქონელს ეყვანები აბია. მალე მწყემსიც გამოჩნდება — გაღმა მხრის მკვიდრია — გომარეთელი შალვა მიშელაძე. ის ერთადერთი ძეხორციელია, რომელიც ამ წყნარ მიდამოს აცოცხლებს. ნასოფლარი ზევითაა, მაგრამ, თურმე, არც მას აკითხავს ვინმე



ცხნარის ეკლესია და მისი წარწერა

ცხნარის აბანო

ცხნარი: ციხე, ეკლესიები, აბანო, აფთიაქი... მაინც რა საინტერესოა, რატომ არაფერს ამბობს ამის თაობაზე ვახუშტი ბატონიშვილი, რომელსაც აქედან არც თუ შორს მდებარე ლიყურეთი ეკუთვნოდა? იქნებ, სულაც, ეს ცხნარი იყო მისი აქაური მამულების ცენტრი, საზაფხულო სადგომი და ამიტომაც არ ამბობს არაფერს? ვინ იცის...

აქვე სხვა რამეც უნდა აღინიშნოს: ახალ რუკაზე „ცხნარის“ ნაცვლად „წყნარია“ აღნიშნული („წყნარი აბანო“), რაც რუსული რუკებიდან მცდარი გადმოქართულების შედეგია. რუსული „Цхнари“ ქართული „წყნარი“ ჰგონებიათ. ვახუშტის რუკისათვის რომ დაეხედათ, ასეთი ამბავი არ მოუვიდოდათ. ძველი ქართული სოფლის სახელწოდება შეცდომით გაუგიათ გომარეთიდან მოსულ მოახალშენებსაც. ზევით, ნასოფლარში, ერთ-ერთი საფლავის ქვაზე „ცხნარის“ ნაცვლად „ციხნარი“ წერია. ეს ის საინტერესო საფლავის ქვაა, რომელზეც შალვა მიშელაძე მიგვანიშნებ-

და. წარწერა გვეუბნება: „აქა განისვენებს დითა გიორგის ძე გორაძე. დაიბადა სოფელ გომარეთში 1872 წელს. შემდეგ გადასახლდა ცხნარში 1889 წელს. გარდაიცვალა 1948 წელს, 19 აპრილს“.

მსგავსი წარწერებია სხვა საფლავის ქვებზეც, რომლებიც ტარიელ თეთრაძესა და კოლა გორაძეს ეკუთვნის. მაგრამ ყველაფერი ეს უახლესი ისტორიაა, უფრო ძველ ამბებს კი მთელი ამ ახლომახლო მიდამოების უმთავრესი ეკლესია გვეუბნება. ეს არის XIII საუკუნის შუა წლების დარბაზული საყდარი, რომელიც აგებულია სუფთად დამუშავებული მოვარდისფრო კვადრებით. ეკლესია სიგრძეში 10 მეტრია, ხოლო სიგანეში — 5. სამხრეთის სტოვა შედარებით გვიანდელია, რაზეც მეტყველებს კარის თავზე თავდაყირა შემოდგმული ბალავარი. თავად დარბაზში შემავალი კარის ტიმპანზე არსებულ წარწერაში გამოჩნენილ შემასმენელ „ვაშენეთ“-ს თუ აღვადგენთ, ტექსტი ასე ნაიკითხება: „სახელითა ღმრთისათა ესე ეკლეს-

სია დავით მეფობასა, ვაჰრამის პატრონობასა, ვაშენეთ ყოველმან და წელიწადმდის ბალავარი დაესუით“. არის მოსაზრება, რომ წარწერაში ნახსენები „დავით“ მრავლობითი ფორმისაა და იგი ერთდროულად ორ მეფეს — ულუსა და ნარინს გულისხმობს. რაც შეეხება „ვაჰრამს“, იგი ზაქარია მხარგრძელის შვილი ვარამ გაგელია, რომელიც XIII საუკუნის ამ მონაკვეთში, თითქმის, მთელ ქვემო ქართლს განაგებდა და ციხე-ქალაქ გაგში იჯდა. უამთალამწერლის მიხედვით, სარგის თმოგველთან ერთად, სწორედ ვარამ გაგელმა ჩამოიყვანა დავით ულუ ბიზანტიური ტყვეობიდან. ტაძრის ამავე კედელში ჩართული ქვაფურის წარწერა, პალეოგრაფიული ნიშნებით, კიდევ უფრო ძველებს უბრუნებს: „სახელითა ღმრთისათა ესე ჯუარი აშმართეს კოყოლის ძეთა მამის, ძმისა და ძისა სულთათვის... ვერავინ შეცვალოს... საუკუნო არს“. როგორც ჩანს, XIII საუკუნის ტაძარი უფრო ძველი საყდრის ადგილზეა აშენებული. ცხნარ-

ის ეკლესია ინტერიერშიც იმავე ვარდისფერი კვადრებითაა შემოსილი და მოსახატად არ ყოფილა გათვალისწინებული. ნატიფი კაპიტულები, მშვენიერი საკურთხევლის ქვა კიდევ ერთხელ ცხადყოფენ, რომ ტაძარი დიდი მონდობით და სახსრებით უშენებიათ.

X-XIII საუკუნეების შემდეგ, XVI საუკუნემდე, ცხნარის ისტორია არ ჩანს, 1524 წელს კი ამ სოფლის მეპატრონეებზეა ქვეთარ ბარათაშვილის ძეები იხსენიებიან. XVII-XVIII საუკუნეებში აქაური მეპატრონეები და მემამულეები ყოფილან: გოსტაბაშვილები, მიქელაძეები, ბაბუნაშვილები, ყაფლანიშვილები, თაყაშვილები და გურიელები. 1721 წლის აღწერით ცხნარში 14 გამოძღები და 1 ბოგანო ყმა ყოფილა. ეკლესიაც, ალბათ, ამ დროს დაინგრა უყურადღებობის გამო.

ცხნარში ჩვენმა „მცუბიშმა“ ამოგვაკითხა თეთრინყაროდან. ცხენები ფიტარეთელ სტიქაროსნებს უკანვე გავაყოლებთ მონასტერში, ჩვენ კი ჩრდილოეთით გავემგზავრეთ ზემო ახკალაფისაკენ.

ზემო ახკალაფა ძველი ლიყურეთის ზედა სოფელია. როგორც უკვე ვთქვით, ამ მიწების ბატონი-პატრონი თურმე ჩვენი დიდი წინაპარია, თვით ვახუშტი ბატონიშვილი ყოფილა. მას აქ მემამულეებად ზაალიშვილები, ზურაბიშვილები, იარალიშვილები და ყარაბულახაშვილები ეყვნა.

დარბაზული ეკლესია, რომელიც ნასოფლარის ყველაზე მაღალ ადგილზეა, როგორც ირკვევა, მხოლოდ ამ დიდი სოფლის მრევლს ემსახურებოდა. ნაგებობას პენს შპატებს ოქროსფერი და რუხი ქვების მონაცვლეობა. აღმოსავლეთის მცირე სარკმელი ერთიან პროფილირებულ ქვაშია გამოკვეთილი, რაც ესოდენ სახასიათოა ქციის ხრამის დარბაზული საყდრებისათვის. ეკლესია XIII საუკუნისა უნდა იყოს. მისი ერთადერთი, სამხრეთის, კარი გარედან არქიტრაულია, შგნდდან თალოვანი.

ზემო ლიყურეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სოფელ ქვემო ლიყურეთში კიდევ უფრო ადრინდელი, საინტერესო და კოპნი ეკლესიაა ნაშენებია. მას გვიანდელი შეკეთების კვალიც ეტყობა. საყდრის კედლების ქვედა რეგისტრები ლოდებითაა ამოყვანილი, ზედა კი შედარებით მცირე ქვით. ზოგიერთი მათგანი კლდის ნამსხვრევია, ზოგიერთი — თლილი ტუფი და შირიმი. კედლების აყვანისას არც ე.წ. ბუნის ქვებს მორიდებან, რომლებიც ძველი ჯვრების ბაზისები იქნებოდა. უფრო მეტიც — ტაძრის აღმდგენელს დასავლეთის ფრონტონში ჩადგმული ჯვარი სწორედ ადრემუხასაუკუნეების



ქვემო ლიყურეთის საყდარი



ღრანეთის საყდარი

ბალა ქოქიაშვილი ავტორის ფოტოები

რუსეთ-ოსმალეთის ომი 1787-1791 წლებში



ორაკოვის შტურმი. ა.გარბის გრავეურა, 1792 წ.

1787 წლის 15 ივლისს ოსმალეთის რეის-ეფენდიმ (საგარეო საქმეთა მინისტრმა) სტამბოლში თავისთან დაიბარა რუსეთის ელჩი ი. ბულგაკოვი და მოსთხოვა, რომ რუსეთმა უარი თქვას ყირიმსა და საქართველოზე და თავისი ჯარი საქართველოდან გაიყვანოს. მალე ბულგაკოვი დააპატიმრეს და ე.წ. შვიდკოშკიან ციხეში ჩასვეს.

ამის შემდეგ რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს (1787 წ. 7 სექტ.). 1787 წ. სექტემბრის მიწურულს საქართველოში მყოფ რუსის ჯარს დაუყოვნებლივ უკან დაბრუნების ბრძანება მოუვიდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ომის დროს რუსეთს ქართლ-კახეთის დასაცავად უფრო მეტი ჯარის გამოგზავნა დასჭირდებოდა. ამიტომაც რუსეთმა არჩია, ქართლ-კახეთში მყოფი 2000 კაციც უკან გაეწვია, რათა ერეკლე II შესაძლებლობა მისცემოდა, თავისი ძალებით და მოლაპარაკებებით აღედგინა ნორმალური დამოკიდებულება მეზობლებთან. ყოველივე ამას ისიც დამატდა, რომ ცრუ-წინასწარმეტყველმა მანსურმა ააჯანყა ადიღეები (1787 წ. ივლ.) და მდინარეებს — ურუსსა და ლაბას შორის თავს დაესხა რუსის ჯარს, თუმცა დამარცხდა (1787 წ. სექტ.). საყურადღებოა ამ მანსურის შემდგომი ბედი. დასავლეთევროპული ცნობებით, ის თითქმის შეიპყრო ერეკლე მეორემ და გაუგზავნა ეკატერინე მეორეს უფრო სწორი იქნება ის აზრი, რომ მანსური რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წწ. ომში ვერას გახდა და რუსეთის ბატონობა ჩერქეზეთსა და საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიაში ვერ შეაჩერებდა. ბოლოს რუსების მიერ ანაპის ციხის აღებისას ის დაატყვევეს და პეტერბურგს გაგზავნეს, თუმცა სიცოცხლე შეუნარჩუნეს. იგი მოათავსეს სოლოვკის მონასტერში.

ამ ცრუ-წინასწარმეტყველმა დიდი სახელი დატოვა კავკასიელ მთიელ ხალხებში, რომლებიც 1806 წელსაც კი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი ეს იმამი მანსური ცოცხალი იყო და იმპერატორ პავლე I მიერ მისთვის რუსეთში ნაბოძებ სოფელში ცხოვრობდა.

რუსის ჯარის საქართველოდან წასვლის შემდეგ ერეკლე II მოახერხა, აღედგინა ურთიერთობა ოსმალეთის, ამიერკავკასიისა და სპარსეთის ხალხებთან, რის შედეგადაც ქვეყანამ ცოტა ხნით მაინც მოისვენა. ერეკლემ დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკება ახალციხის ფაშასთანაც.

ოსმალეთთან ომს რუსეთი ავსტრიასთან კავშირში ეწეოდა. ამ ომის შედეგად, რომელიც რუსეთის სასარგებლოდ წარმართა, რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი ბალკანეთის მიმართულებით გახდა მდ. დნესტრი, ხოლო ამიერკავკასიაში — მდ. ყუბანი. ოსმალებმა საბოლოოდ ყირიმზეც უარი თქვეს. 1791 წლის დეკემბერში იასაში დადებული ხელშეკრულებით ოსმალეთს ევალებოდა, რომ ახალციხისა და სხვა მოსაზღვრე ფაშებმა არც აშკარად და არც საიდუმლოდ არ შეურაცხყონ და არ შეაწუხონ ქართლის მეფის ქვეყნები და მოსახლეობა, რისთვისაც პორტას, ანუ ბაბა-ალის სათანადო მკაცრი განკარგულებანი უნდა გაეცა.

დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში

XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან იმერეთის სამეფო კიდევ უფრო გაძლიერდა. მან თავისი დამოუკიდებლობა შეინარჩუნა და შიშის ზარი დასცა ოსმალთა დამპყრობლებს. დასავლეთ საქართველოს მთავრები მეტ-ნაკლებად ქედს უხრიდნენ გაძლიერებულ იმერეთს და მის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლას ვერ ბედავდნენ. გურია-სამეგრელოს სამთავროებიც, სოლომონის მიბაძვითა და რიდით, ოსმალეთს ხარკს აღარ უხდიდნენ და არც აპირებდნენ მის მორჩილებას. მათ შორის ჯერ კიდევ მერყეობა ეტყობოდა სამეგრელოს მთავარს, რომელიც სოლომონის პოლიტიკურ მონიწიანდღეებთან კავშირს არ წყვეტდა.

1776 წლის იანვარში სოლომონმა გურიის ჯარის თანხლებით სამეგრელო დალაშქრა, რამდენიმე ციხე აიღო და დადიანი დაიხორჩილა. იმავე წელს სოლომონს მორჩილება განუცხადა გურიის ახალმა მთავარმა გიორგი მესხეთელმა. მეფემ გურიელის შვილები მძევლად წაიყვანა და მას საჯავახოც ჩამოართვა. სოლომონ I წარმატებებმა თურქეთის მთავრობა აიძულა, მასთან დიპლომატიური ურთიერთობის ხასიათი შეეცვალა. 1776 წლის 5 ოქტომბერს იმერეთის მეფეს თურქეთის ელჩობა ეახლა და მას სულთნის ფირმანი და ძვირფასი საჩუქრები გადასცა. სოლომონის წარმატებები კიდევ უფრო განმტკიცდა 1776-1777 წლებში მაქსიმე კათალიკოსის გურიასა და სამეგრელოში მოგზაურობით. კათალიკოსმა გურია-სამეგრელოში მოიარა, საეკლესიო-სასჯელო საქმეები განაგო და ამით დასავლეთ საქართველოს ერთიანობის საქმეს გარკვეული სამსახურები გაუწია. ეკლესიის მთლიანობა აღდგენილ იქნა. სოლომონ პირველის საშინაო და საგარეო წარმატებებს დიდი ზიანი მიაყენა ტახტის მემკვიდრემ, პატრივმოყვარე ალექსანდრე ბატონიშვილმა. 1778 წლის აპრილში იგი მამას აუჯანყდა. მეფისადმი მტრულად განწყობილი თავადაზნაურები: სახლთუხუცესი დავით აბაშიძე, მოურავი თამაზ მესხი, მერაბ ნიჭარაძე, სვიმონ მიქელაძე და ნერეთელთა სახლის ერთი ოჯახი ბატონიშვილს ეახლნენ და მიემხრნენ. ბატონიშვილის მომხრეებმა დაიკავეს ლოსი-

მოლაშქრები ყოფილან. მათ შორის, ყირიმელი თათრები და ყივჩაყები (ბალყარულეები). კაცია დადიანმა დახმარებისათვის იმერეთის მეფეს მიმართა. სოლომონმა იმერეთ-გურიის ლაშქარი შეკყარა და დადიანის მოსაშველებლად გაემშურა. ბრძოლა გაიმართა რუხის ციხესა და ზუგდიდს შორის, რუხის მახლობლად, რის გამოც იგი ისტორიაში რუხის ბრძოლის სახელითაა ცნობილი. რუხის ბრძოლა იმერეთ-სამეგრელოს ლაშქრის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. გამარჯვებულებს დარჩათ მრავალი ტყვე და სამხედრო აღჭურვილობა, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით სომხურაფერი გაანაწილეს, ოსმალეთი ახლა იმერეთს სამხრეთ-დასავლეთიდან — აჭარას და ქვემო გურიის მხრიდან დაემუქრა. აჭარა და ქვემო გურია ოსმალთა ხელში იყო. გარდა ამისა, რუსეთი რიონის სამხრეთით მდებარე მიწების მიმართ ინტერესს არ იჩენდა (1774 წლის ზავის დადების წინ ეკატერინე II თავის წარმომადგენლებისადმი მიცემულ ინსტრუქციაში მოითხოვდა, რომ თურქეთთან საომარი მოქმედება შეწყვეტილიყო დუნაისა და რიონის შესართავების ჩრდილოეთით. ქურუკ-კაინარჯში ზავის ხელისმომწერი სწორედ ასე შეთანხმდნენ, რამაც თურქებს გურიაში სამოქმედო ხელეობა გაუხსნა). 1781-1783 წლებში თურქებმა დიდ ძალებს მოუყარეს თავი და ანაკლიისა და ფოთის გამაგრებასთან ერთად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ახალი ციხეების აგებას შეუდგნენ. თურქეთის სარდლობამ გაამაგრა კინტრისის (ქობულეთის) ციხე, იქ თურქები და ქურთები ჩაასახლა და ეს პუნქტი იმერეთისა და გურიის სამთავროზე თავდასხმების ერთ-ერთ ბუდედ აქცია. საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობების ფორ-

დასასრული ზემაღა ნომერი

ისტორიული მემკვიდრეობა №2

გამომცემი: საქართველოს მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული ცენტრი


გამოვიდა საგზიხარო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეოთხე ნომერი

ჟურნალი დღევანდელი აქტიური საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც «ისტორიული მემკვიდრეობის» ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიტყვევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან «ისტორიული მემკვიდრეობა» საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს. ჟურნალის რედაქტორია თამარ ქორიძე.

არასამთავრობო ორგანიზაცია — «ისტორიული მემკვიდრეობა» — გამოსცა ისტორიული ღრუბრების კრებულითა სერიას, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უნივერსალურ ნაშრომებს მოიცავს. კრებულები გამოცემულია მკითხველთა უფასო წიგნსაცემის, რამეთუ პოლიტიკური კონსერვატივის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებსა და დაზარდებით ასახავს წარსულ სინამდვილას. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ურთოდ დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეკვეთა შეუძლიათ ნიგვის მაღაზიაში. დაგზავნითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

საოცრებათა მიწი-ენსიკლოპედია


თაფუბი კი კვლავ დაფრინავს



რობოზერო ცნობილია იმით, რომ იქ 1668 წლის აგვისტოში კირილო-ბელოზერის მონასტრის ბერებმა იხილეს საოცრება, რომელსაც დღეს ამო ეწოდება. უნიკალურ ხელნაწერ დოკუმენტში, რომელიც პეტერბურგის არქივში ინახება, მოყვანილია თვითმხილველთა ჩვენებები, რომლებიც ერთი საათის განმავლობაში ადევნებდნენ თვალყურს 400-არშინიანი დიამეტრის ცეცხლოვანი ბურთის მანევრებს. ის რობოზეროს წყლის ზედაპირზე ასხივებდა, კამკამებდა და ზომებსა და ფრენის მიმართულებას იცვლიდა.

ლუკჯი ქვა

ლეგენდარული ლოდა, რომელიც პრესლაველ-ზალესკის შორიბლო, სოფელ გოროდშიწესთან დევს. ძველრუსული გადმოცემის თანახმად, ამ ქვაში სული ბინადრობს, რომელსაც ოცნებებსა და ნატვრის ახდენა შეუძლია. მე-17 საუკუნის დასაწყისში სემიონოვის ეკლესიის დიაკვანმა ანუფრიმ დიდი ორმოს ამოთხრა და ლურჯი ქვის შიგ ჩაგდება ბრძანა, მაგრამ რამდენიმე წელიწადში ლოდა სასწაულებრივად კვლავ მიწის ზედაპირზე აღმოჩნდა. 150 წლის შემდეგ პრესლაველის ეკლესიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, „ჯადოსნური ქვა“ ადგილობრივი სამრეკლოს საძირკველში ჩაეტანებინა. პლემჩევის ტბის გაყინულ ზედაპირზე ლოდა ციციტ მიჰქონდათ. ყინული ჩატყდა და ლურჯი ქვა 5 მ-ის სიღრმის წყალში ჩავარდა, თუმცა მალე მეთევზეებმა აღმოაჩინეს, რომ ის ნელ-ნელა ადგილმდებარეობას იცვლიდა ტბის ფსკერზე. ნახევარი საუკუნის შემდეგ ლოდა კვლავ ნაპირზე აღმოჩნდა...



კაკოს კალბი

მეორე მსოფლიო ომის დროს წყნარი ოკეანის ერთ პატარა კუნძულზე იძულებით დაეშვა ამერიკული თვითმფრინავი. რემონტის პერიოდში ეკიპაჟის წევრები გულლიად ურთიერთობდნენ განვითარების დაბალ დონეზე მყოფ ადგილობრივ ტომთან, ჩუქნიდნენ გალეტებს, შოკოლადს, ვისკის. თვითმფრინავი გაფრინდა და მხოლოდ 20 წლის შემდეგ კუნძულზე კვლავ გამოჩნდნენ თეთრკანიანები, რომლებმაც იქ ქვისგან, თიხისა და ხის ტოტებისგან გაკეთებული თვითმფრინავის მარტივი აღმოაჩინეს. აბორიგენები ეთაყვანებოდნენ ამ აღჭურვილობას და „ზეციურ ღმერთებს“ უკან დაბრუნებას სთხოვდნენ. ასე იშვა „კარგოს კულტი“. მკვლევარები ამ ფაქტს მსოფლიო რელიგიათა ზოგიერთი უცნაურობის ასახვად იყენებენ და მიიჩნევენ, რომ ისინი უცხოზღაბელებთან პალეოკონტაქტის შედეგად წარმოიშვა.

უსიკოგრაფია

ავტომატური წერის ფენომენია, რომლის ბუნებაც, უამრავი ვერსიისა და შიპოთების წამოყენების მიუხედავად, ჯერ მთლიანად არაა შესწავლილი. მატერიკის ალისტების აზრით, მიზეზი ჩვენს ქვეცნობიერებაშია, რომელიც ზოგჯერ გონების კონტროლს აღარ ემორჩილება და ასე უცნაურად გამოვლინდება. პარაფსიქოლოგები კი ირწმუნებიან, რომ ფსიქოგრაფიის მეშვეობით მიღწერილი სამყაროს ბინადრები ადამიანებთან კონტაქტზე გამოდიან. ამ აზრის არგუმენტად გამოდგება ცნობილი ინტერვიუ, რომელიც რეპორტიორებს დირიჟაბლ P101-ის „კაპიტანის სულმა“ მისცა.



1930 წლის ოქტომბერში ბრიტანეთის ფსიქიკური გამოკვლევების ნაციონალურ ლაბორატორიაში ჟურნალისტების თხოვნით, განსვენებულ სერ არტურ კონან დოილთან დასაკავშირებლად სპირიტუალიზმის მოწინააღმდეგე კონან დოილი სიცოცხლეში მისტიკოსი გახლდათ, მაგრამ მოულოდნელად კავშირზე გამოვიდა ვილაც, ვინც თავი ავიაციის კაპიტან კარმაიკლ ირვინად წარმოადგინა. დაუპატიჟებლმა სტუმარმა თავისი დალუპვის ისტორია მოჰყვა, რომელსაც უამრავი ტექნიკური წვრილმანის აღწერილობაც მოაყოლა. სეანსის მონაწილეებმა უხილავ მოსაუბრეში სამგზავრო დირიჟაბლის კაპიტანი კარმაიკლ ირვინი ამოცნეს. დირიჟაბლი სულ რამდენიმე დღის წინათ დაილუპა, მისი მგზავრები წყალბადის ალში დაიფრფლნენ. ეს უცნაური ისტორია მაშინვე გამოქვეყნდა პრესაში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ლაბორატორიას ინჟინერი ჩარლტონი ესტუმრა, რომელიც თურმე მონაწილეობას იღებდა დირიჟაბლის პროექტის შემუშავებაში. მან საუბრის ჩანაწერის სტენოგრაფიას მოითხოვა და მისი შესწავლის შემდეგ განაცხადა: „ამ გამოგნებულ დოკუმენტში, რომელშიც იმ ავბედით დღეს ხომალდის დალუპვის შესახებ დანვრებილია მოთხრობილი, მოყვანილია 40-ზე მეტი წმინდა ტექნიკური დეტალი, რომლის აზრი და მნიშვნელობა მხოლოდ სპეციალისტისთვის თუა გასაგებები.“ 6 თვის შემდეგ დირიჟაბლის დალუპვის მიზეზების გამომკვლევი სპეციალური კომისიის მიერ გაკეთებული დასკვნები მთლიანად დაემთხვა მოჩვენების მონათხრობს. ამჟამად ეს იდუმალი ისტორია ანომალური მოვლენების მკვლევართა არქივებში ინახება როგორც მიღწერილი სამყაროსთან კავშირის შესაძლებლობის დასტური.

ორგანიზმის მატორია


1868 წელს ეს ქვა ფრანგმა ქიმიკოსმა პ. ბარლელომ გამოიკვლია და მასში ფუტკრის ცვილის სტრუქტურის ნახშირწყლები და ისეთი ერთუჯრედიანი წყალმცენარეების ჩანართები აღმოაჩინა, რომლებიც დედამიწაზე დაახლოებით 600 მლნ წლის წინათ არსებობდა. რაღაც ამდაგვარი აღმოჩენილი მიგვის მეტეორიტშიც, თუმცა ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს მეტეორიტები თავად ჩვენი პლანეტის ზედაპირიდან მოწყდა და კოსმოსში გრანდიოზული ვულკანური ამოფრქვევების შედეგად მოხვდა. მათემატიკური გათვლებით, ასეთი რამ თეორიულად შესაძლებელია.



241 მ კმ დიამეტრისა და 800 მ სიღრმის კრატერი აღმოაჩინეს. კანადაში, გუძონის არხის სანაპიროზე არსებობს 443 მ დიამეტრის კრატერი. არიზონას „ეშმაკის კანიონი“ საინტერესოა იმით, რომ ზოგიერთი მონაცემით, მის ცენტრში ზოგჯერ გრავიმაგნიტური და ქრონალური ანომალიები შეინიშნება.

ეშმაკის კანიონი

არიზონაში (აშშ) მდებარე ეშმაკის კანიონი 1200 მ დიამეტრისა და 175 მ სიღრმის გიგანტურ მეტეორიტულ თხრილს წარმოადგენს. მეცნიერთა გამოთვლებით, კრატერი 40 ათასი წლის წინათ წარმოიქმნა 2 მლნ ტონიანი მეტეორიტის დედამიწაზე ჩამოვარდნის შედეგად. ანტიარქტიკაში, უილკინსის კუნძულზე 1962 წელს



სარკის დისკი


დასავლეთის პრესის მონაცემებით, მფრინავი დისკი, რომელიც ინგლისელმა გამომგონებელმა ჯონ სერლმა შექმნა, „პერპეტუუმ მობილეს“ მოქმედი მოდელია. გენერატორი, რომლის საფუძველსაც გორგოლაჭებიანი მაგნიტური რგოლი წარმოადგენს, ბრუნვის გარკვეულ სიჩქარეზე ენერჯის მოხმარებას წვეტდა და თავისთავად აგრძელებდა მოძრაობას. ცდებზე დამკვირვებელთა თქმით, ამ რეჟიმში აგრეგატი წონას კარგავდა და ჰაერში აფრინდებოდა. ამიტომაც დისკის გამოცდებისას სერლმა რამდენიმე მოქმედი მოდელი დაკარგა, სანამ ამ პროცესის რეგულირებას ისწავლიდა. ამის შემდეგ კი განხორციელდა გენერატორის მართვადი გაფრენა ლონდონიდან კონსტანტინოპოლამდე და უკან.

სადიკინის ფანოქანი

1994-1996 წლებში ხარკოვის კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიისა და ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში ტარდებოდა ექსპერიმენტები ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკის — სადირინის ფოტოსურათით. ფოტოს იმ ლაბორატორიული ვირთხების გალიაში ათავსებდნენ, რომლებსაც რადიოაქტიური დასხივება ჰქონდათ მიღებული და განწირული იყვნენ. მაგრამ ექსპერიმენტის 45-ე წუთზე ხელსაწყობმა უჩვენა, რომ ვირთხების ტვინის ენციფალოგრამა (რადიაციისას კი ყველაზე მეტად ტვინი ზიანდება) ნორმას მიუახლოვდა. არანაკლებ საინტერესო შედეგები მიიღეს სხვადასხვა ბაქტერიის შტამებთანაც. სადირინის ფოტოგამოსახულება (სინჯარებიანი შტატივიდან 30 სმ-ში) სტაფილოკოკების გარავლების სიჩქარეს მინიმუმ სამჯერ ამცირებდა. ცდებმა უჩვენა, რომ ზემოქმედება არა ენერჯის, არამედ ინფორმაციის დონეზე ხდებოდა.


კანოს სოკაბი

1995 წელს მიკრობიოლოგმა რაულ კანომ ქარვის ნატეხში აღმოაჩინა მწერი, რომელიც ფისში 25 მილიონი წლის წინათ მოხვდა. მწერის სხეულზე იმ შორეული დროის სპორებიც აღმოჩნდა. ფენომენი კი იმაში მდგომარეობდა, რომ მიუხედავად კოლოსალური დროისა, რომელიც სპორებმა ქარვაში გაატარეს, მეცნიერმა შეძლო ამ უქველესი მიკროორგანიზმების გაცოცხლება. მათ ზრდა და გამრავლება დაინიშნა. „კანოს სპორებმა“ სამეცნიერო სამყაროს წარმოუდგენელი სიცოცხლისუნარიანობა დაუმტკიცეს. მიმართული პანსპერმიის ცნობილი თეორიის მომხრეთათვის კი ეს არგუმენტია იმისა, რომ დედამიწაზე სიცოცხლე კოსმოსიდან მიკრობთა სპორებით შემოიტანეს.



გაღდაღური ქილა

ისტორიის ფურცლებზე ტექნიკურ მიღწევათა გასაიდუმლოება საიდუმლო ორგანიზაციების ერთ-ერთი ამოცანა იყო. ცალკეული ფრაგმენტები, მივიწყებული ცოდნის იდეალური გამოვლინება — აი, რა შემოგვრჩა გამქრალი ცივილიზაციებისგან. დაინვა და ნაუკითხავი დარჩა კუნძულ პასეის მოსახლეობის მიერ ხეზე ამოკვეთილი დაძვრობა და კატარა ნიგნი. კონკრეტის დროს უპისკოპოსმა ლანდამ ცეცხლს მისცა მაიას ტომის თითქმის ყველა კოდექსი. ჩვენი შორეული წარსული თეთრი ლაქების ჯაჭვია...



ზოგიერთი ისტორიკოსი და არქეოლოგი ამ ჭურჭლის უჩვეულობას აღიარებს, მაგრამ რაკი იგი ისტორიული განვითარების მოდელები არ თავსდება, ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებენ.

ვილჰელმ კენინგმა დაასკვნა, რომ ძაბვის გასაზრდელად ბატარებს თანმიმდევრობით აერთდებდნენ, რათა მოოქროვილი და მოვერცხლილი საიუველირო ნივთების გაღვანური საფარისთვის დენი მიეღოთ და ამის შესახებ სტატიაც გამოაქვეყნა 1940 წელს. შესანიშნავმა აღმოჩენამ ერთობ სუსტი გამოხმაურება პოვა იმ მიზეზებით, რომ ახსნაც ლონდონის მეცნიერებათა მუზეუმის მცველმა, ფიზიკოსმა და ქიმიკოსმა უოლტერ უინსტონმა (სცადა. „უთხარით ნებისმიერ ფიზიკოსს, რომ ელექტროდენი გაღვანებდე 150 წლით ადრე გამოიყენებოდა და პასუხად მიიღებთ: „რა სისულელეა, ეს შეუძლებელია!“ ამ აზრს ვიზიარებდი, როცა პირველად მოვისმენე აღმოჩენის შესახებ, რადგან მისტიფიკაცია მივიჩნიე იგი. ვიფიქრე, ეს რომ სიმართლე იყოს, მაშინ მეცნიერების ისტორიაში გადატრიალებას მოახდენდა.“ თუმცა, როგორც კი ფიზიკოსმა ჭურჭელი იხილა, მაშინვე ამოიცნო მასში პრიმიტიული ელექტრული ელემენტი. დღეს ეს უნიკალური აღმოჩენა ერაყის ნაციონალურ მუზეუმში ინახება.

1936 წელს ერთ-ერთ უძველეს სამარხში (ჩვ.წ.აღ-მდე 248-226 წ. წ.) აღმოაჩინეს საგანი, რომლის იდენტიფიცირებაც უბრალო გაღვანურ ბატარეასთან არქეოლოგმა ვილჰელმ კენინგმა მოახდინა. სხვადასხვა ელექტროლიტის (ყურძნის წვენი, ძმრისა და თანამედროვე ელექტროლიტების) გამოყენება 0,8-2 ვოლტიან ძაბვას წარმოქმნიდა. „გაღდაღის ბატარეები“ 13 სმ სიგრძის თიხის ჭურჭლებია, რომლებიც თუჯის ფურცლისაგან გაკეთებულ ვერტიკალურ ცილინდრსა და რკინის გულარს შეიცავს და ისინი დამზადებულია ვოლტამდე 10 საუკუნით ადრე, სასანიდების დინასტიის მმართველობის ხანაში. თუჯის ფურცელთა ნაპირები ვერცხლისა და ტყვიის შენადნობითაა მირჩილული და ცილინდრს წარმოქმნის. ჭურჭლის ზედა ნაწილი და ცილინდრი ასფალტითაა გამაგრებული, ისევე, როგორც რკინის გულარი ცილინდრის ცენტრში. რაკი კვების წყარო არსებობდა, მაშასადამე, იყო მომხმარებელიც.




დაღა მიავალი გზა, როგორც აღა მიღის

დაღესტნის გზატკეცილზე მძლავრი ხელის მუხრუჭს უშეუბნ და მანქანა თავისთავად მიდის. ამაში გასაკვირი არაფერი იქნებოდა, რომ არა მოძრაობის მიმართულება — ავტომატურად გამართული ძრავით აღმართზე ადის ფიზიკის ყველა კანონის საწინააღმდეგოდ. თითქოს ზევით უხილავი ძალა ექაჩებოდეს.

აქ ფიზიკის კანონები არ მოქმედებს. ანომალიური ზონა ბუნაკის რაიონში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, დიდი ხანია, შენიშნეს. მთელი კილომეტრის მანძილზე თითქმის ყველგან, სადაც აღმართი იწყება, შესაძლებელია ძრავის გამორთვა და უცნაურ მოვლენაზე დაკვირვება. მსოფლიოში რამდენიმე ადგილია, სადაც გრავიტაციის კანონები, რბილად რომ ვთქვათ, არ მოქმედებს, მაგალითად, უნიკალური ბუნებრივი მოვლენა დარეგისტრირებულია შუა ურალში. სოფელ გალაშკიში მიედინება ნაკადული, რომელიც ბუნების ყველა კანონის საწინააღმდეგოდ აღმა მიემართება. მსგავსი მოვლენა დაფიქსირებულია ჩელიაბინსკი-უფას გზატკეცილზეც.

ჯოთიკალი ადგილები

უცნაური ამბები ხდება რუმინეთშიც, მეგურის ბორცვის მახლობლად. იქ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დიდი საგანძური — რომის იმპერატორის ტრაიანის ეპოქის დროინდელი 2000 ვერცხლის მონეტა აღმოაჩინეს. მას შემდეგ რაღაც უხილავი ძალა ყველა უცხო საგანს, მათ შორის, ავტომატურად, ბორცვის ძირიდან აგდებდა და უკან, ბორცვის მწვერვალისკენ მიაქანებდა. ადგილობრივი უხუცესები ირწმუნებიან, რომ ბორცვზე, რომლის სახელწოდებაც „ყორლანს“ ნიშნავს, დროდადრო უცნაური ცისფერი ალი ჩნდება. ამგვარივე მოვლენა შეინიშნება ისრაელშიც. თვითმხილველთა მტკიცებით, ბეიტ-შემეშის მახლობლად წყალი აღმა მიედინება.



პაიკუსების ვილა

ეს 250-მეტრიანი ფსადის მქონე შენობა, რომელიც მე-18 საუკუნეში უძველესი ქალაქის — შერკულანუმის გათხრებისას აღმოაჩინეს, ანტიკურ ავტორთა ფილოსოფიური და ლიტერატურული ნაწარმოებების უძველესი ხელნაწერების უნიკალური საცავია. ქალაქი პომპეის მახლობლად მდებარეობს და ვეზუვის ვულკანური ფერფლითაა დაფარული. ბევრი ხელნაწერი მტვრად იქცა, მაგრამ ბევრიც შემორჩა. სპეციალისტები დღემდე მუშაობენ მათ რესტავრაციასა და გაშიფვრაზე. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევენ ამ სამუშაოებს „ატლანტოლოგები“, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სწორედ „პაპირუსების ვილაზე“ შეიძლება შემონახულიყო ტექსტები, რომლებშიც ატლანტიდა მოიხსენიება. ასეთი აღმოჩენა კი ბოლოს და ბოლოს ნათელს მოჰყენს დაღუპული ქვეყნის საიდუმლოს.



კვებულის წყლიანი

კატასტროფულმა მოვლენამ, რომელსაც 1989 წლის მარტში კვებულის ჰქონდა ადგილი, მკაფიოდ აჩვენა მზის ზეგავლენა დედამიწის პროცესებზე. მზეზე ძლიერი აფეთქების შემდეგ ნაწილაკების ნაკადმა ჩვენი პლანეტის ზედაპირს მოაღწია და არნახული მაგნიტური ქარიშხალი გამოიწვია. ბევრ რეგიონში რადიოკავშირი შეწყდა, ხოლო კანადაში ნამდვილი ტექნოგენური კატასტროფა მოხდა — მწყობრიდან გამოვიდა გენერატორები და 6 მლნ კაცი თითქმის მთელი დღე-ღამის განმავლობაში სითბოსა და სინათლის გარეშე დარჩა. უახლესი გამოკვლევები დედამიწაზე ამინდისა და მზის მოვლენების მჭიდრო ურთიერთკავშირს ადასტურებს — რაც მეტია ქარიშხლები მზეზე, მით მეტი ღრუბლიანობაა დედამიწაზე. დანიელი მკვლევარების — შერკ სვენმარკისა და აიგელ ფრისკრისტენსენის აზრით, მზის ნივთიერების ნაწილაკები, ატმოსფეროში ფრენისას ტენის კონდენსაციას უწყობს ხელს.



ქვის კაქტუსები

ქვის უძველესი წარმონაქმნებია, რომლებიც არაბეთის უდაბნოში აღმოაჩინეს. მათი დანიშნულება და წარმოშობა მეცნიერებს ჯერაც ვერ აუხსნია.

ვერდები მოაშადა ნანა ჩარკვიანი

განსაკუთრებული ტექნოლოგია, როგორც კრონიკული დაავადებები იკურნება

სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი „პარმონი“ ერთადერთი სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრია საქართველოში, სადაც უახლესი ტექნოლოგიური საშუალებებით შესაძლებელია როგორც ზუსტი დიაგნოზის დასმა, ასევე მკურნალობა. ამის თქმის უფლებას კი გვაძლევს ის კომპლექსური კვლევები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია დაავადებათა წარმოშობის მიზეზების დადგენა და შემდეგ ბიოფიზიკური მეთოდებით მისი მკურნალობა უჯრედულ დონეზე.

ნუნუ ქემაშვილი — ცენტრის ხელმძღვანელი: ადამიანის ორგანიზმი არის ერთიანი ურთიერთშეთანხმებული რთული სისტემა, მკურნალობაც შესაბამისად უნდა მიმდინარეობდეს კომპლექსურად. ამდენად, მკურნალობა ყველა პაციენტისათვის შემუშავდება ინდივიდუალური სქემით, ხოლო მკურნალობის პროცესში გამოიყენება მეხუთე თაობის აპარატურა: **ბაროციკლონი**, რომლის საშუალებითაც ხდება მიკროცირკულაციის აღდგენა, სისხლძარღვთა კედლების ელასტიურობის გაუმჯობესება; **ანატრონი** — ტექნოლოგია, რომლითაც ხდება ორგანიზმიდან თავისუფალი რადიკალების გამოდევნა (დეზინტოქსიკაცია); **თავისუფალი ტრანქილის მაგნიტი** — ხერხემლის პათოლოგიების ფიზიოლოგიური კორექცია; **აპარატი მკრ**, რომლის საშუალებითაც ხდება მეტაბოლიზმის რეგულაცია, რეგენერაციული პროცესების აქტივაცია,

ლიმფოსტაზის კუპირება, მარილოვანი ნანაზარდების განლევა, ნებისმიერი ლოკალიზაციის ანთებითი პროცესის სრული ლიკვიდაცია, ოსტეოპოროზის სრული განკურნება. ქსოვილებში განვითარებული დისტროფიული მოვლენების განოვანა (კისტა, კვანძი).
— რით განსხვავდება ეს მეთოდი მანამდე არსებულისაგან?
— დამტკიცებულია, დაავადების განვითარების ახალი კონცეფცია, რომლის მიხედვითაც დაავადება იწყება უჯრედში იონურ-მეტაბოლური პროცესების დარღვევის შედეგად, ასევე, უჯრედში თავისუფალი რადიკალების არსებობა ანელებს მეტაბოლურ პროცესს, უჯრედი ბიოლოგიური ენერჯის დეფიციტს განიცდის და ტოქსინთა უტილიზება ვერ ხერხდება. ამიტომ აუცილებელი გახდა ისეთი მეთოდის შექმნა, რომელიც ამ პროცესს დაარეგულირებდა და უჯრედს მიაწვდიდა იმ საჭირო ენერჯიას, რომელიც აუცილებელია ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

ნირებისათვის ამავე დროს, კრონიკული დაავადებების მიმდინარეობისას ხდება ცენტრალური რეგულაციის დათრგუნვა და ფიზიოლოგიური რეაქციების დაქვეითება.
ფაქტობრივად, ამ უნიკალური მეთოდის საშუალებით ხორციელდება მეტაბოლური პროცესების რეგულირება და ორგანიზმში სტატუს „ქვო“-ს მიღწევა, რაც ორგანიზმის ჯანმრთელობისა და გაახალგაზრდავების გარანტია.
ცენტრში არსებული მკურნალობის მეთოდი სრულიად უნიკალურია, რადგანაც ეყრდნობა ორგანიზმის ფუნქციონირების ბუნებრივ კანონზომიერებას.
— ქალბატონო ნუნუ, ამოიხსენით, რომ თქვენთან კრონიკული დაავადებებით ნლობით მკურნალები ადამიანები მოდიან, რომლებმაც შედეგი ვერ მიიღეს, თქვენთან კი სრულიად განიკურნენ, თანაც ნებისმიერ ასაკში, ამ შედეგზე რას გვეტყვი, მაგალითებს ხომ ვერ დავგვისახებლებ?
— სიამოვნებით. შეგიძლიათ, თავად ნახოთ ამ კვლევების ისტორიები, მართლაც გასაცხადებია, მაგალითად: 57 წლის ქალბატონის დიაგნოზი: სპონდილასითროზი, ლიგამენტოზი, დისკოს თიაქარი 6-7 მმ ზომით; კომპლექსური მკურნალობის 2 თვის შემდეგ: კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე თიაქარი უკვე 2 მმ ზომისაა, პაციენტს არ აქვს ტკივილები და, პრაქტიკულად, ჯანმრთელად გრძნობს თავს; დროთა განმავლობაში მოხდებოდა თიაქარის სრული განოვანა.
36 წლის ახალგაზრდა კაცს ჰქონდა ავარიის შემდგომი ტრავმა — ე. წ. ბაზბუკის ხერ-



ხემალი. ამ დაავადების სრული განკურნება მანამდე არსებული ყველა მეთოდით შეუძლებელია, ამჟამად ეს პაციენტი სრულიად გამოჯანმრთელდა.
60 წლის ქალბატონის დიაგნოზი იყო კოქსართროზი; ინსულტის შედეგად მარჯვენა ხედა და ქვედა კიდურების პარტიკულური მკურნალობის 1 კურსის გაგლის შემდეგ ხელიც აამოძრავა და ფეხით სიარულიც შეძლო.

სიამოვნებით. შეგიძლიათ, თავად ნახოთ ამ კვლევების ისტორიები, მართლაც გასაცხადებია, მაგალითად: 57 წლის ქალბატონის დიაგნოზი: სპონდილასითროზი, ლიგამენტოზი, დისკოს თიაქარი 6-7 მმ ზომით; კომპლექსური მკურნალობის 2 თვის შემდეგ: კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე თიაქარი უკვე 2 მმ ზომისაა, პაციენტს არ აქვს ტკივილები და, პრაქტიკულად, ჯანმრთელად გრძნობს თავს; დროთა განმავლობაში მოხდებოდა თიაქარის სრული განოვანა.
36 წლის ახალგაზრდა კაცს ჰქონდა ავარიის შემდგომი ტრავმა — ე. წ. ბაზბუკის ხერ-

26 წლის პაციენტს ხერხემლის თიაქარი ჰქონდა, ესაჭიროებოდა ოპერაცია. მკურნალობის შემდეგ არანაირი ოპერაცია აღარ დასჭირდა, ის სრულიად განიკურნა.
ასეთი მძიმე დიაგნოზისაგან განკურნებული პაციენტები ბევრია, ამიტომ ქალბატონ ნუნუს ვთხოვეთ ჩამოეთვალა თუ რა დაავადებთა განკურნება შეიძლება ამ ახალი ტექნოლოგიით; ეს დიაგნოზები:

1. ნერვული სისტემის დაავადებები;
 2. გულ-სისხლძარღვთა დაავადებები;
 3. ძვალ-სახსროვანი და მალთაშუა დისკების პათოლოგიები;
 4. ენდოკრინული პათოლოგიები;
 5. პოსტტრავმული, პოსტინსულტური რეაბილიტაცია;
 6. ფიბროზულ-კისტოზური წარმონაქმნების სრული განკურნება;
 7. ვირუსული ინფექციები;
 8. იმუნური სისტემის გაძლიერება.
- მკურნალობას აწარმოებენ უცხოეთში კვალიფიკაცია გავლილი უმაღლესი კატეგორიის ექიმები.

მისამართი: წინამძღვრიშვილის ქ. 81 (მეტრო „მარჯანიშვილის“ ზევით). ტელ. 95-54-52; 899-61-02-05.

სტომატოლოგიური კლინიკა

ბთაპაზოთ მოსახლეობის სრულ პაპატს, 100 პროცენტითიანი გარანტიით

- ჰელიოპლენი — 25 ლარიდან; კერამიკა — 85 ლარიდან;
- პროთეზები — 165 ლარიდან (უცხოური მასალით);
- კბილების განმწმენა-ვათეთრება — 25 ლარიდან;
- კონსულტაცია უფასო; მაღალი ხარისხი, დაბალი ფასები.

მისამართი: აგლაძისა და ქუთაისის ქ. №1 (კუთხეში, ვახუშტის ხიდთან). ტელ. 30-64-70; 897-140-251.

უასაკლები კუპონი

www.fact.ge

ACM Group

FACT

მედიაანიუსი

საინფორმაციო სააგენტო

http://www.medianews.ge

პირველი

საინფორმაციო სააგენტო

pirveli.com.ge

უნივერსალური წყალი „ისიდა“

მათთვის, ვისთვისაც კვირვასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).
სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.
„ისიდა“ გამოიზრუნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი ალჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

გსაკავალავა დაკავით თბილისში: 899-16-30-21.
890-26-15-15 (ოფისი); რუსთაველი: 890-11-50-99; 895-91-24-14.

საქართველო

ესტუბრით ჩვენს სივს

http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანაბლიძე, გონდო მკინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანბურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხაბთაძე
რეალიზაციის მენეჯერი ღმრთი ბუბაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაძე, რეკლამის მენეჯერი ეთარ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთის ხელმძღვანელოვს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net